

**სამოქალაქო განათლების
მდგომარეობა პოსტსაბჭოთა
სახელმწიფოებში: ფორმალურიდან
არაფორმალურ პრაქტიკამდე**

**საერთაშორისო კონფერენციის
მასალების კრებული**

**THE STATE OF CIVIC EDUCATION IN
POST-SOVIET COUNTRIES, FROM
FORMAL TO INFORMAL PRACTICES**

**INTERNATIONAL CONFERENCE
PAPERS**

2016



ეს გამოცემა შექმნილია ამერიკელი ხალხის მხარდაჭერით აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) საშუალებით საარჩევნო პროცესების გაძლიერების პროექტის ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს საარჩევნო სისტემათა საერთაშორისო ფონდი (IFES). მის შინაარსზე პასუხისმგებლები არიან ავტორები და იგი არ ასახავს სამოქალაქო განათლების ლექტორთა ასოციაციის (CELA), საარჩევნო სისტემათა საერთაშორისო ფონდის, აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ან ამერიკის მთავრობის შეხედულებებს.

This publication is made possible by the support of the American people through the United States Agency for International Development (USAID) in the framework of the Strengthening Electoral Processes in Georgia project, implemented by the International Foundation for Electoral Systems (IFES). The contents are the sole responsibility of the authors and do not necessarily reflect the views of Civic Education Lecturers Association (CELA), IFES, USAID or the United States Government.

რედაქტორი: მალხაზ მაცაბერიძე

პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი

პროექტის ხელმძღვანელი: თამარ ქარაია

სამოქალაქო განათლების ლექტორთა
ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი

Editor: Dr. Malkhaz Matsaberidze

PhD in Political Science

Project Director: Dr. Tamar Karaia

CELA Executive Director

©2015 CELA. ყველა უფლება დაცულია. All rights reserved.

© სამოქალაქო განათლების ლექტორთა ასოციაცია. (CELA), 2016

გამომცემლობა „**უნივერსალი**“, 2016

თბილისი, 0179, ი. ჯავახიშვილის გამზ. 19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge

ISBN 978-9941-22-925-1

**INTERNATIONAL CONFERENCE
THE STATE OF CIVIC EDUCATION IN
POST-SOVIET COUNTRIES,
FROM FORMAL TO INFORMAL PRACTICES**

Conference agenda

**May 21-22, Ivane Javakhishvili Tbilisi State University,
Tbilisi, Georgia**

Location: TSU building 1, Chavchavadze ave. N 1, Auditorium N107 (from the main entrance on the right side of the first floor).

May 21, Saturday

10:30 _ 11:00 Registration

11:00 _ 11:20 Opening Speech

Malkhaz Matsaberidze, Head of Department
of Political Science TSU

Tamar Karaia, CELA Executive Director

Nermin Nisic, IFES Georgia Chief of Party

**11:20 _ 12:50 First Panel: Practices and Challenges of Civic
Education**

Moderator: George Gobronidze, Georgian
American University

**1. Open Government data as an instrument for civil
engagement**

Mariia Kriuchok, National University of Kyiv-Mohyla Academy,
Ukraine

**2. The core character of civic education and intercourse
connection**

Rusudan Tevzadze, Ministry of Education and Science of
Georgia

3. Global citizenship and the role of technology

Kanan Fidrovsi, Azerbaijan State University of Economic,
Azerbaijan

**4. From social studies to civic education (importance of
education in citizen formation process)**

Maia Kvrivishvili, Tbilisi State University, Institute of Cultural Studies, Georgia

5. Civil society vs. the Ukrainian state

Oleksandr Svyetlov, Institute of Historical Memory, Ukraine

6. Development of Civil Society in Georgia

Alexander Kukhianidze, Tbilisi State University, Georgia

12:50 _ 13:00 Discussion

13:00 _ 14:00 Lunch

14:00 _ 15:30 Second Panel: Power, Citizenship and Identity Formation

Moderator: Alexander Kukhianidze, PhD in Philosophy, Professor

1. Teachers' perceptions of civic education in Azerbaijan _ a Post-Soviet country

Javid Jafarov, Queens's University of Belfast, UK

2. Person's socialization in the transformation of educational space

Galina Gorban, Dnipropetrovsk Regional Institute of Postgraduate Education, Ukraine

3. Features of foreign orientation in minorities

Malkhaz Matsaberidze, Tbilisi State University, PhD in Political Science, Professor, Georgia

4. Civic education policy of private educational institutions in Ukraine

Angela Akaemova, University of Kyiv, Ukraine

5. Eco-migration and religious conflicts in Georgia (2010-2016 years)

Ivane Tsereteli, Tbilisi State University, Georgia

6. Pre-school education in Georgia

Ketevan Kukhianidze, Akaki Tsereteli Kutaisi State University, Georgia

15:30 _ 16:00 Discussion

16:00 _ 16:30 Final remarks and future prospects

May 22, Sunday

11:00 _ 12:00 First Panel: Developing Democracy

Moderator: Salome Dundua, PhD in Political Science, Associated Professor

- 1. Georgia at the Beginning of the Democracy : Controversial National Project Features(1989-1991)**
Irakli Chkhaidze, Ilia State University, Institute of Political Science
- 2. Customs influence on the development of democracy**
Lali Antidze, Batumi State University, Georgia
- 3. General aspects of Russia’s soft power policy in Georgia and civic education**
Ketevan Mukhiguli, Caucasus University, Georgia
- 4. Environmental Civil Activism in Georgia**
Tamar Karaia, Salome Dundua, Tbilisi State University, Georgia
- 5. Gender policy of political parties in local self-government elections in 2014**
Eka Darbaidze, Ilia State University, Institute of Political Science, Georgia
- 6. Imported leaders and global citizenship**
Lana Ghvinjilia, University of Georgia, Department of Social Sciences, Georgia

13:15 _ 13:30 Discussion

13:30 _ 14:30 Lunch

14:30 _ 16:45 Second Panel: Democracy and State Building

Moderator: Tamar Karaia, PhD in Political Science, TSU

- 1. Civic sector and the state on women's political participation in Georgia**
Manana Darchashvili, Georgian Technical University, Georgia
- 2. Political ideologization: Analysis of Georgian political system**
Giorgi Melikidze, Ilia State University, Institute of Political Science, Georgia
- 3. Action plan for visa liberalization and its impact on citizens**
Inga Mirkhanashvili, Ilia State University, Georgia
- 4. Elections as the instrument of building democratic state in the South Caucasus countries**
Lia Tetradze, Ilia State University, Institute of Political Science, Georgia
- 5. The Study of History: From ethnic to civic nationalism**
Mirzaev Djalalitdin, Eurasia Research Institute, Kazakhstan
- 6. Civic Education in transitional societies, target-setting and the practical outcome**
Irina Trofimova, Institute of Sociology of Russian Academy of Sciences, Russia
- 7. Civic Education in Azerbaijan**
Ali Askerov, University of North Carolina, Department of Peace and Conflicts Study, USA
- 8. Responsible leadership in modern society**
Emilia Vorontsova, Insitute of Modernization of Education content, Ministry of Education and Science of Ukraine, Ukraine
- 9. The role of civic education in public administration**
Kakhaber Uriadmkopeli, Georgian-American University, Georgia

16:45 _ 17:00 Discussion

17:00 _ 17:15 Conclusion of the conference and future prospects

შინაარსი

რუსუდან თევზაძე

სამოქალაქო განათლების გამჭოლი ხასიათი
და საგანთაშორისი კავშირები 11

კახაბერ ურიადმყოფელი

სამოქალაქო განათლების როლი საჯარო
სამსახურში 17

ლია თეთრაძე

არჩევნები, როგორც დემოკრატიული
სახელმწიფოს მშენებლობის ინსტრუმენტი
სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში 33

გიორგი მელიქიძე

პოლიტიკის იდეოლოგიზაცია: საქართველოს
პარტიული სისტემის ანალიზი 50

მანანა დარჩაშვილი

სამოქალაქო სექტორი და სახელმწიფო ქალთა
პოლიტიკური მონაწილეობის შესახებ
თანამედროვე საქართველოში 61

სალომე დუნდუა, თამარ ქარაია

გარემოსდაცვითი სოციალური მოძრაობები
საქართველოში 77

ინგა მიხანაშვილი

ვიზა ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმა და
მისი ასახვა მოქალაქეებზე:
საქართველო — ევროკავშირის სავიზო
დიპლომატი 120

მალხაზ მაცაბერიძე

საქართველოში მცხოვრები ეროვნული
უმცირესობების საგარეო პოლიტიკური
ორიენტაციის თავისებურებანი 137

ეკა დარბაიძე

პოლიტიკური პარტიების გენდერული პოლიტიკა
2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის
არჩევნებზე 155

Ali Askerov

CIVIC EDUCATION IN AZERBAIJAN172

Ирина Н. Трофимова

ГРАЖДАНСКОЕ ОБРАЗОВАНИЕ В ПЕРЕХОДНЫХ
ОБЩЕСТВАХ: ЦЕЛЕПОЛАГАНИЕ И
ПРАКТИЧЕСКИЕ РЕЗУЛЬТАТЫ179

Анжела Акамова

НЕГОСУДАРСТВЕННЫЕ ОБРАЗОВАТЕЛЬНЫЕ
УЧРЕЖДЕНИЯ В ОБЛАСТИ ГРАЖДАНСКОГО
ПОЛИТИЧЕСКОГО ОБРАЗОВАНИЯ В УКРАИНЕ191

TABLE OF CONTENTS

<i>Rusudan Tevzadze</i> THE CORE CHARACTER OF CIVIC EDUCATION AND INTERCOURSE CONNECTION	11
<i>Kakhaber Uriadmkopeli</i> THE ROLE OF CIVIC EDUCATION IN PUBLIC ADMINISTRATION.....	17
<i>Lia Tetradze</i> ELECTIONS AS THE INSTRUMENT OF BUILDING DEMOCRATIC STATE IN THE SOUTH CAUCASUS COUNTRIES.....	33
<i>Giorgi Melikidze</i> POLITICAL IDEOLOGIZATION: ANALYSIS OF GEORGIAN POLITICAL SYSTEM.....	50
<i>Manana Darchashvili</i> CIVIC SECTOR AND THE STATE ON WOMEN’S POLITICAL PARTICIPATION IN GEORGIA	61
<i>Salome Dundua, Tamar Karaia</i> ENVIRONMENTAL CIVIL ACTIVISM IN GEORGIA	77
<i>Inga Mirkhanashvili</i> ACTION PLAN FOR VISA LIBERALIZATION AND ITS IMPACT ON CITIZENS.....	120
<i>Malkhaz Matsaberidze</i> FEATURES OF FOREIGN ORIENTATION IN MINORITIES.....	137
<i>Eka Darbaidze</i> GENDER POLICY OF POLITICAL PARTIES IN LOCAL SELF- GOVERNMENT ELECTIONS IN 2014.....	155

<i>Ali Askerov</i> CIVIC EDUCATION IN AZERBAIJAN	172
<i>Irina Trofimova</i> CIVIC EDUCATION IN TRANSITIONAL SOCIETIES, TARGET-SETTING AND THE PRACTICAL OUTCOME.....	179
<i>Angela Akaemova</i> CIVIC EDUCATION POLICY OF PRIVATE EDUCATIONAL INSTITUTIONS IN UKRAINE.....	191

რუსუდან თევზაძე
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების
სამინისტრო
გეოგრაფიის და სამოქალაქო განათლების
ექსპერტი ეკონომიკის დოქტორი

სამოქალაქო განათლების გამჭოლი სასიათი
და საბანთაშორისი კავშირები

პოსტსოციალისტური სივრცის რღვევამ განათლების სისტემა ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა. მანამდე განათლების პოლიტიკა ერთი ძლიერი და ცენტრალიზებული პოლიტიკური სისტემის ნაწილი გახლდათ, მკაფიოდ და მკაცრად განერილი დროსა და სივრცეში. ამგვარი დამოკიდებულება ეხებოდა როგორც უმაღლეს საგანმანათლებლო, ასევე სასკოლო სისტემას.

ნიშანდობრივია და გასააზრებელი სოციალისტური ეპოქის სკოლის საგნობრივი დივერსიფიცირება, რომელიც პრაქტიკულად მთლიანად მორგებული იყო საყოველთაო, კრებსით სახელმწიფო ინტერესებზე და არ ითვალისწინებდა მოსწავლის თუ პედაგოგის დამოუკიდებლობის ხარისხს, ანუ საქმე გვექონდა ცენტრალიზებულ, დირექტიულ და შეიძლება ითქვას პოლიტიკურად მართულ განათლებასთან და არა მოსწავლეზე ორიენტირებულ განათლების სისტემასთან.

ე.წ. საბჭოთა განათლება ეფუძნებოდა საბჭოთა იდეოლოგიას და მისი გაცხადებული მიზანი საბჭოთა მოქალაქის აღზრდა გახლდათ. ყოველივე პირდაპირ თუ ირიბად ასახული იყო სახელმწიფო დოკუმენტებშიც. საბჭოთა მოქალაქის შექმნა კი სკოლის მერხიდან იწყებოდა. სკოლის პერიოდი ხომ ის ეტაპია, როცა მოზარდმა უნდა მოახდინოს საკუთარი თავის იდენტიფიცირება, აღმოაჩინოს და გაიაზროს საკუთარი შესაძლებლობები და მისი სოციალიზაცია სხვადასხვა საზოგადოებრივ ჯგუფებში. საბჭოთა განათლების

სისტემაში ყველა ეს ეტაპი გეგმაზომიერად და ეტაპობრივად განერილი იყო, ამდენად დირექტიულად იქმნებოდა საზოგადოებრივი ერთობები, რომელშიც მოსწავლე, სურდა თუ არა მას ეს, აუცილებლად უნდა გაერთიანებულიყო. ასეთი იყო ოქტომბრელების, პიონერების, თუ კომკავშირელების ერთობა. ამგვარი გაერთიანებები, სპეციფიურ სასწავლო საგნებთან ერთად „მიზნისკენ სავალ გზაზე“ გადამწყვეტ როლს თამაშობდნენ.

1990-იანი წლების შემდეგ ეტაპობრივად იცვლება განათლების კონცეფციის თეორიული თუ პრაქტიკული გაგება. წინა პლანზე გამოდის სკოლა, როგორც არა მარტო სასწავლო დაწესებულება, არამედ პიროვნების აღზრდის საუკეთესო მიკრო გარემო. ამისთვის ცხადია დღის წესრიგში დგება ახალი საგნების საჭიროება, სადაც უფრო ღრმა და შინაარსიანი იქნება აღზრდის კომპონენტი, რომელიც ხელს შეუწყობს სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებას. ამ უკანასკნელს კი თავისთავად სჭირდება სკოლებში სამოქალაქო აღზრდის კომპონენტის გაძლიერება, ხოლო ამ კომპონენტის ერთგვარი ინდიკატორი, საგანი „სამოქალაქო განათლება“ და მისი რაოდენობრივი თუ შინაარსობრივი დაფარვის ხარისხია.

სამოქალაქო საზოგადოების ჩამოსაყალიბებლად აუცილებელია სოციალური ევოლუცია საზოგადოების თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად. პროგრესის იდეა ითვალისწინებს ინდივიდების უფლებების დაცვას. სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბება კი სკოლის მერხიდან უნდა იწყებოდეს და სწორედ მას ემსახურება საგანი „სამოქალაქო განათლება“, რომლის მიზანს წარმოადგენს ჰუმანური და ლიბერალური ღირებულებებით გამსჭვალული მოქალაქის აღზრდა. ყოველივე ამას სჭირდება სწავლების და სწავლის თანამედროვე პარადიგმა, რომელიც უმთავრესი გამოწვევაა და გულისხმობს მოსწავლის მხრიდან კომპლექსური პრობლემების გადაჭრის უნარის ქონას, მუდმივად ცვალებად გარემოში სწრაფ ადაპტირებას, ჭარბი ინფორმაციის პირობებ-

ში სწორი პრიორიტეტების ჩამოყალიბებას, პირადი და საზოგადოებრივი ინტერესების დაცვას და ა.შ.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები მკაფიოდ მიაინიშნებს იმაზე, რომ სკოლამ ხელი უნდა შეუწყოს ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი და თავისუფალი პიროვნების ჩამოყალიბებას.

მოსწავლის მოქალაქედ აღზრდისა და ჩამოყალიბებისათვის, აუცილებელია სამი უმთავრესი მდგენელის დაბალანსებული არსებობა.

- 1) გარკვეული ტიპის მოქალაქეობრივი ცოდნა,
- 2) მოქალაქეობრივი უნარ-ჩვევები
- 3) მოქალაქეობრივი განწყობა/დამოკიდებულებები.

საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფებში, ხშირად მიმდინარეობს დავა იმის თაობაზე, თუ რომელია მათგან უპირატესი. ამასთან დაკავშირებით, უნდა აღინიშნოს, რომ სამივე მდგენელს აუცილებელია ჰქონდეს მკაფიოდ განსაზღვრული ადგილი დროსა და სივრცეში მოსწავლის ასაკობრივი, თუ ფსიქოლოგიური თავისებურების გათვალისწინებით.

ეპოქალური მიდგომით განათლების ყველა სისტემას საკუთარი უპირატესი მდგენელი გააჩნდა. დღევანდელ რეალობაში კი, განათლების სისტემის უმთავრეს გამოწვევად შესაძლებელია ჩაითვალოს უნარ-ჩვევებზე ორიენტირებული მოქალაქის აღზრდა. ცხადია ეს არ გამოორიცხვას ცოდნაზე დაფუძნებულ სწავლა-აღზრდას და არც არავინ ცდილობს მის დისკრედიტაციას, უბრალოდ გლობალიზაციის პირობებში თანამედროვე განათლების პარადიგმა განსხვავებულ რეალობას ქმნის, რაც თავის მხრივ მოითხოვს რადიკალურ ცვლილებებს ძალთა გადანაწილების თვალსაზრისით. ანუ მეტი ყურადღება უნდა მიექცეს უნარზე დაფუძნებულ სწავლებას, რომელიც მიღებულ თეორიულ ცოდნას ყოფით/პრაქტიკულ ხასიათს შესძენს.

სწორედ, სამოქალაქო განათლება ემსახურება თეორიული ცოდნის პრაქტიკაში ტრანსფერის ხელშეწყობას. ამ-

ისათვის აუცილებელია მოსწავლეებში ცოდნაზე დაფუძნებული უნარების დანერგვა, ორივე ერთად კი, შექმნის სახელმწიფოებრივად მოაზროვნე, სახელმწიფოსადმი სწორი დამოკიდებულებების და განწყობების მქონე მოქალაქე.

თანამედროვე ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში არსებითად მნიშვნელოვანი და წინგადადგმული ნაბიჯია „სამოქალაქო განათლების“ დამოუკიდებელ თანასწორ დისციპლინად ჩამოყალიბება. საგნის კონცეფციის კომპლექსური ხასიათი აუცილებლად მოითხოვს, რომ პარალელურ რეჟიმში იგი იყოს გამჭოლი საგნებს შორის, ანუ მკაფიოდ განისაზღვროს მისი საგანთაშორისი კავშირები, რაც ავტომატურად მოახდენს ყველა დანარჩენი საგნის მხრიდან სამოქალაქო აღზრდის კომპონენტზე ყურადღების გამახვილებას.

ამდენად, შესაძლებელია გარკვეული დილემის წინაშე აღმოვჩნდეთ, „სამოქალაქო განათლების დამოუკიდებლობის“ მოპოვების შემდეგ კვლავ ახალ დისკუსს ვინყებთ და მისი გამჭოლი ხასიათის შესახებ ვსაუბროთ, მაგრამ ეს ნამდვილად ობიექტური რეალობაა, ვფიქრობთ, რომ ყველა კლასის, ყველა საგნის, ყველა პედაგოგის მორალური, თუ პროფესიული მოვალეობაა, საკუთარი საგნის სპეციფიკის გათვალისწინებით, ყველა შესაძლო რაკურსით მოახდინონ სამოქალაქო ცნობიერების და უნარების პოპულარიზება/ადვოკატირება.

„სამოქალაქო განათლება“ გამჭოლი უნდა იყოს როგორც ჰორიზონტალურად ასევე ვერტიკალურად და მუდმივად განვითარებადი დროსა და სივრცეში, მხოლოდ ამ შემთხვევაში შევძლებთ სახელმწიფოებრივად მოაზროვნე მოქალაქეების აღზრდას.

ამასთან დაკავშირებით, არსებითად მნიშვნელოვანი რეკომენდაციებია:

სამოქალაქო განათლება, როგორც საგანი არ იყოს თვითკმარი და მუდმივ რეჟიმში ცდილობდეს კავშირების დამყარებას სხვა დისციპლინებთან;

სწორედ ამიტომ, მოიძებნოს ის „ოქროს შუალედი“ რომელიც შესაძლებელს გახდის „სამოქალაქო განათლების“ მულტიდისციპლინურ საგნად ქცევას;

ზოგადად, განათლების სისტემის მომავალი განვითარების გზაზე, „სამოქალაქო განათლება“ აუცილებელია წარმოადგენდეს პიროვნების შინაგან მოტივაციაზე დაფუძნებულ გარე მოტივატორს და სტიმულირების საშუალებას.

ყოველივე ზემოთქმულის საუკეთესო დადასტურებაა ილია ჭავჭავაძის სიტყვები: „სკოლა ერთსა და იმავე დროს უნდა სწურთენიდეს კიდეც ბავშვსა და ასწავლიდეს კიდეც. წურთენა და სწავლა ხელი-ხელს გადაბმული უნდა ვიდოდეს სკოლაში“.

**THE CORE CHARACTER OF CIVIC EDUCATION
AND INTERCOURSE CONNECTION**

Breakup of the Soviet Union and eventual destruction of the state governed, unitary, centralized and strictly planned Soviet education system, brought various new and difficult challenges to Georgia's education policy making at all levels. In contemporary Georgia, the latest and one of the most significant achievement was the creation of the independent and mandatory discipline in schools, "Civics Education." However, next to its existence as an independent discipline, it is important to implement and integrate civics education within various different disciplines. The thematics and the characteristics of the subject demand such interdisciplinary approach. In order to raise well informed, empowered and responsible citizens, civics education should be constantly developing in time and space both in vertical and horizontal directions.

კახაბერ ურიადმოფელი
ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი
ასისტენტ პროფესორი

სამოქალაქო განათლების როლი საჯარო
სახელმწიფოში

შესავალი

სამოქალაქო განათლება დიდნილად დაკავშირებულია პირის სამოქალაქო პასუხისმგებლობასთან. ეს პასუხისმგებლობა კი გულისხმობს როგორც პოლიტიკურ პროცესებში აქტიურ ჩართულობას, ისე მოქალაქეთა შორის ურთიერთპატივისცემის დანერგვას.¹

სწორედ სამოქალაქო განათლება უზრუნველყოფს მოქალაქისთვის ისეთი ცოდნისა და ღირებულებების გადაცემას, რაც მისცემს შესაძლებლობას, ერთის მხრივ, კარგად გაერკვეს სახელმწიფოს არსში, მმართველობის სისტემაში და მეორეს მხრივ, დაინახოს საკუთარი როლი სახელმწიფოში.²

სახელმწიფოს არსებობის უმთავრესი მიზანი ადამიანის უფლებების დაცვა, უსაფრთხო გარემოს შექმნა და კეთილდღეობის უზრუნველყოფაა. სამოქალაქო თვითშეგნებით მოქმედი მოქალაქეც სწორედ ამ მიზნებისკენ მიისწრაფვის. ძლიერი საჯარო სამსახურის გარეშე ამ მიზნების მიღწევა შეუძლებელია, რადგანაც სახელმწიფოში მსგავსი მიზნების შესრულებაზე პასუხისმგებლობა ხელისუფლებას აკისრია — ის აწესებს კანონმდებლობას, განკარგავს სახელმწი-

¹ იხ. Owen, Diana and Soule, Suzanne and Nairne, Jennifer, Civic Education and Development of Participatory Norms (2010). APSA 2010 Annual Meeting Paper, <http://ssrn.com/abstract=1644389> გადამონმებულია 05.08.2016.

² იხ. Owen, Diana and Chalif, Rebecca and Soule, Suzanne, Civic Education and Knowledge of Government and Politics (2011). APSA 2011 Annual Meeting Paper, <http://ssrn.com/abstract=1903270> გადამონმებულია 05.08.2016.

ფო ბიუჯეტს, აქვს ძალის გამოყენების უფლება. შესაბამისად, ის საკითხები, რაც სამოქალაქო განათლების შესწავლის საგანს წარმოადგენს, მიმართულია სახელმწიფოსკენ, ხელისუფლებისკენ და საჯარო სამსახურისკენ, რადგანაც, როგორც აღინიშნა, მათ გარეშე ზემოთხსენებული მიზნების ხორცშესხმა შეუძლებელია.

სამოქალაქო განათლება ბიძგს აძლევს მოქალაქეებს იყვნენ უფრო აქტიურები საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ საკითხებში, ამალღებს მათ სამოქალაქო ცნობიერებას. აღნიშნული კი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ პირებისთვის, რომლებიც დასაქმებულნი არიან საჯარო სამსახურებში, რადგანაც წარმოუდგენელია საზოგადოების წინსვლა, თუკი გადაწყვეტილების მიმღებ პირებს არა აქვთ გათავისებული სახელმწიფოს არსი, ადამიანის უფლებები, დემოკრატიის პრინციპები, ხელისუფლების ფუნქციები და ა.შ.

საჯარო სამსახურის ისტორია საქართველოში

საქართველოში საჯარო სამსახური, ისევე როგორც ნებისმიერ სახელმწიფოში, რა თქმა უნდა, დიდ როლს თამაშობს ქვეყნის განვითარებაში. თუმცა აღსანიშნავია, რომ ჩვენს ქვეყანაში ამ ინსტიტუტმა ძალიან სწრაფი და მრავალფეროვანი განვითარების გზა განვლო.

საჯარო სამსახურის ისტორია თავისთავად ემთხვევა საქართველოს უახლესი ისტორიის ძირითად პოლიტიკურ მოვლენებს. საბჭოთა კავშირის დროს არსებული საჯარო მმართველობის განხილვა ნაკლებ ინტერესს წარმოადგენს ჩვენთვის, რადგანაც ის სისტემა შორს იდგა თანამედროვე მმართველობის პრინციპებისგან. დამოუკიდებელი საქართველოს პირობებში შეიძლება გამოიყოს საჯარო სამსახურის განვითარების შემდეგი ეტაპები:

1995 წლის კონსტიტუცია. მართებულია საჯარო სამსახურის განვითარებაზე საუბარი სწორედ ამ ეტაპიდან და-

ინყოს, რადგანაც კონსტიტუციის მიღებამდე საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების ფონზე ეს საკითხი ნაკლებმნიშვნელოვანი იყო.

კონსტიტუციაში მოცემულია საქართველოს სახელმწიფოს ძირითადი მახასიათებლები. სწორედ აქ არის ხაზგასმული თუ რა მიზანი აქვს საჯარო მმართველობას — ეს არის სამართლებრივი, დემოკრატიული და სოციალური სახელმწიფოს დაფუძნება. აქვეა მოცემული ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები, რომელთა დაცვის ვალდებულებაც ბოჭავს საჯარო მოსამსახურეებს გადაწყვეტილების მიღებისას. კონსტიტუციაშია ასევე მოცემული ხელისუფლების დანაწილება და ხელისუფლების სხვადასხვა შტოს შორის ფუნქციების გადანაწილება.³

1997 წლის საჯარო სამსახურის შესახებ კანონი. საქართველოს კონსტიტუციის მიღებამ დასაბამი მისცა საჯარო სამსახურის განვითარებას. სწორედ ამის შედეგი იყო პარლამენტის მიერ 1997 წელს საჯარო სამსახურის შესახებ კანონის მიღება.⁴

2000 წლის ადმინისტრაციული კანონმდებლობა. 2000 წლის პირველი იანვრიდან საქართველოში ამოქმედდა ადმინისტრაციული კანონმდებლობის ორი უმნიშვნელოვანესი დოკუმენტი — საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული და ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსები. სწორედ ამ დოკუმენტებით განისაზღვრა ადმინისტრაციულ ორგანოებში საქმიანობისა და გადაწყვეტილების მიღების პრინციპები. განსაკუთრებულ ნოვაციას წარმოადგენდა ინფორმაციის თავისუფლების ინსტიტუტის დანერგვა, რაც ღია და გამჭვირვალე მმართველობის საწინდარი იყო.⁵

³ საქართველოს კონსტიტუცია, N786, 24/08/1995.

⁴ საჯარო სამსახურის შესახებ კანონი, N1022, 31/10/1997.

⁵ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, N2181, 25/06/1999; საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, N2352, 23/07/1999.

2003 წლის ვარდების რევოლუცია. ვარდების რევოლუციამ თავისებური როლი ითამაშა საჯარო სამსახურის გარდაქმნაში. რევოლუციის მთავარი ლოზუნგები ძირითადად სწორედ საჯარო სფეროში არსებულ კორუფციას შეეხებოდა. კორუფციის ყოვლისმომცველობა კი ხელისუფლებაში მყოფი ძალების კლანურობიდან გამომდინარეობდა. შესაბამისად, რევოლუციის გზით მოსულმა ხელისუფლებამ გარკვეულწილად კორუფციული და ბიუროკრატიული სისტემის შეცვლის ვალდებულება იკისრა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ვარდების რევოლუციის შემდეგ მოსულ ხელისუფლებას უსათუოდ სჭირდებოდა კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაში სერიოზული წარმატებები.⁶

არასამთავრობო ორგანიზაციები თავის ერთ-ერთ მიმართვაში აღნიშნავენ, რომ 2003 წლის შემდეგ საქართველოში მთელი რიგი წარმატებული ანტიკორუფციული რეფორმა განხორციელდა, რის შედეგადაც ქვეყანაში შემცირდა და ფაქტობრივად აღმოიფხვრა წვრილმანი კორუფცია და მექრთამეობა. ეს უდავოდ მნიშვნელოვანი მიღწევა იყო, რადგანაც გააუმჯობესა საქართველოს მოქალაქეთა ყოველდღიური ცხოვრება, ხოლო მთავრობას თავისი საბაზისო მოვალეობების უკეთ შესრულების შესაძლებლობა მისცა. 2003 წლის შემდეგ გატარებულ რეფორმებს თან სდევდა ძალაუფლების უკიდურესი კონცენტრაცია აღმასრულებელ ხელისუფლებაში. სხვა ძირითადი ინსტიტუტების (მაგალითად, პარლამენტისა და სასამართლოს), აგრეთვე ხელისუფლების გარე მაკონტროლებლების (თუნდაც მედიის) სისუსტის პირობებში, მაღალი თანამდებობის პირთა ვინრო ჯგუფს შესაძლებლობა ჰქონდა ემოქმედა გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების პრინციპების უგულებელყოფით, რაც ნოციერ ნი-

⁶ მაცაბერიძე მ., ბიზნესი და პოლიტიკა საქართველოში (2003-06 წწ.), © სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, 2006 წ., გვ. 53.

ადაგს ქმნიდა ძალაუფლების ბოროტად გამოყენებისა და კორუფციისთვის.⁷

2012 წლის საპარლამენტო არჩევნები. 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგად ხელისუფლების სათავეში კოალიცია „ქართული ოცნება“ მოვიდა. კოალიციას წინასაარჩევნო პროგრამაშივე ჰქონდა გათვალისწინებული საჯარო სამსახურის შესახებ რეფორმა: „კარგა ხანია საჯარო სამსახური პოლიტიკურ ზეგავლენას განიცდის. სახელისუფლებო გუნდი საჯარო მოხელეებს პირადი ერთგულების ნიშნით აფასებს. საჯარო მოხელე არ არის სამართლებრივად დაცული — სამსახურიდან მისი გათავისუფლება, განსაკუთრებით პოლიტიკური ნიშნით, ნებისმიერ დროს არის შესაძლებელი. საჯარო სამსახური უნდა გათავისუფლდეს პოლიტიკური ინტერესებისაგან და მიუკერძოებელ სახელმწიფო ინსტიტუტად ჩამოყალიბდეს. ეს მიზანი მიიღწევა საჯარო სამსახურის ისეთი მოდელის შექმნით, რომელიც უზრუნველყოფს იმას, რომ საჯარო მოხელის დასაქმება და გათავისუფლება დამოკიდებული არ იქნება პოლიტიკაზე, კერძოდ კი პოლიტიკური თანამდებობის პირის სუბიექტურ ნებაზე. აუცილებელია კანონით განმტკიცდეს პროფესიული საჯარო მოხელის საქმიანობის ისეთი ძირითადი პრინციპები, როგორცაა უვადოდ დანიშვნა, პოლიტიკური მიუკერძოებლობა, კარიერის პრინციპი, სახელმწიფოს მხრიდან ზრუნვის ვალდებულება, სამსახურიდან თვითნებური გათავისუფლებისაგან დაცვა, სოციალური გარანტიები და სხვ. კადრების სტაბილურობა არის პროფესიული საჯარო მოხელის ინსტიტუტის ქვაკუთხედი. ხელისუფლების შეცვლა არ უნდა იწვევდეს საჯარო სამსახურიდან კადრების დათხოვნას. კანონით ზუსტად უნდა განისაზღვროს მოხელის სამსახურიდან გათავისუფლების სამართლებრივი საფუძვლები. საჯარო სამსახურის ბირთვს უნდა ქმნიდნენ უვადოდ დანიშნული პროფე-

⁷ არასამთავრობო ორგანიზაციების მიმართვა კორუფციასთან ბრძოლის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, 9 დეკემბერი 2013 წ., <https://idf.ge/ge/news-96> გადამოწმებულია 05.08.2016.

სიული საჯარო მოხელეები. საჯარო მოხელის გვერდით კი საჯარო სამსახურს, სახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებში, აგრეთვე უნდა ახორციელებდეს შტატიტ გათვალისწინებულ თანამდებობაზე დამხმარე მუშაკი და შტატგარეშე თანამდებობაზე დაქირავებული მუშაკი. ზემოაღნიშნული კონცეფციის, როგორც სახელმწიფოებრივი მონყობის უმნიშვნელოვანესი კომპონენტის, განხორციელება საფუძველს ჩაუყრის დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს ინსტიტუციური ინფრასტრუქტურის შექმნას.“⁸

2014 წლის საჯარო სამსახურის კონცეფცია. 2014 წელს საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა სპეციალურად შექმნილი ჯგუფის მიერ შემუშავებული საჯარო სამსახურის კონცეფცია. კონცეფციის მიზნად განისაზღვრა „საჯარო სამსახურის ჩამოყალიბება, როგორც ეროვნული ინსტიტუტისა, რომელსაც საფუძვლად დაედება თანამიმდევრული და მკაფიო სამართლებრივი ჩარჩო, რომელიც უზრუნველყოფს მის დაკომპლექტებას იმ კადრებით, რომლებსაც ექნებათ სახელმწიფო ძალაუფლება, განხორციელებენ სახელმწიფო ფინანსების მართვას, ან სახელმწიფო სერვისების მიწოდებას. საქართველოში ხელისუფლების ყველა შტოს წარმომადგენელი და პოლიტიკური ძალა ვალდებულია დაიცვას ის ფასეულობები, რომლებიც საფუძვლად უდევს ადმინისტრაციულ მმართველობას ევროპისა და ტრანსატლანტიკური თანამეგობრობის ქვეყნებში“.⁹

2015 წლის საჯარო სამსახურის შესახებ კანონი.¹⁰ 2015 წლის 27 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტის მიერ

⁸ საარჩებნო ბლოკი „ბიძინა ივანიშვილი - ქართული ოცნება“, საარჩევნო პროგრამა, საპარლამენტო არჩევნები, 2012 წ., გვ.18, <http://www.ivote.ge/images/doc/pdfs/ocnebis%20saarchevno%20programa.pdf> გადამონმებულია 05.08.2016.

⁹ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 19 ნოემბრის #627 დადგენილება „საჯარო სამსახურის რეფორმის კონცეფციის დამტკიცებისა და მასთან დაკავშირებული ზოგიერთი ღონისძიების შესახებ“.

¹⁰ საჯარო სამსახურის შესახებ კანონი, N4346-Il, 27/10/2015.

მიღებული ახალი საჯარო სამსახურის შესახებ კანონი წარმოადგენს საჯარო სამსახურის რეფორმირების უმთავრეს ნერტილს, მაგრამ არა საბოლოოს, რადგანაც აღნიშნული კანონი ძალაში შედის 2017 წლის 1 იანვრიდან. პრაქტიკა კი თავისთავად გამოავლენს რეფორმის ნაკლოვან თუ დადებით მხარეებს. გარდა ამისა, აღმასრულებელ ხელისუფლებას მისაღები აქვს მთელი რიგი რეფორმის სრულყოფისთვის საჭირო კანონქვემდებარე აქტები.

საჯარო სამსახურის რეფორმის ძირითადი მიმართულებები

2015 წლის საჯარო სამსახურის შესახებ კანონმა გაითვალისწინა წლების მანძილზე დაგროვილი გამოცდილება. შესაბამისად, ცვლილებები შეეხო თითქმის ყველა ნაწილს.

ახალი კანონის მიზანი. 1997 წლის კანონს ფაქტიურად არ გააჩნდა დეკლარირებული მიზანი. ახალ კანონს კი პირველივე მუხლში აქვს მკაფიოდ ჩამოყალიბებული, რომ მისი მიზანია „უზრუნველყოს კარიერულ წინსვლაზე, დამსახურებაზე, კეთილსინდისიერებაზე, პოლიტიკურ ნეიტრალიტეტზე, მიუკერძოებლობასა და ანგარიშვალდებულებაზე დაფუძნებული, სტაბილური, საქართველოს ერთიანი საჯარო სამსახურის ჩამოყალიბებისა და ფუნქციონირების სამართლებრივი საფუძვლების შექმნა.“

ახალი კანონის მიზანი სრულად მოიცავს იმ პრინციპებს, რომელთა ნაკლოვანებასაც განიცდიდა ქვეყანა კომუნისტურ და პოსტ-კომუნისტურ ეპოქაში. სამოქალაქო განათლების სწავლებაც სწორედ ამ პრინციპების დანერგვაზეა დაფუძნებული.

საჯარო სამსახურის პრინციპები. 1997 წლის კანონში საჯარო სამსახურის პრინციპები მხოლოდ ერთ მუხლშია გადმოცემული, რომელიც უბრალოდ ჩამოთვლის პრინციპებს და ისიც არასრულად. ახალ კანონში კი ამ ყველაფერს

ერთი თავი ეთმობა, სადაც ყველა პრინციპი ცალ-ცალკე მუხლადაა მოცემული და განმარტებული. ამასთან, ახალ კანონში დამატებულია ბევრი ახალი პრინციპი.

ქვემოთ მოკლედ წარმოვადგენთ იმ რამდენიმე უმთავრეს პრინციპს, რომელთაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ სამოქალაქო განათლების სწავლებაშიც.

კანონის წინაშე თანასწორობა. კანონის წინაშე თანასწორობა კონსტიტუციური პრინციპია. საჯარო სამსახურის შესახებ კანონმა კიდევ უფრო განავრცო მისი განმარტება: „ყველა საჯარო მოსამსახურე თანასწორია კანონის წინაშე. დაუშვებელია სამოხელეო სამართლებრივი ურთიერთობების მონაწილე საქართველოს ნებისმიერი მოქალაქის კანონიერი უფლებების, თავისუფლებებისა და კანონიერი ინტერესების შეზღუდვა ან მათი განხორციელებისათვის ხელის შეშლა, რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, ასაკის, მოქალაქეობის, წარმოშობის, დაბადების ან საცხოვრებელი ადგილის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, რელიგიის ან რწმენის, ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური კუთვნილების, პროფესიის, ოჯახური მდგომარეობის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, შეზღუდული შესაძლებლობის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობისა და გამოხატვის, პოლიტიკური ან სხვა გაერთიანებისადმი, მათ შორის, პროფესიული კავშირისადმი, კუთვნილების, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების ან სხვა ნიშნის მიუხედავად.“¹¹

ეკონომიურობა და ეფექტიანობა. საბიუჯეტო სახსრების არამიზნობრივი ხარჯვა, გაფლანგვა, პირადი მიზნებით გამოყენება ალბათ უცხო არ არის განსაკუთრებით პოსტ-კომუნისტური ქვეყნებისთვის. სწორედ ამის წინააღმდეგ გამოდის მოცემული პრინციპი: „საჯარო მოსამსახურე ვალდებულია რესურსების ეკონომიურად გამოყენებითა და ხარჯვით ეფექტიანად, სწორად და კოორდინირებულად წარმართოს საჯარო სამსახურში ორგანიზაციული პროცესი ხალხისა და სახელმწიფოს ინტერესების დასაცავად და ქვეყ-

¹¹ საჯარო სამსახურის შესახებ კანონი, N4346-IX, 27/10/2015, მუხლი 9.

ნის წინაშე მდგარი ამოცანების წარმატებით შესასრულებლად“.¹²

დამსახურებაზე დაფუძნებული საჯარო სამსახური.

კარიერული წინსვლის ხელშეწყობა მოცემული რეფორმის ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაა. პროტექცია და ნეპოტიზმი პოსტ-საბჭოთა სივრცისთვის უცხო არ არის. ახალი კანონი მიისწრაფვის დამსახურებაზე დაფუძნებულ საჯარო სამსახურისკენ: „მოხელის სამსახურში მიღების შესახებ გადანყვეტილება და მის კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებული სხვა გადანყვეტილება მიუკერძოებლად უნდა იქნეს მიღებული და უნდა ეფუძნებოდეს მოხელის კომპეტენციისა და სამუშაოს შესრულების უნარის სამართლიან და გამჭვირვალე შეფასებას, რომლის მიზანია საუკეთესო კანდიდატის შერჩევა“.

ამ პრინციპის უზრუნველსაყოფად მთელი რიგი სიახლეებია გათვალისწინებული ახალ კანონში. კერძოდ, ღია კონკურსები ცხადდება მხოლოდ ყველაზე დაბალ რანგზე, ხოლო ზედა რანგებზე პირი შეირჩევა დახურული კონკურსის წესით, ანუ იმ პირთაგან, ვინც უკვე დასაქმებულია საჯარო სამსახურში. ეს გამორიცხავს დამკვიდრებულ არაჯანსაღ პრაქტიკას, როცა გამოცდილი კადრები წლობით ერთსა და იმავე დონეზე არიან, ხოლო მათ ხელმძღვანელებად სრულიად გამოუცდელი პირები ინიშნებიან. კანონი ასევე ითვალისწინებს მოხელის ყოველწლიურ შეფასებას. შეფასების მიხედვით, საჯარო მოსამსახურეს შეიძლება მოემატოს კლასი. კლასის მომატება კი დანამატის მომატებასაც გულისხმობს.

მიუკერძოებლობა. ახალი დემოკრატიის ქვეყნებში ეს პრინციპი ხშირად ირღვევა. მოქალაქეთათვის საჯარო სამსახური უმეტესწილად გავლენების გამოყენებით პირადი კეთილდღეობის მიღწევასთან ასოცირდება. ახალი კანონის მიხედვით, „საჯარო მოსამსახურე თავისი სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებისას მიუკერძოებელი უნდა იყოს და უნდა ხელმძღვანელობდეს მხოლოდ საჯარო

¹² საჯარო სამსახურის შესახებ კანონი, N4346-IX, 27/10/2015, მუხლი 10.

ინტერესებით. მას ეკრძალება პირადი ინტერესებით ხელმძღვანელობა“.¹³

პოლიტიკური ნეიტრალიტეტი. ერთ-ერთ ყველაზე დიდ პრობლემას თანამედროვე საქართველოში საჯარო სამსახურისა და პოლიტიკური პროცესების ერთმანეთისგან გამიჯვნა წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, ახალი კანონი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს ამ პრობლემაზე: „საჯარო მოსამსახურეს უფლება არა აქვს, თავისი სამსახურებრივი მდგომარეობა პარტიული (პოლიტიკური) მიზნებისათვის ან/და ინტერესებისათვის გამოიყენოს. საჯარო მოსამსახურეს ასევე უფლება არა აქვს, სამუშაო საათებში ან სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებისას მონაწილეობა მიიღოს აგიტაციასა და წინასაარჩევნო კამპანიაში. საჯარო მოსამსახურეს ეკრძალება რომელიმე პოლიტიკური პარტიის, საარჩევნო სუბიექტის, საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატის მხარდასაჭერი ან სანინააღმდეგო აგიტაციისა და კამპანიის პროცესში ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება“.¹⁴

2003 წლის ვარდების რევოლუციას თან სდევდა საჯარო სამსახურებიდან პირთა მასიური გათავისუფლება. თუმცა იმ დროისთვის ეს უმეტეს შემთხვევაში დაუფარავად ხდებოდა, რადგანაც ახალ პოლიტიკურ ძალას მიზნად კორუფციის მოსპობა ჰქონდა დასახული, კორუფცია კი ბევრ უწყებაში თითქმის ყველა დონეზე არსებობდა.

2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ კი მიუხედავად მმართველი ძალის სხვაგვარი განცხადებებისა, პოლიტიკური ნიშნით საჯარო მოსამსახურეთა გათავისუფლებები მაინც განხორციელდა.


2013 წელს „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველომ“ ჩაატარა კვლევა.¹⁵ განსაკუთრებულ ეჭვს პირადი

¹³ საჯარო სამსახურის შესახებ კანონი, N4346-III, 27/10/2015, მუხლი 12.


¹⁴ საჯარო სამსახურის შესახებ კანონი, N4346-III, 27/10/2015, მუხლი 15.

¹⁵ საკადრო პოლიტიკა საჯარო სამსახურში 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ პერიოდში, „საერთაშორისო გამჭვირვალობა -

განცხადებით სამსახურიდან გათავისუფლების მსურველთა რაოდენობა იწვევს, თანაც ქვეყანაში არსებულ მძიმე სოცი-ალურ-ეკონომიკურ და უმუშევრობის ფონზე.



საინტერესოა აგრეთვე არჩევნების შემდეგ დასაქმებულ პირთა ოდენობაც. განსაკუთრებით ყურადსაღებია, რომ ფაქტიურად ყველა მათგანი უკონკურსოდ დაინიშნა.



საჯარო სამსახურიდან პოლიტიკური ნიშნით მასიურ გათავისუფლებებს ეხება საქართველოს უზენაესი სასამარ-

საქართველო“, 2013 წ. <http://www.transparency.ge/post/press-release/sakadro-politika-sajaro-samsakhurshi-2012-tslis-saparlamento-archevnebis-shemdeg-gadamონებულია 05.08.2016>.

თლოს 2014 წლის გადაწყვეტილება. მოცემულ საქმეში პირი, რომელიც ორსულად იმყოფებოდა, სამსახურიდან გათავისუფლდა პირადი განცხადების საფუძველზე. თუმცა სასამართლოში აცხადებდა, რომ ეს განცხადება მის ნამდვილ ნებას არ გამოხატავდა და ის იძულებით დაანერინეს, რადგანაც მისი მეუღლე ოპოზიციური პარტიის მხარდამჭერი იყო. მართლაც საეჭვოა, თუ რატომ უნდა დაენერა გათავისუფლების თაობაზე განცხადება ორსულ პირს, როდესაც მას ორსულობის და შემდგომ პერიოდში მთელ რიგ სოციალურ მხარდაჭერას უცხადებს კანონმდებლობა.

მოცემულ საქმეზე მსჯელობისას სასამართლომ ვრცელი და სიღრმისეული განმარტება მისცა არსებულ რეალობას. „საკასაციო სასამართლო თანამედროვე ევროპული სტანდარტებისა და გამოცდილების შესწავლის საფუძველზე ასკვნის, რომ სწორად ორგანიზებული და ფუნქციონირებადი საჯარო სამსახური არის დემოკრატიული სახელმწიფოს შექმნისა და ეფექტური მმართველობის განხორციელების წინაპირობა. ამგვარი სისტემის ჩამოყალიბება შეუძლებელია სამართლებრივი და ინსტიტუციონალური გარემოს გაუმჯობესების, მიკერძოებულობის, არაეთიკური ქცევისა და დისკრეციის არ დაშვების გარეშე. საზოგადოების თანამონაწილეობის ხარისხი და მასშტაბი მმართველობის განხორციელებაში დიდწილად არის დამოკიდებული სახელმწიფოსადმი, მისი ინსტიტუტებისადმი ნდობის, რწმენის ხარისხზე. მოსახლეობის ნდობის კოეფიციენტს კი რამდენიმე ფაქტორი განსაზღვრავს, მათ შორის, გამჭვირვალობა, კანონიერება, პროფესიონალიზმის დაფასება, ხელშეწყობა, ნახალისება, ობიექტურობა და ა. შ. [...] საჯარო სამსახურის ფუნქციონირების პრაქტიკის შესწავლა ცხადყოფს, რომ საქართველოში ჯერ კიდევ არ არის დაძლეული ნეპოტიზმი, თანამდებობათა ვინრო პარტიული და კორუფციული მიზნებისათვის გამოყენება, საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, სწორედ ხელმძღვანელი თანამდებობის პირის პასუხისმგებლობას წარმოადგენს კანონშესაბამისი, ჰუმანიზმისა და სამართლიანობის, მაღალკვალიფიციული და მაღალზნეობრივი, საზოგადოებისადმი სიყვარულისა და პატივისცემის ღირებულე-

ბებით გაჟღენთილი სამუშაო გარემოს შექმნა. [...] საჯარო სამსახურის დაწესებულების ხელმძღვანელსა და საჯარო მოხელეს შორის ურთიერთობა, რასაკვირველია, სუბორდინაციულ ხასიათს ატარებს, თუმცა აღნიშნული არავითარ შემთხვევაში, არ უნდა იქნეს გაგებული ერთგვარი „პატრონყმური“ ურთიერთობის შემცველად (რის პრეცედენტებიც არც თუ იშვიათია), საჯარო მოხელის როლის უბრალო „მორჩილი შემსრულებლის“ სტატუსამდე დაყვანად, რაც საჯარო მოხელეს შემოქმედებითი პროფესიული საქმიანობიდან მექანიკურ დასაქმებულ პირამდე აქცევს, ეს კი მის დემორალიზაციას იწვევს და აღარ გააჩნია თვითგანვითარებისა და ერის მსახურებისათვის საკმარისი მოტივაცია.“¹⁶

დასკვნა

ძლიერი საჯარო სამსახური ძლიერი სახელმწიფოს საწინდარია. საზოგადოებრივი სიკეთის შექმნა დიდწილად დამოკიდებულია საჯარო მმართველობის გამართულ ფუნქციონირებაზე.

საჯარო სამსახურის რეფორმის შედეგად მივიღეთ საკმაოდ ღირებულ პრინციპებზე დაფუძნებული კანონი. ჯერი ახლა მის აღსრულებაზეა. აღსრულების პროცესში განსაკუთრებული წვლილის შეტანა შეუძლია სამოქალაქო განათლებას. სწორედ სამოქალაქო თვითშეგნებით გამსჭვალულ საჯარო მოსამსახურეებს შეუძლიათ გაითავისონ კანონმდებლობაში მოცემული პრინციპები და მოახდინონ მათი განუხრელი დაცვა. წინააღმდეგ შემთხვევაში ეს ყველაფერი მხოლოდ ფურცელზე დაწერილად დარჩება და ვერ მოხდება პროტექციის, ნეპოტიზმის, პოლიტიკური მიკერძოებისა და სხვა ტრადიციული პრობლემების დაძლევა.

¹⁶ საქართველოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 18 თებერვლის #ბს-463-451(კ-13) გადაწყვეტილება.

ნაშრომიდანაც გამოჩნდა, რომ არსებულ სიტუაციაზე ზემოქმედება მხოლოდ კანონმდებელს კი არა, არამედ სხვა სუბიექტებსაც შეუძლიათ. მნიშვნელოვანია სასამართლოს როლი, რომელიც თავისი გადაწყვეტილებებითა და განმარტებებით ერთგვარ ზედამხედველობას უწევს საჯარო მოსამსახურეთა საქმიანობას. ასევე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მოქალაქეთა როლიც. მათ ყოველდღიურად უწევთ საჯარო მმართველობასთან შეხება, შესაბამისად, უნდა იყვნენ მოტივირებულები გამოავლინონ დარღვევები, გადაცდომები, ხმა აღიმალღონ უსამართლობის წინააღმდეგ. სამოქალაქო განათლების სწავლებაც გარკვეულწილად ამ მოტივაციის გაზრდას ემსახურება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Owen, Diana and Soule, Suzanne and Nairne, Jennifer, Civic Education and Development of Participatory Norms (2010). APSA 2010 Annual Meeting Paper, <http://ssrn.com/abstract=1644389> გადამონმეებულია 05.08.2016;
2. Owen, Diana and Chalif, Rebecca and Soule, Suzanne, Civic Education and Knowledge of Government and Politics (2011). APSA 2011 Annual Meeting Paper, <http://ssrn.com/abstract=1903270> გადამონმეებულია 05.08.2016;
3. მაცაბერიძე მ., ბიზნესი და პოლიტიკა საქართველოში (2003-06 წწ.), © სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, 2006 წ.;
4. არასამთავრობო ორგანიზაციების მიმართვა კორუფციასთან ბრძოლის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, 9 დეკემბერი 2013 წ., <https://idfi.ge/ge/news-96> გადამონმეებულია 05.08.2016;
5. საარჩევნო ბლოკი „ბიძინა ივანიშვილი — ქართული ოცნება“, საარჩევნო პროგრამა, საპარლამენტო არჩევნები,

2012 წ., გვ.18, <http://www.ivote.ge/images/doc/pdfs/-ocnebis%20saarchevno%20programa.pdf> გადამონმებულია 05.08.2016;

6. საკადრო პოლიტიკა საჯარო სამსახურში 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ პერიოდში, „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველო“, 2013 წ. <http://www.transparency.ge/post/press-release/sakadro-politika-sajaro-samsakhurshi-2012-tslis-saparlameto-archevnebis-shemdeg> გადამონმებულია 05.08.2016;
7. საქართველოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 18 თებერვლის #ბს-463-451(კ-13) გადაწყვეტილება;
8. საქართველოს კონსტიტუცია, N786, 24/08/1995;
9. საჯარო სამსახურის შესახებ კანონი, N1022, 31/10/1997;
10. საჯარო სამსახურის შესახებ კანონი, N4346-IX, 27/10/2015;
11. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, N2181, 25/06/1999;
12. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, N2352, 23/07/1999;
13. საქართველოს მთავრობის 2014 წლის 19 ნოემბრის #627 დადგენილება „საჯარო სამსახურის რეფორმის კონცეფციის დამტკიცებისა და მასთან დაკავშირებული ზოგიერთი ღონისძიების შესახებ“.

THE ROLE OF CIVIC EDUCATION IN PUBLIC ADMINISTRATION

Abstract

Civic education is largely associated with a person's civil liability. This responsibility includes the active participation in the political process as well as the introduction of mutual respect among citizens.

Civic education delivers citizens knowledge and values about the essence of the state and governance system and encourages them to see their roles in the state.

The main aim of the state is to protect human rights, create a safe environment and prosperity. These goals cannot be achieved without strong public service. Civic education encourages citizens to be more active in the public and state issues, raise their civic consciousness. This is especially important for persons employed in the public service sector, because it is impossible to move forward if the decision-makers have not understood the essence of the state, human rights, democratic principles, the government functions, etc.

The paper deals with the civil service development in Georgia. Georgia has carried out an in-depth reform of the public service. The new legislation provides for a number of important principles. These principles are relevant to the process of teaching civic education.

Protection, nepotism, political bias, etc, still remains as big problems in the post-Soviet space. The new legislation of Georgia is rebelling against all this. The paper also emphasizes the role of the court and civic education in this process.

ლია თეთრაძე
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის,
პოლიტოლოგიის ინსტიტუტის ასისტენტ მკვლევარი

**არჩევნები, როგორც დემოკრატიული
სახელმწიფოს მშენებლობის ინსტრუმენტი
სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში**

არჩევნები დემოკრატიის არსებობის წესია, ხალხის ნების გამოხატვით ხელისუფლებაში მმართველი ელიტებისა და კონკრეტული პიროვნებების შეცვლის გზაა. არჩევნების წარმატებით ჩატარება და საზოგადოების მიერ შედეგების აღიარება საზოგადოების დემოკრატიულობის არსებითი ნიშანია. აქედან გამომდინარე, ნებისმიერი დონის არჩევნების კანონიერების, დემოკრატიულობის თუ გამჭვირვალობის დასადგენად აუცილებელია განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს არა მხოლოდ კენჭისყრის დღეს, არამედ წინასაარჩევნო გარემოში მიმდინარე საარჩევნო პროცესს.

არჩევნების როგორც საზოგადოების დემოკრატიაზე გადასვლის ინსტრუმენტის მნიშვნელობა, მისი სიცოცხლისუნარიანობისა და ეფექტიანობის უმნიშვნელოვანესი პირობისა, უშუალოდ არის დამოკიდებული საარჩევნო პროცესის ორგანიზებაზე.

დემოკრატიული საარჩევნო უფლებების ბაზაზე ჩამოყალიბდა საარჩევნო პროცესის დემოკრატიული ორგანიზებისათვის დამახასიათებელი პრინციპები. მაგალითად, არჩევნების თავისუფლება, არჩევნები ალტერნატიული კანდიდატების პირობებში, არჩევნების შეჯიბრებადობა, კონკურენტულობა, არჩევნების პერიოდულობა და რეგულარულობა, პოლიტიკური პარტიებისა და კანდიდატების შესაძლებლობათა თანასწორობა, საზოგადოების მხრიდან კონტროლის შესაძლებლობა. თუმცა რიგ შემთხვევაში არჩევნების დემოკრატიული პრინციპების შენარჩუნების მნიშვნელოვან,

ზოგჯერ კი გადამწყვეტ გარანტიას გარეშე ფაქტორები წარმოადგენს, მაგ: საერთაშორისო კონტროლი და ა. შ.

საქართველოს, სომხეთსა და აზერბაიჯანში დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის მიზნით, ხორციელდება სისტემური რეფორმები, ცვლილებები ეხება საარჩევნო სისტემასაც, თუმცა საარჩევნო პროცესის დროს, როგორც წესი, უფრო მკაფიოდ ვლინდება ხოლმე ის სისტემური ხარვეზები, რაც ხელს უშლის არჩევნების ჩატარებას დემოკრატიული საარჩევნო პრინციპების საფუძველზე, რაც მოცემულ ქვეყნებში არსებულ დემოკრატიას კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს. ამის ნათელი დადასტურებაა ბოლო, 2015 წლის 1 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნები აზერბაიჯანში, რომელიც, ანალიტიკოსების შეფასებით, ყველაზე უარესი იყო იმ პროცესების გათვალისწინებით, რასაც ქვეყანაში ჰქონდა ადგილი ხელისუფლების მხრიდან ადამიანის უფლებებისა და საარჩევნო მონიტორინგის შეზღუდვის სახით. თუმცა ეს არ გულისხმობს იმას, რომ საარჩევნო პროცესი დემოკრატიული პრინციპების სრული დაცვით ტარდება სომხეთსა და საქართველოში.

სტატიაში განვიხილავ საქართველოს 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების და მიმდინარე, 2016 წლის 8 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების წინასაარჩევნო გარემოს ცალკეულ ასპექტებს. პარალელურს გავავლებ სომხეთსა და აზერბაიჯანის ბოლო საპარლამენტო არჩევნებთან. შედარებითი ანალიზი საშუალებას მოგვცემს განვსაზღვროთ რამდენად უზრუნველყოფს სისტემა კონკურენტუნარიან და სამართლიან გარემოს საარჩევნო კამპანიის წარმოების პროცესში და შესაბამისად პოლიტიკური ფგუფების ინტერესების წარმომადგენლობას უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში. სტატიაში აქცენტი კეთდება იმაზე თუ რამდენად უწყობს ხელს ამ კუთხით არსებული მდგომარეობა დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობას.

2015 წლის 1 ნოემბერს აზერბაიჯანში რიგით მეხუთე საპარლამენტო არჩევნები გაიმართა, რომელშიც მმართველმა პარტიამ გაიმარჯვა. ცესკოს მონაცემებით, პრეზი-

დენტ ილჰამ ალიევის პარტიამ — „ახალი აზერბაიჯანი“ — 125-ადგილიან პარლამენტში 70 ადგილი მოიპოვა. დანარჩენი ადგილები კი პრეზიდენტისადმი ლოიალურად განწყობილმა სუბიექტებმა დაიკავეს¹⁷

აზერბაიჯანის ცესკოს მონაცემებით, ამომრჩეველთა სიაში რეგისტრირებული იყო 769 კანდიდატი. კანდიდატები 15 პარტიისა და ერთი საარჩევნო კოალიციის მიერ იყვნენ წარდგენილები.¹⁸

აზერბაიჯანის ხელისუფლებამ განაცხადა, რომ 1 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნები აზერბაიჯანში დემოკრატიულ გარემოში ჩატარდა. აზერბაიჯანის საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით მსგავსი შეფასებები გაკეთდა რუსეთის სადამკვირვებლო მისიის მხრიდან.

საარჩევნო პროცესის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაზე, კენჭისყრის პროცესის პროფესიულ და ტექნიკურ გამართულობაზე, ამომრჩეველთა საარჩევნო უბნებზე თავისუფალ წვდომაზე, კენჭისყრის პროცესის მშვიდ გარემოში ჩატარებასა და მათ შორის საარჩევნო უბნების დაახლოებით 20 %-ის ვიდეო გადაღების უზრუნველყოფაზე, საუბარია ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის განცხადებაშიც¹⁹, თუმცა მთავარი მაინც წინასასარჩევნო გარემოა, რომლის დემოკრატიული პრინციპების შესაბამისად უზრუნველყოფას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს თავისუფალი, დემოკრატიული არჩევნების ჩატარების პროცესში.

ამ თვალსაზრისით 2015 წლის 1 ნოემბრის მილი-მეჯლისის არჩევნები, ანალიტიკოსების შეფასებით, ყველაზე უარესი იყო იმ პროცესების გათვალისწინებით, რასაც ქვეყანაში ქონდა ადგილი ხელისუფლების მხრიდან ადამიანის

¹⁷ იხ. ბმული. <http://www.bbc.com/news/world-europe-34692390> ნანახია: 20.05.2016

¹⁸ იხ. ბმული. <http://www.kavkaz-uzel.eu/articles/270926/> © Кавказский Узел. ნანახია: 17.05.2016.

¹⁹ იხ. ბმული <http://assembly.coe.int/nw/xml/News/News-View-EN.asp?newsid=5856&cat=31> ნანახია: 20.05.2016

უფლებებისა და საარჩევნო მონიტორინგის შეზღუდვის სახით.

აზერბაიჯანის პარლამენტის 2015 წლის 1 ნოემბრის არჩევნების შესახებ არსებულ სტატიებში, წინასაარჩევნო გარემოს შესახებ თვალსაზრისით ურთიერთსაწინააღმდეგო შეფასებები გვხვდება. კერძოდ, ხელისუფლების წარმომადგენლები, არჩევნების დემოკრატიულად ჩატარებაზე საუბრობენ, ხოლო საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიები, მაგალითად, ეუთო და ასევე აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი თავის განცხადებებში არაჯანსაღ საარჩევნო გარემოზე, დარღვევებზე, ზენოლაზე, დაძინებასა და არაკონკურენტუნარიან გარემოზე საუბრობენ. ამაზე აპელირებს ოპოზიციაც, რაც არჩევნებზე მათი ბოიკოტის წინაპირობა გახდა.²⁰

საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობისათვის ოპოზიციას ერთ ბლოკად გაერთიანდა, კერძოდ, ბლოკი „თავისუფლება 2015“ 7 ლიბერალურ პარტიას აერთიანებდა. თავდაპირველად ყველაზე მეტი კანდიდატი ამ ბლოკში გაერთიანებულ სახალხო ფრონტმა, პარტიებმა — „მუსავატი“ და „უმიდი“ დაასახელეს. თუმცა მოგვიანებით „აზერბაიჯანის სახალხო ფრონტმა“, „მუსავატმა“ და „დემოკრატიული ძალების ეროვნულმა საბჭომ“ განაცხადეს არჩევნების ბოიკოტირების შესახებ. სახალხო ფრონტის თავმჯდომარის ალი კარიმლის თქმით, ქვეყანაში არ არსებობს დემოკრატიული სისტემა, რაც აუცილებელია არჩევნების ჩასატარებლად. მისი განცხადებით „ხელისუფლებამ უნდა შექმნას ისეთი გარემო, როცა არჩევნებში იარსებებს შეჯიბრობითობა და კონკურენცია“²¹

არჩევნებამდე ხუთი დღით ადრე პარტია „მუსავატმა“ განაცხადა, რომ ისიც ბოიკოტს უცხადებს 1 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებს. მისი ლიდერი არიფ ჰაჯილი სააგენტო როიტერთან საუბარში ამბობს, რომ მისმა პარტიამ არ-

²⁰ <http://www.state.gov/r/pa/prs/ps/2015/11/249109.htm> ნანახია 20.05.2016

²¹ მ. მაცაბერიძე. 2016. გვ. 23

ჩვენებში მონაწილეობაზე უარი წინასაარჩევნო პერიოდში დაფიქსირებული დარღვევების გამო თქვა²².

საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობაზე უარი თქვა აზერბაიჯანის ძირითადმა ოპოზიციურმა ალიანსმა, „დემოკრატიულ ძალთა ეროვნულმა საბჭომ.“ მისი განცხადებით, აზერბაიჯანში თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების ჩასატარებლად არანაირი პირობები არ არსებობს, ამიტომ ოპოზიცია არ აპირებს არჩევნების იმიტაციაში მონაწილეობით მას ლეგიტიმურობა შესძინოს. 1 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებს ბოიკოტი გამოუცხადა აზერბაიჯანის დემოკრატიულმა პარტიამაც.

მირალი ჰუსეინოვის, საარჩევნო საკითხების სპეციალისტი აზერბაიჯანში, განცხადებით: „ბევრი კანდიდატი აცნობიერებს, რომ არსებული პოლიტიკური და სამართლებრივი გარემო ზღუდავს მათ შესაძლებლობას წარმოაჩინონ თავიანთი პოლიტიკური გზავნილები და საქმე ელექტორატის წინაშე. არსებობს ასევე ნაკლები ნდობა თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების ჩატარების კუთხით. თავიანთი მდგომარეობის ხელახლა შეფასების შემდეგ კანდიდატები აცნობიერებენ, რომ ისინი ვერ იქნებიან არჩეულები და ამჯობინებენ არ დახარჯონ დამატებითი რესურსები ამ არჩევნებზე“.

აზერბაიჯანში აღარ დარჩნენ ადგილობრივი ექსპერტები, რომლებიც მონიტორინგს გაუწევენ არჩევნებს და კომენტარს გააკეთებენ წინასაარჩევნო გარემოზე. ადამიანის უფლებათა სფეროში ევროსაბჭოს კომისრის, ნილს მუჟნიკსის თქმით, — „უფლებადამცველები, ჟურნალისტები და ადგილობრივი საარჩევნო დამკვირვებლები აღარ არსებობენ, რეპრესიული კანონმდებლობის, შეთხზული ბრალდებებით დაპატიმრების ან ქვეყნიდან მათი გაქცევის იძულების შედეგად. ამ ვითარებაში შეუძლებელია არჩევნებთან დაკავშირებით რაიმე გონივრული დებატების ჩატარება, ან მისი ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფა“.

²² იხ. ბმული. <http://www.tabula.ge/ge/story/101295-azerbaijanis-saparlameto-archevnebshi-mmartvelma-partiam-gaimarjva> ნანახია 18.05.2016.

ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის დემოკრატიის და ადამიანის უფლებათა კომიტეტის ხელმძღვანელის 2015 წლის 27 ოქტომბრის განცხადებით „აზერბაიჯანის ამჟამინდელი მთავრობის იერიშს ძირითადად თავისუფლებებზე „განსაკუთრებით დამაზიანებელი გავლენა“ აქვს ქვეყნის საარჩევნო პროცესზე.²³

შეზღუდვები იყო მედიაზე ხელმისაწვდომობის თვალსაზრისითაც. ოპოზიციური პარტიებისთვის დამატებით პრობლემას ქმნიდა უფასო საეთერო და სარეკლამო დროზე წვდომა და პოლიტიკური რეკლამის მაღალი ფასი²⁴.

ეუთოს საპარლამენტო ასამბლეამ უარი განაცხადა გაეგზავნა სადამკვირვებლო მისია ბაქოში საპარლამენტო არჩევნების დასაკვირვებლად. ეუთოს ადამიანის უფლებების და დემოკრატიული ინსტიტუტების ბიურომ მისი საარჩევნო-სადამკვირვებლო მისია, მას შემდეგ გააუქმა, რაც აზერბაიჯანის მთავრობამ მათ აკრძალვები დაუწესა.²⁵ მიუხედავად ამისა, ძალიან მნიშვნელოვანია, ანგარიში, სადაც საუბარია აზერბაიჯანში წინასაარჩევნო გარემოს მანკიერ მხარეებზე, მოქმედი კანონმდებლობისა და არსებული მდგომარეობის შეუსაბამობაზე, რაც დისკრიმინაციული და არა კონკურენტუნარიანი საარჩევნო გარემოს შექმნის საფუძველი ხდება.

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშის მიხედვით, 2015 წელს აზერბაიჯანში პოლიტიკური თავისუფლების შეზღუდვა, ამომრჩევლის უფლებების დარღვევა, აქტივისტების სისხლის სამართლებრივი დევნა, არასამთავრობო ორგანიზაციებზე ზეწოლა და მედიაზე ცენზურის გამკაცრება შეინიშნებოდა. აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა გა-

²³ მ.მაცაბერიძე. 2016 გვ 24–26.

²⁴ იხ. ბმული: <http://www.kavkaz-uzel.eu/articles/270926/> © Кавказский Узел. ნანახია: 17.05.2016.

²⁵ <http://www.osce.org/odihr/elections/azerbaijan/179216?download=true> ნანახია: 20.05.2016

მოთქვა ნუხილი ეუთოს სადამკვირვებლო მისიის დაუშვებლობის გამო.²⁶

თუმცა ამას დისკომფორტი არ შეუქმნია აზერბაიჯანის ხელისუფლებისთვის. მაგალითად, პრემიერ-მინისტრის მოადგილე, ალი აჰმადოვი დსთ — სადამკვირვებლო მისიის წარმომადგენლებთან შეხვედრის დროს, ხაზს უსვამს არჩევნების დემოკრატიულად და გამჭვირვალედ ჩატარებას, ხოლო მისიის წარმომადგენლები კმაყოფილებას გამოთქვამენ შექმნილი საარჩევნო გარემოს შესახებ.²⁷

რამდენადმე განსხვავებული ვითარებაა სომხეთში. სომხეთის ეროვნულ კრებაში (პარლამენტში) 131 ადგილია. 90 დეპუტატი პარტიების პროპორციული სიებით ირჩევა, 44 კი — მაჟორიტარული სისტემით. უფლებამოსილების ვადა განისაზღვრება 4 წლით.

2012 წლის ეროვნული კრების არჩევნებისთვის არ იყო მთლად თავისუფალი და კონკურენტუნარიანი საარჩევნო გარემო. ოპოზიციური პარტიები და სადამკვირვებლო ორგანიზაციები ადამიანის უფლებების დარღვევაზე ამახვილებდნენ ყურადღებას. მიუხედავად ამისა, აზერბაიჯანისაგან განსხვავებით, საარჩევნო კომისიის მიერ გამოქვეყნებული შედეგების მიხედვით, მმართველმა რესპუბლიკურმა პარტიამ ხმების 44% მიიღო. მეორე ადგილზე 30%-ით ამჟამინდელ სამთავრობო კოალიციაში მყოფი აყვავებული სომხეთის პარტია გავიდა. პარლამენტში მოხვედრა ხმების 7%-ით ყოფილი პრეზიდენტის, ლევონ ტერ-პეტროსიანის ცენტრისტულმა სომხეთის ეროვნულმა კონგრესმაც შეძლო. 5%-იანი ბარიერის გადალახვა ასევე მოახერხა: ლიბერალურ-ცენ-

²⁶ იხ. ბმული.

<http://kvira.ge/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9B%E1%83%AC%E1%83%98%E1%83%A4%E1%83%9D-%E1%83%93%E1%83%94%E1%83%9E%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%A2-6/> ნანახია: 18.05.2016

²⁷ იხ. ბმული. http://en.azvision.az/There_is_a_democratic_-21586-xeber.html ნანახია: 20.05.2016

ტრისტულმა მემკვიდრეობამ, ცენტრისტულმა კანონის ძალაუფლებამ და დაშნაკცუტიუნმა.

არჩევნების შემდეგ სომხური მედია ღიად ალაპარაკდა ამომრჩეველთა მოსყიდვაზე და ამომრჩეველთა რაოდენობის ხელოვნურად გაზრდაზე.²⁸

საარჩევნო სადამკვირვებლო მისიების წარმომადგენლობის თვალსაზრისით მკაცრი შეზღუდვები არ ყოფილა. მათ მეტ-ნაკლებად მიეცათ არჩევნებზე მონიტორინგის განხორციელების შესაძლებლობა. თუმცა აღნიშნული ფაქტორი არ აღმოჩნდა თავისუფალი არჩევნების ჩატარების გარანტი.

არჩევნები ნაკლებად იყო დამძიმებული ტრადიციული კონფლიქტებით მთავრობასა და ოპოზიციას შორის — ის უფრო მმართველი კოალიციის წევრებს შორის ადგილების გადანაწილებას მოგვაგონებდა.

სომხეთში საპარლამენტო არჩევნების მიმდინარეობა ეუთომ შეაფასა. არჩევნები, მათი აზრით, კონკურენტულ გარემოში და ძირითადად მშვიდობიანად ჩატარდა. თუმცა დოკუმენტში წერია, რომ იყო დარღვევები დემოკრატიულ პროცესში, რაც კენჭისყრის მიმართ ნდობის შერყევას უწყობს ხელს. კრიტიკა გამოთქმული იმ ფაქტის მიმართ, რომ სომხეთის საარჩევნო კანონში შეტანილი დადებითი ცვლილებების გატარება არ მოხერხდა. ლაპარაკია იმაზეც, რომ ამომრჩეველთა არაზუსტი სიები მანიპულირების საშუალებას იძლეოდა.

„წლევანდელ განცხადებაში ეუთომ საარჩევნო რეფორმების და ღია გარემოს შექმნისთვის სომხეთის მთავრობა კი შეაქო, თუმცა ხაზი გაუსვა პოლიტიკურ პარტიებსა და საზოგადოებას შორის ნდობის ნაკლებობას.“²⁹

პარტიების წარმომადგენლობის შეზღუდვისკენაა მიმართული 2015 წლის 6 დეკემბრის რეფერენდუმზე მიღებული საკონტიტუციო ცვლილებების პაკეტი, რადგან ცვლილე-

²⁸ იხ. ბმული. <http://netgazeti.ge/news/14892/> ნანახია 20.05.2016

²⁹ იხ. ბმული. <http://www.tabula.ge/ge/story/59538-somxetsi-mmartveli-partiimarjvebs> ნანახია: 16.05.2016

ბა რომელიც ითვალისწინებს საპარლამენტო უმრავლესობის ჩამოყალიბებას, არ გამორიცხავს არჩევნების მეორე ტურის ჩატარების შესაძლებლობას, რაც ერთის მხრივ, ზღუდავს სხვა პარტიების მოხვედრას ეროვნულ კრებაში, მეორეს მხრივ უფლებელყოფს იმ პარტიების მხარდამჭერთა არჩევანს და უფლებას ყავდეს თავისი წარმომადგენელი ეროვნულ კრებაში, რომელთაც მოახერხეს კანონით დაწესებული საარჩევნო ბარიერის გადალახვა.

სომხეთის კონსტიტუციის ახალი რედაქციით, ეროვნული კრება (პარლამენტი) აირჩევა ხუთი წლის ვადით, პროპორციული სისტემით და შედგება 101 დეპუტატისაგან. იმ შემთხვევაში თუ არჩევნების შედეგებით ვერცერთი პოლიტიკური ძალა ვერ შეძლებს უმრავლესობის ფორმირებას, ჩატარდება საპარლამენტო არჩევნების მეორე ტური, რომელშიც ორი პოლიტიკური პარტია ან ბლოკი მიიღებს მონაწილეობას, რომლებმაც ყველაზე მეტი ხმა მიიღეს პირველ ტურში.³⁰ აღნიშნული საკონსტიტუციო ცვლილებებს ეწინააღმდეგებიან და უარყოფითად აფასებენ ოპოზიციური პარტიები და ექსპერტები.

„ახალი სომხეთის“ პოლიტსაბჭოს წევრის და სომხეთის პოლიტოლოგთა კავშირის თავმჯდომარის, ამაიაკ ოვანისიანის განცხადებით: „პირდაპირი არჩევნების ინსტიტუტი და მრავალპარტიული სისტემა — ეს არის ის, რასაც მივალწიეთ საბჭოთა კავშირის ნგრევის შემდეგ, როცა გადავლახეთ ტოტალიტარული რეჟიმის მემკვიდრეობა. ახლა ჩვენ გვართმევენ ამ დემოკრატიულ მონაპოვარს და გამოდის, რომ პრეზიდენტის ინიციატივით მივექანებით უკან — საბჭოთა ტოტალიტარიზმისაკენ.“ იგი კონსტიტუციური ცვლილებით გათვალისწინებულ არჩევნების მეორე ტურს საპარლამენტო უმრავლესობის ფორმირების ანტიდემოკრატიულ მეთოდად განიხილავს და დასძენს, რომ „მეორე ტური — ეს არის ხალხის ნების ტრანსფორმაცია ელიტებს შორის მოლაპარაკების

³⁰ მ. მაცაბერიძე. 2016. გვ 15

გზით. რეზულტატი მიიღწევა საზოგადოების გვერდის ავლით. დემოკრატიული სახელმწიფოს ნაცვლად იქმნება საბჭოთა ტიპის კორპორატიული სახელმწიფო“.³¹

ამდენად, 2015 წლის 6 დეკემბრის რეფერენდუმით მიღებული საკონსტიტუციო ცვლილებები დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობისთვის უფრო შემაფერხებელ გარემოებად შეიძლება განვიხილოთ ვიდრე დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის ხელშემწყობ ფაქტორად.

განსხვავებული ვითარებაა საქართველოს შემთხვევაში. 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნებისათვის საარჩევნო გარემო, ბევრად უფრო თავისუფალი და კონკურენტუნარიანი იყო ვიდრე სომხეთსა და აზერბაიჯანში. საარჩევნო სადამკვირვებლო მისიების თვალსაზრისით, ხელისშემშლელი გარემოებები არ არსებობდა, როგორც საერთაშორისო ისე ადგილობრივ ორგანიზაციებს, რომელთაც აკრედიტაცია გაიარეს არჩევნებზე მონიტორინგის განხორციელების მიზნით,³² კანონით დადგენილი წესით, ქონდათ მონიტორინგის დაუბრკოლებლად განხორციელების შესაძლებლობა. თუმცა, მხოლოდ ეს არ არის საკმარისი თავისუფალი დემოკრატიული არჩევნების ჩასატარებლად. არჩევნების მონიტორინგის ანგარიშებში, როგორც უცხოელი ისე ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციები ყურადღებას ამახვილებენ ცალკეული ტიპის დარღვევებზე და საკანონმდებლო ხარვეზებზე, რაც ხელს უშლის კონკურენტუნარიანი თავისუფალი დემოკრატიული არჩევნების ჩატარებას. მაგალითად, კვლავინდებურად ფიქსირდებოდა ამომრჩეველთა მოსყიდვის, ზენოლისა და დაშინების ფაქტები. სახელისუფლებო პარტიის მხრიდან ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების შემთხვევები. პრობლემები წარმოჩინდა უფასო საეთერო და სარეკლამო დროის განაწილების თვალსაზრისით, ციხის სკანდალის გამო საარჩევნო კამპანია პოლარიზდა 2 სუბიექტის — ერთიანი ნაციონალ-

³¹ მ. მაცაბერიძე. 2016 გვ 17.

³² იხ. ბმული. [file:///C:/Users/Dell/Downloads/26434%20\(2\).pdf](file:///C:/Users/Dell/Downloads/26434%20(2).pdf) გვ. 31–34. ნანახია 21.05.2016

ური მოძრაობისა და კოალიცია ქართული ოცნებას გარშემო, რამაც დანარჩენი პოლიტიკური სუბიექტები (მაგ. ქრისტიან-დემოკრატები, ახალი მემარჯვენეები) აქტიური და მასშტაბური კამპანიების მიუხედავად თამაშგარე მდგომარეობაში დატოვა. თუმცა მიუხედავად ხარვეზებისა ყველა ანგარიშში ერთმნიშვნელოვნად ფიქსირდება პროგრესი, საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების თვალსაზრისით.

კონკურენტუნარიანი და თავისუფალი საარჩევნო გარემოს საკითხი დღესაც აქტუალურია, რადგან 2016 წლის 8 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებისთვის წინასაარჩევნო კამპანია 8 ივნისიდან ოფიციალურად დაიწყო. ოპოზიციური პარტიების უმეტესობა აქცენტებს არათანაბარ დისკრიმინაციულ საარჩევნო გარემოზე აკეთებს. ისინი აპროტესტებენ საარჩევნო კოდექსში განხორციელებულ ცვლილებებს, რომელიც ეხება უფასო სარეკლამო დროის განაწილებას, კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს შორის და ა.შ. მიუხედავად ხარვეზებისა, მიმდინარე საარჩევნო კამპანია მშვიდ გარემოში მიმდინარეობს, ამომრჩევლებს აქვთ შესაძლებლობა მიიღონ პარტიების წინასაარჩევნო პროგრამების და წარდგენილი კანდიდატების შესახებ ინფორმაცია როგორც უშუალოდ პარტიების წარმომადგენლებთან შეხვედრების დროს, ასევე ტელევიზიით და სოციალური მედიით. ეს ის შემთხვევაა, როდესაც საარჩევნო კამპანიის პროცესი გასცდა 60 დღიან ვადას და 4 თვით ადრე ოფიციალურად კანონით დადგენილი წესით გამოცხადდა. აღნიშნული ვადა საკმარისია ფართომასშტაბიანი კამპანიის ჩასატარებლად, თუმცა ამ შემთხვევაში გადამწყვეტი შეიძლება ცალკეული პარტიის თუ კანდიდატის რესურსები აღმოჩნდეს, რადგან მატერიალურად სუსტ პარტიებს არ შესწევთ უნარი კონკურენცია გაუწიონ კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს, რომელთაც, გარდა უფასო სარეკლამო დროისა, აქვთ ფასიანი რეკლამების განთავსების ფინანსები და წვდომა ადმინისტრაციულ რესურსებზე.

დასკვნის სახით, შეიძლება ითქვას, რომ აზერბაიჯანში არჩევნები უფრო ძალაუფლების განმტკიცების საფუძველია

ვიდრე დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის ინსტრუმენტი. სომხეთის შემთხვევაში დემოკრატიული, თავისუფალი და გამჭვირვალე არჩევნების ჩატარებისაკენ გადადგმული რამდენიმე ნაბიჯი 2012 წლის 6 მაისის საპარლამენტო არჩევნებზე, ვერ აღმოჩნდა სტიმული შემდგომი არჩევნების კიდევ უფრო დემოკრატიულად ჩასატარებლად, რადგან რეფერენდუმზე ხალხის მიერ მათსავე სანინააღმდეგოდ მიმართული საკონსტიტუციო ცვლილებების მხარდაჭერამ ეს პროცესი უკან დახია და არჩევნები ძალაუფლების განმტკიცების ინსტრუმენტად უფრო აქცია, ვიდრე დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის იარაღად.

რაც შეეხება საქართველოს, განსხვავებით აზერბაიჯანისა და სომხეთისაგან, საერთაშორისო და ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციების რეკომენდაციების გათვალისწინება და მათი ასახვა საარჩევნო კანონმდებლობაში, ხელს უწყობს საარჩევნო სისტემის და გარემოს დემოკრატიზაციას. არსებული ხარვეზების მიუხედავად, საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებისაკენ მიმართული ძალისხმევით, არჩევნები ყალიბდება როგორც ძალაუფლების შენარჩუნებისა და დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის ინსტრუმენტი.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აზერბაიჯანის საპარლამენტო არჩევნებში მმართველმა პარტიამ გაიმარჯვა. 02.11.2015 <http://www.tabula.ge/ge/story/101295-azerbaijanis-saparlameto-archevnebshimmartvelma-partiam-gaimarjva> ნანახია: 20.05.2016
2. დამკვირვებელი: აზერბაიჯანში არჩევნები დიდი აქტივობით მიმდინარეობს. 01.11.2016 <http://www.ipress.ge/new/16478-damkvirvelbi-azerbaijanshi-archevebi-mosakhleobis-didi-aqtivobit-mimdinareobs> ნანახია: 19.05.2016

3. ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის საბოლოო ანგარიში. საქართველო. საპარლამენტო არჩევნები 2012 წლის 1 ოქტომბერი. ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი. ვარშავა. 21.12.2012
<http://www.osce.org/ka/odihr/elections/98585?download=true> ნანახია 15.05.2016
4. წინასაარჩევნო გარემოს შეფასება. „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველო“ „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“. 26.10.2013. <http://www.transparency.ge/node/3510> ნანახია: 18.05.2016.
5. ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) წინასაარჩევნო დელეგაციის ანგარიში. თბილისი, საქართველო, 06.09.2013. <https://www.ndi.org/files/Georgia-PEAM-090613-GEO.pdf> ნანახია: 20.05.2016.
6. მაცაბერიძე. მ. თანამედროვე სომხეთის პოლიტიკური სისტემა. (სალექციო კურსი) თბ. 2016
7. მაცაბერიძე მ. თანამედროვე აზერბაიჯანის პოლიტიკური სისტემა. (სალექციო კურსი) თბ. 2016
8. მაცაბერიძე. მ. არჩევნები და საზოგადოება. თბ. 2003
9. პრეზიდენტები პრეზიდენტობისთვის. 11.07.2012
<http://netgazeti.ge/news/14892/> ნანახია: 20.05.2012
10. რას უმზადებს არჩევნები სომხეთს? 03.05.2012
<http://gazetiajara.ge/new/2012-05-03-13-25-13/> ნანახია: 19.05.2016
11. საპარლამენტო არჩევნები აზერბაიჯანში. 01.11.2015.
<http://newsday.ge/new/index.php/ka/component/k2/item/9945->

- %E1%83%90%E1%83%96%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%98 ნანახია: 20.05.2016
12. სახელმწიფო დეპარტამენტი აზერბაიჯანში ადამიანის უფლებების დარღვევაზე ამახვილებს ყურადღებას. 15.04.2016.
<http://kvira.ge/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9B%E1%83%AC%E1%83%98%E1%83%A4%E1%83%9D-%E1%83%93%E1%83%94%E1%83%9E%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%A2-6/> ნანახია: 18.05.2016
13. სომხეთში არჩევნების წინასწარი მონაცემები შეაჯამეს. 07.05.2012. <http://internet.ge/?l=GE&m=1&sm=0&ID=2498> ნანახია: 20.05.2016
14. სომხეთის ოპოზიციური პარტიის ლიდერი ბრალდებას უსაფუძვლოდ მიიჩნევს. 05.11.2012.
<http://reporter.ge/somxeti-oskaniani/> ნანახია: 17.05.2016.
15. სომხეთში საპარლამენტო არჩევნები მიმდინარეობს. 06.05.2012.
<http://www.interpressnews.ge/ge/msoflio/200267-somkhethshi-saparlameto-archevnebi-mimdinareobs.html?ar=A> ნანახია: 20.05.2016
16. სომხეთში მმართველი პარტია იმარჯვებს. 15.05.2012
<http://www.tabula.ge/ge/story/59538-somxetshi-mmartveli-partia-imarjvebs> ნანახია: 20.05.2016
17. Оппозиция в Азербайджане заявляет об ограничении возможностей для предвыборной агитации. 20.10.2015.
 Источник: <http://www.kavkaz-uzel.eu/articles/270926/> © Кавказский Узел. ნანახია: 17.05.2016.

18. Azerbaijan election: Ruling party wins amid boycott.
01.11.2015 <http://www.bbc.com/news/world-europe-34692390> 66666666: 20.05.2016
19. There is a democratic electoral environment in Azerbaijan —
Ali Ahmadov. 31.10.2015
http://en.azvision.az/There_is_a_democratic_-21586-xeber.html 66666666: 20.05.2016
20. Azerbaijan's Parliamentary Elections. Press Statement.
Elizabeth Trudeau. Director, Office of Press Relations.
Washington, DC. November 2, 2015
<http://www.state.gov/r/pa/prs/ps/2015/11/249109.htm> 6666-
6666 20.05.2016

**ELECTIONS AS THE INSTRUMENT OF BUILDING
DEMOCRATIC STATE IN THE SOUTH CAUCASUS
COUNTRIES**

Abstract

Elections is the rule of democracy, by the expression of will of the people it is the way to change ruling elite and individuals in the government. Successfully conducted elections and recognition of the results by the public is the essential feature of public democracy. Therefore, in order to determine the legitimacy of elections, democracy or transparency it is necessary to pay special attention not only on the voting day, but also the election process in pre-election environment. The importance of elections as an instrument of democratic transition, its viability and effectiveness of the most important commitment is directly dependent on the electoral process organization. Characteristic principles of the democratic organization for election process formed on the basis of the democratic voting rights, for example freedom of elections, elections in Alternative candidates condition, competitiveness, periodicity and regularity of the elections, political parties and candidates equality of opportunity, an opportunity for public scrutiny. However, in some cases, important or sometimes crucial guarantee of maintaining the democratic principles of elections are external factors. for example: the international control and so on.

For the purpose of democratic society building in Georgia, Armenia and Azerbaijan there are carried out systemic reforms, changes to the electoral system, however, during the election process, as a rule, systemic flaws are revealed more clearly, which

prevents the election of a democratic electoral principles, what calls into question the democracy of the countries. The clear example of this is the last November 1, 2015 parliamentary elections in Azerbaijan, which was the worst according to analyst's evaluation, in accordance with the processes which had taken the place in the country from the government, in the form of human rights and election monitoring restrictions. However, this does not mean that the electoral process is conducted in full compliance with the principles of democracy in Armenia and Georgia.

In the article I consider some aspects of the 2012 parliamentary elections and current parliamentary elections on October 8, 2016, the pre-election environment. I will make parallel with the recent parliamentary elections in Armenia and Azerbaijan. A comparative analysis will allow us to determine how the system will provide a fair and competitive environment in the election campaign in accordance with the represented political groups interests in highest legislative body. Will be used as the legal sources, as well as various political actors, international organizations and non-governmental views. The report will focus on how the current situation contributes in this regard to the construction of a democratic state.

გიორგი მელიქიძე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
პოლიტიკის მეცნიერების დეპარტამენტის დოქტორანტი

**პოლიტიკის იდეოლოგიზაცია: საქართველოს
პარტიული სისტემის ანალიზი**

შესავალი

საქართველოში დემოკრატიული კონსოლიდაციის შეფერხება უმთავრესად განპირობებულია სუსტი პარტიული სისტემით. პოსტსაბჭოთა ქვეყნებში არსებული პოლიტიკური კულტურა ვერ ქმნის შესაძლებლობას განვითარდეს პარტიულ პროგრამაზე დაფუძნებული კონკურენცია. ქვეყანაში პარტიების ჩამოყალიბება უფრო მეტად პოლიტიკური ელიტის ინტერესებს ემსახურება, ვიდრე საზოგადოების მოთხოვნას (Bader, 2008, p. 85).

სუსტი პარტიული სისტემის ერთ-ერთი მახასიათებელია საზოგადოებასთან სუსტი კავშირი (Bertelsmann Transformation Index (BTI), 2008, p. 10). საქართველოში პარტიული სისტემა გამოირჩევა მმართველი პარტიის დომინირებით, რომელსაც არ აქვს უნარი წარმოადგინოს საზოგადოებრივი ინტერესები. საზოგადოებრივი ინტერესების არტიკულაცია-აგრეგაციის თვალსაზრისით უუნარო აღმოჩნდნენ ოპოზიციური პარტიებიც. პარტიულმა სისტემამ ვერ შეძლო ეთამაშა მედიატორის როლი საზოგადოებასა და სახელმწიფოს შორის.

საქართველოში არსებული ერთპარტიული დომინანტური პოლიტიკა განპირობებულია იმ ისტორიულ-პოლტიკური ფონით, რაც ქვეყანაში უკანასკნელი ორი ათწლეულის მანძილზე არსებობდა. საქართველო რევოლუციური ტალღის ქვეშ არაერთხელ აღმოჩნდა. ამგვარ ვითარებაში მმართველ ჯგუფს საშუალება ეძლევა მთლიანად აიღოს ხელში ძალაუფ-

ლება, ხოლო კონკურენტული გარემო კი ხშირად მხოლოდ იმიტირებულა დემოკრატიული ფონის შესაქმნელად. „მოქალაქეთა კავშირი“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წარმოადგენდა „სახელისუფლებო პარტიას,“ რომლის მიზანიც იყო ქვეყნის პარტიულ პოლიტიკაში დომინირება” (Burnell, Gerrits, p. 26). ამ კუთხით საქართველოს მიაკუთვნებდნენ კონკურენტული ავტორიტარიზმის (Levitsky, Way, 2010, pp. 51-65) რეჟიმს, სადაც პლურალიზმი მხოლოდ ზედაპირული ხასიათისაა, პოლიტიკური კონკურენცია კი იგნორირებულია და იმართება მმართველი პარტიის მხრიდან (Lazarus, 2010, p.3).

სტაბილურობის ზედაპირული შთაბეჭდილების მიუხედავად, პარტიული სისტემა მოკლებულია რეპრეზენტატიულობას და კონკურენტუნარიანობას. „პარტიების მიერ საზოგადოებრივ ინტერესებზე დამყარებული პროგრამის წარმოჩენა მხოლოდ ფარდაა, რომელსაც იმისთვის იყენებენ, რომ საკუთარი მოსახლეობა დაარწმუნონ, თითქოს პარტია მართლა ზრუნავს მათზე“ (Wheatley, 2005, p. 158). იდეოლოგიური სისუსტე, თავის მხრივ, განაპირობებს პარტიული სისტემის მიდრეკილებას პარტიების დაშლისა და გაქრობისკენ, რაც უახლოეს მომავალში უცვლელად შენარჩუნდება. საქართველოს მიაკუთვნებენ იმ იშვიათ გამონაკლის ქვეყნებს, სადაც პოლიტიკოსს შესაძლოა ჰქონდეს ელექტორატის D3/4 -ის მხარდაჭერა, მცირე ხნის შემდეგ კი იძულებით გადააყენონ თანამდებობიდან (Jawad, 2006, p. 35).

პარტიული სისტემის ანალიზი

საქართველოს პარტიული სისტემა იდეოლოგიის თვალსაზრისით დაბალი პოლარიზაციით ხასიათდება (Nodia, Scoltbach, 2006, p. 85). აღსანიშნავია, რომ ამომრჩეველს უჭირს პარტიებს შორის არსებული იდეოლოგიური განსხვავებების აღქმა. „საერთაშორისო რესპუბლიკურმა ინსტიტუტმა“ 2004 წლის ივნისში განახორციელა კვლევა, რომლის მიზანიც იყო რესპოდენტების აღქმის გამოვლენა პარტიების მემარჯვენე-

მემარცხენედ დაყოფასთან დაკავშირებით. გამოკითხულთა 39%-ისთვის რთული აღმოჩნდა პასუხის გაცემა. რესპოდენტთა 12% კი „ახალ მემარჯვენეებსა“ და „მრენველებს“ მემარცხენე პარტიებად მიიჩნევდა, რომლებიც საქართველოში, როგორც ყველაზე მემარჯვენე ორიენტაციის მქონე პოლიტიკურ ძალებად ითვლებოდნენ (International Republican Institute, June 11-21, 2004, p. 29). საქართველოში დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ პარტიების უმრავლესობა ერიდება დაიკავოს მკვეთრად გამოხატული მემარცხენე ან მემარჯვენე პოზიცია, რაც განაპირობებულია საზოგადოებასთან სუსტი კავშირით და იდეოლოგიური სიმყიფით.


საქართველოში პარტიებს შორის კონკურენცია მიმდინარეობს არა იდეოლოგიური შეჯიბრის ქრილში, არამედ ემსგავსება დაპირისპირებას თამაშის წესებთან დაკავშირებით. პარტიებისა და ამომრჩევლის განხილვის თემა უმეტესწილად არის საარჩევნო პროცედურებთან დაკავშირებული საკითხები და არა იდეოლოგიური სხვადასხვაობა. ამომრჩეველსა და პარტიებს შორის სუსტ პროგრამულ-იდეოლოგიურ კავშირს პარტიების განსაკუთრებით დიდი რაოდენობაც განაპირობებს. არაერთი პატარა პარტიის არსებობის გამო იფანტება იდენტური ინტერესების მქონე სოციალური ჯგუფების ხმები და ვერ ხდება შესაბამისი სოციალური ფენის ინტერესების წარმოდგენა.

პოლიტიკაში იდეოლოგიის დაკნინება და აქტიური პერსონალიზაცია უკავშირდება პოლიტიკოსების, როგორც დამოუკიდებელი აქტორების მოქმედებას. სუსტი პარტიული სისტემის პირობებში, ამომრჩეველი არჩევანს აკეთებს ლიდერზე ფოკუსირებით, პარტიები საკომუნიკაციო სტრატეგიას აგებენ ლიდერზე დაყრდნობით, მედია კი პოლიტიკას წარმოადგენს ინდივიდუალური დაპირისპირების დონეზე და არა პარტიული შეჯიბრის ქრილში. ამგვარ სიტუაციაში პოლიტიკოსი იქცევა, როგორც ინდივიდუალური აქტორი და არა როგორც კონკრეტული პარტიის წევრი (Von Alest, Sheaffer, Sheaffer and Stanyer, 2012, p. 204).

საქართველოში პარტიული აქტივისტები აღიარებენ, რომ პარტიისთვის უმნიშვნელოვანესი რესურსია ლიდერის პერსონალური მახასიათებლები. ეს ადასტურებს ლიდერის მნიშვნელობას ეროვნულ და ადგილობრივ დონეზე. ლიდერს უნდა ახასიათებდეს: სახელის ცნობადობა, ფინანსური რესურსები, კავშირები გავლენიან ჯგუფებთან და ორგანიზაციებთან (Nodia, Scoltbach, 2006, p. 193).

2008 წლის საპარლამენტო არჩევნებზე, კონკურენტებისაგან განსხვავებით, რესპუბლიკურმა პარტიამ წარადგინა მკაფიოდ განწერილი საარჩევნო პროგრამა, თუმცა რესპუბლიკელებმა ყველაზე ნაკლები ხმა მიიღეს. ამავე წლის რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნებზე მეორე ადგილი დაიკავა ლევან გაჩეჩილაძემ, რომლის საარჩევნო პროგრამა რესპუბლიკელების პროგრამასთან შედარებით მოკრძალებულად გამოიყურებოდა, თუმცა იგი აქცენტს ქარიზმატულობასა და ენერგიულობაზე აკეთებდა (Civil Georgia, 2008).

2008 წლის საპარლამენტო არჩევნებზე მიღებული მანდატები




დიაგრამა № 1 (წყარო: საქართველო — არჩევნების ისტორია 1990-2010)

პედერსენის ინდექსის (Pedersen's, 1983) მიხედვით, რომელიც ასახავს ელექტორატის დამოკიდებულების ცვალებადობას, საქართველოში ცვალებადობის პროცენტული მაჩვენებელი 1992-1995 წლებში 75%-ს აღწევდა, ხოლო 1995-1999 წლებში კი — 46%-მდე დაეცა (Wheatley, 2005, p. 158). აღნიშნული მაჩვენებელი აღმოსავლეთ ევროპის სხვა სახელმწიფოებთან შედარებით საკმაოდ მაღალია და საქართველოს

პარტიული სისტემის ინსტიტუციონალიზაციის კუთხით არსებულ პრობლემებზე მიუთითებს.

საქართველოში პარტიების ლეგიტიმაციის დონე დაბალია. მთელ რიგ შემთხვევებში პოლიტიკოსები პარტიულ კუთვნილებას ხელისშემშლელ ფაქტორად მიიჩნევენ და არ მიეკუთვნებიან არცერთ პარტიას. 2001 წელს „გორბის“ მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად, გამოკითხულთა 4,4% აცხადებდა, რომ ისინი კონკრეტული პოლიტიკური პარტიის წევრები იყვნენ. აღსანიშნავია, რომ მათი ნახევარი ამტკიცებდა, რომ „საქართველოს მოქალაქეთა კავშირის“ წევრები იყვნენ, პარტიისა, რომელიც ორი წლის შემდეგ საერთოდ გაქრა (Nodia, 2003, p. 30), თუმცა 2004 წლის ივნისში „საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის“ მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების თანახმად მოსახლეობის პოლიტიკური პარტიისადმი მიკუთვნებულობის მაჩვენებელი 2,6%-მდე დაცა (Nodia, Pinto Scoltbach, 2006, p. 105).

პოლიტიკური პარტიების მიმართ დამოკიდებულება



დიაგრამა №2 (წყარო: **International Republican Institute, A) Georgian National Study, October 20 to November, 3, 2004, p. 52;** B) *Georgian National Study, October 18 — 30, 2005, p. 75;* C) *Georgian National Study, April 8 — April 19, 2006, p. 75;* D) *Georgian National Study, August 31 — September 10, 2007, p. 67;* E) *Georgian National Study, September 23 — October 1, 2008, p. 44;*

F) *Georgian National Study, June 16 — 25, 2009, p. 46*; G) *Georgian National Study, April 26 — May 4 2011, p. 54*; H) *Georgian National Study, June 26 — July 4, 2012, p. 29*).

სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნების მსგავსად, საქართველოშიც აღინიშნება პარტიული სისტემის იდეოლოგიური სისუსტე ქარიზმატული ლიდერების ფონზე. პარტიის ლიდერები საარჩევნო კამპანიის მთავარი შემოქმედნი არიან, პარტიას საკუთარი პოლიტიკური მიზნებისთვის იყენებენ (Jawad, 2006), ეს უკანასკნელნი კი პოლიტიკური ლიდერის ინსტრუმენტს წარმოადგენენ და ნაკლებად არიან ორიენტირებული მხარდამჭერთა ინტერესების გამოხატვაზე (Broers, 2005, p. 336). ქვეყანაში ყველაზე გავლენიანი პარტიების ამოცანაა მათი ლიდერების მხარდაჭერა (Freedom House, 2008, p. 238) და ყურადღების მიღმა რჩება მკაფიო იდეოლოგიის, ღირებულებებისა და ხედვის ჩამოყალიბება. ელექტორატი მთელ რიგ შემთხვევებში პარტიას მხარს უჭერდა არა იმის გამო, რომ მისი ამომრჩეველი იყო, არამედ იმიტომ, რომ არსებული მმართველი გუნდით იყო უკმაყოფილო (Kandelaki, 2008, p. 275).

საქართველოში 1995 წლის შემდეგ ეფექტური პარტიების რაოდენობა არ არის მაღალი, თუმცა არამდგრადობა (ფრაგმენტაცია) კვლავ მაღალია, რაც განპირობებულია შემდეგი მიზეზებით: მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში პარტიების რაოდენობა 220-ს აღწევს, მათი უმრავლესობა არ ღებულობს აქტიურ პოლიტიკურ პროცესში მონაწილეობას, რაც ფრაგმენტაციის დონის განსაზღვრისას იწვევს მაღალ ცდომილებას, რადგან „ფრაგმენტაციის მაჩვენებელი ნაკლებად მნიშვნელოვან თუნდაც რეგისტრირებულ და წევრთა გარკვეული რაოდენობის მქონე პარტიებს არ მოიცავს“ (პარტიული სისტემა საქართველოში; გზამკვლევი პოლიტიკური პარტიებისთვის, 2007), არაერთი პატარა პარტიის არსებობის გამო იფანტება იდენტური ინტერესების მქონე სოციალური ჯგუფების ხმები და სუსტდება პარტიები, რაც იწვევს პოლიტიკური სისტემის ფრაგმენტაციას. საქართველოს პოლიტიკური

სისტემა ხასიათდება (მმართველი პარტიის) ხმების მაღალი კონცენტრაციით და ოპოზიციური პარტიების დაბალი მხარდაჭერით, რომელიც გამოირჩევა ფრაგმენტაციის მაღალი დონით (Nodia, Scoltbach, 2006, p. 108).

საქართველოს პარტიული სისტემა კიდევ ერთი თავისებურების მატარებელია. ქართული პარტიები დასავლეთში არსებული პარტიების განვითარების მოდელის მიმდევრები არიან. ამის ერთ-ერთი გამოხატულებაა ტრანსნაციონალური პარტიული ორგანიზაციების წევრობა (რესპუბლიკური პარტია არის ევროპული ლიბერალ დემოკრატების წევრი, საქართველოს ქრისტიან-დემოკრატიული გაერთიანება, ეროვნულ დემოკრატიული პარტია და სახალხო პარტია არიან საერთაშორისო ცენტრისტული დემოკრატების წევრები; ერთიანი ნაციონალური მოძრაობა არის ევროპის სახალხო პარტიის წევრი). უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარი ტენდენცია ადგილობრივი პოლიტიკური ძალების მხრიდან უმეტესწილად პრესტიჟის საკითხად აღიქმება (Bader, 2010, p. 71).

პარლამენტარის სტატუსის მოპოვება პოლიტიკოსების მთავარი მიზანია, ხოლო პარტია კი ამ მიზნის მიღწევის უმთავრესი ბერკეტი. პარტიული დისციპლინის ნაკლებობა და პარტიების ხშირი ცვლა პარტიების არამდგრადობის კიდევ ერთი მიზეზია. ის დეპუტატები, რომლებიც აირჩიეს პარტიული სიის მიხედვით ხშირად იცვლიდნენ პარტიას (Bader, 2007, p. 11). ქვეყანაში წლების მანძილზე მკვეთრად დაპირისპირებული პარტიები (რომელთა წყალგამყოფიც უმთავრესად არა იდეოლოგიური, არამედ პროცედურული საკითხები იყო), სუსტი პოლიტიკური აქტორები, დომინანტი მმართველი პარტია და მერყევი (არასტაბილური) ამომრჩეველი ქმნიდა საარჩევნო არამდგრადობის მთლიან სურათს (Bielsiak, 2005, p. 353). ამგვარ პირობებში პოლიტიკურ ძალებს არ აქვთ სტაბილურობის განცდა და ორიენტირებული არიან მოკლევადიან (მიმდინარე წინასაარჩევნო) წარმატებაზე. აღნიშნული ფაქტორები ძირს უთხრის პოლიტიკის იდეოლოგიზაციას და მას მხოლოდ ფასადურ მნიშვნელობას სძენს.

დასკვნა

საქართველოში მკვეთრად გამოხატული იდეოლოგიური პოზიციის დაკავება პარტიებში დიდი რისკის შემცველ ნაბიჯად ფასდება. პარტიების მიერ დეკლარირებული პლატფორმა და საარჩევნო პროგრამა მხოლოდ იმიტაციაა და პარტიების იდეოლოგია დაბალი პოლარიზაციით ხასიათდება. დანაწევრებული მრავალპარტიული სისტემა ხელს უწყობს ამომრჩეველსა და პარტიებს შორის კავშირის შესუსტებას, ხოლო პარტიული კონკურენცია კი ლიდერებისა და პროცედურული საკითხების დონეზე გადის. საქართველო ელექტორატის მხრიდან პარტისადმი მიკუთვნებულობის მაჩვენებლის ცვალებადობის თვალსაზრისით ერთ-ერთ მონინავე პოზიციას იკავებს. შემოთქმული ვითარების ფონზე, დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ საქართველოს პარტიული სისტემა განიცდის კრიზისს საზოგადოებრივი ინტერესების არტიკულაცია-აგრეგაციის და ამომრჩეველსა და პარტიებს შორის პროგრამულ / იდეოლოგიური კავშირის თვალსაზრისით.

გამოყენებული ლიტერატურა

1. კავკასიური ინსტიტუტის, ნიდერლანდების მრავალპარტიული დემოკრატიული ინსტიტუტისა და ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ერთობლივი პროექტი, (2007). *პარტიული სისტემა საქართველოში; გზამკვლევი* პოლიტიკური პარტიებისთვის, №2, CIPDD.
2. Bader, (2007), *Making parties fit for democracy: Georgia, Ukraine and the Challenge for democracy assistance*. Opleidiging Europese Studies, Universiteit van Amsterdam. მოძიებული 18 იანვარი, 2015
3. Bader, M. (2008). Fluid Party Politics and the Challenge for Democracy Assistance in Georgia. In: *Caucasian Review of*

- International Affairs* 2(2). მოძიებული 18 იანვარი, 2015
http://www.cria-online.org/3_3.html
4. Bader, M. (2010). *Against All odds; Aiding Political Parties in Georgia and Ukraine* Amsterdam University Press.
 5. Bertelsmann Transformation Index (BTI), 2008. მოძიებული 13 თებერვალი, 2015, <http://www.bertelsmann-transformation-index.de/>
 6. Bielsiak, J. (2005). Party competition in emerging democracies: representation and effectiveness in post-communism and beyond, in: *Democratization* 12:3. მოძიებული 20 თებერვალი, 2015, <http://www.tandfonline.com/doi/abs/10.1080/13510340500126764#.VdJGgSbJJuM>
 7. Broers, L. (2005), After the revolution: civil society and the challenge of consolidating democracy In Georgia, In: *Central Asian Survey*, Vol. 24, No. 3. მოძიებული 10 თებერვალი, 2015 https://www.academia.edu/6979623/After_the_revolution_civil_society_and_the_challenges_of_consolidating_democracy_in_Georgia
 8. Burnell, P. and Gerrits, A. W. M. (2011). *Promoting Party Politics In Emerging Democracies*. Routledge.
 9. Civil Georgia, „parties and Elections Blocs,” May 14, 2008, მოძიებული 13 თებერვალი, 2015 <http://www.civil.ge/eng/article.php?id=17830>.
 10. International Republican Institute, A) *Georgian National Study, October 20 to November, 3, 2004, p.20*; B) *Georgian National Study, October 18 — 30, 2005, p. 37*; C) *Georgian National Study, April 8 — April 19, 2006, p. 37*; D) *Georgian National Study, August 31 — September 10, 2007, p. 28*; E) *Georgian National Study, June 16 — 25, 2009, p. 18*; F) *Georgian National Study, April 26 — May 4 2011, p. 22*;
 11. Jawad, P. 2006. *Diversity, Conflict, and State Failure: Chances and Challenges for Democratic Consolidation in Georgia after the „Rose Revolution.*” Cornell University Occasional Paper.

12. Kandelaki, K. (2008). „Local Government in Georgia: Developing New Rules in the Old Environment.’ *LGI Report (Open Society Institute)*, მოდიებული 20 დეკემბერი, 2014 <http://www.eurasi-anet.org/resource/gegeorgia/links/government.shtml>
13. Lazarus, J. (2010). Neo-Liberal State Building and Western „Democracy Promotion:” the case of Georgia. Prepared for delivery at the 2010 SGIR 7th Pan-European Conference on International Relations, Stockholm, Sweden, September 9-11, 2010
14. Levitsy, S., Way, L. (2002). The rise of Competitive Authoritarianism. In: *Journal of Democracy* 13 (2).
15. Nodia, G. (2003). Political Parties in Georgia. In: *Building Democracy in Georgia. Developing a Democratic Community in Georgia*. Discussion Paper 7.
16. Nodia, G. and Scoltbach, A.P. (2006), *The Political Landscape of Georgia*. Caucasus Institute for Peace, Democracy and Development, Tbilisi.
17. Pedersen, M. N. „Changing Patterns of Electoral Volatility in European Party Systems, 1948-1977,” in Hans Daalder and Peter Mar (eds.), In: *Western European Party Systems: Continuity and Change*. Beverly Hills, CA: Sage, 1983, pp. 29-66
18. Von Alest, D., Sheaffer, T. and Sheaffer, T. and Stanyer, J. (2012), The Personalization of mediated political Communication: A review of concepts, operationalizations and key findings, in: *Journalism* 13(2). მოდიებული 17 თებერვალი, 2015 https://www.academia.edu/1513659/The_personalization_of_m ediated_political_communication_A_review_of_concepts_operat ionalizations_and_key_findings
19. Wheatley, J. (2005), *Georgia from national awakening to Rose Revolution: delayed transition in former Soviet Union*. Ashgate, Aldershot.

Giorgi Melikidze
PhD Student in the Department of the Political Science
at Tbilisi State University

POLITICAL IDEOLOGIZATION: ANALYSIS OF GEORGIAN POLITICAL SYSTEM

Abstract

Many authors have argued, that the importance of the ideological foundations of politics in the world is in decline. Georgia is joining the ranks of the hybrid countries, whose major challenges were the fair competition of political government and unconstitutional change of government. The majority of the political parties in Georgia are relatively newly and immature. Under such conditions, parties are quickly formed and disappeared. The lack of ideological basis is one of the most important problem facing political parties.

In Georgia during the last three decades parties of power have dominated legislatures. Politics is characterised by instability, conflict and the so called competitive authoritarianism. Georgian political parties are top-down organizations and failing to forge links with georgian society. They are mostly short on ideology and correspond on the catch-all party type. The political parties lack institutional inclusion and representation on all societal levels. The formation of the parties in Georgia serves to political and economical elites rather than social factors. The low levels of party identification bear witness to the failure of parties to forge bonds with potential supporters.

Characteristic of Georgian political parties is an excessive role of leaders personalities and a great measure of the elites who are behind the creation of parties. Most influential parties are machines for ensuring support for their individual leaders. Political figures with an independent profile and high name recognition are not eager to take a second or third spot in any party. As usual, the creation of parties in Georgia results from a leader figure or a small group.

Key words: Georgia, Political Parties, Ideological basis, Personalization

მანანა დარჩაშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

სამოქალაქო საქმორი და სახელმწიფო ქალთა
პოლიტიკური მონაწილეობის შესახებ
თანამედროვე საქართველოში

ქალთა პოლიტიკაში ჩართულობა ცხარე განსჯის თემაა საზოგადოებრივი გაერთიანებებისა და პოლიტიკოსებისათვის. საკითხის აქტუალობაზე მათი ძალისხმევით განხორციელებული, ქალი წარმომადგენლების რაოდენობის ზრდასთან დაკავშირებული, მთელი რიგი ღონისძიებები მეტყველებს. თუმცა, არსებული რეალობა ძალიან შორს არის დემოკრატიული სახელმწიფოს მოთხოვნებისგან. შესაბამისად, საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების ხელშეწყობით დღის წესრიგშია სათანადო კანონმდებლობის მომზადება და მიღება, რათა წარმომადგენლობით ორგანოებში (სხვადასხვა დონეზე) განხორციელდეს გენდერული თანასწორობის დაცვა და მოხდეს პოლიტიკურ პროცესებში ქალთა ჩართულობის გაძლიერება, რის საშუალებითაც გარანტირებული იქნება თანამედროვე სამართლიანი საზოგადოების სტანდარტებთან მიახლოება.

საქართველოს გენდერული თანასწორობისათვის საერთაშორისო სამართლებრივი და პოლიტიკური სტანდარტების გათვალისწინების ვალდებულება, ჯერ კიდევ 1994 წლიდან აქვს, როდესაც მიუერთდა კონვენციას ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ (CEDAW)³³, რომლის მიხედვით კომიტეტში, მთავრობის ეროვნული ანგარიშის გარდა, არასამთავრობო ორგანიზაციებ-

³³ მიღებულია გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ 1979 წელს, 1981 წელს ძალაში შევიდა.

ის ალტერნატიული ანგარიშიც უნდა იყოს ნარდგენილი (სულ მცირე ოთხ წელიწადში ერთხელ), რომელსაც არასამთავრობო სექტორი ამზადებს. მათი განხილვის საფუძველზე კი კომიტეტის მიერ ხდება რეკომენდაციების შემუშავება.

თითქმის ამავე დროიდან (1995 წელი) პეკინის კონფერენციაზე³⁴ მიღებული დეკლარაცია და სამოქმედო პლატფორმა, რომლის მონაწილეა საქართველო, 12 პრიორიტეტული სფეროდან, ერთ-ერთად მიიჩნევს — ქალთა მონაწილეობას სახელმწიფოს მმართველობასა და გადწყვეტილებების მიღების პროცესში.

უნდა აღინიშნოს, რომ სამოქალაქო საზოგადოების აქტიური ხელშეწყობით საქართველოს პარლამენტის მიერ (2013 წ.)³⁵ მიღებულია დადგენილება: „საქართველოში გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელების ღონისძიებათა 2014-2016 წლების სამოქმედო გეგმა“, რომლის 8 ძირითადი მიმართულებიდან ერთ-ერთი „ქალი და პოლიტიკა“³⁶, გადწყვეტილების მიღების პროცესში ქალთა მონაწილეობის გაზრდის ხელშეწყობის შესახებ ამოცანად ისახავს:

1. პოლიტიკურ ცხოვრებაში ქალისა და მამაკაცის თანაბარი მონაწილეობის ხელშეწყობას. შესრულებისათვის ძირითად საქმიანობად მიიჩნევს: ა. პოლიტიკურ პარტიებთან თანამშრომლობას; გენდერული თანასწორობის საკითხებზე პოლიტიკური პარტიების წარმომადგენელთა ცნობიერების დონის ამაღლებას; პოლიტიკური პარტიების პროგრამებში გენდერული თანასწორობის ასპექტების გათვალისწინებას.

³⁴ საქართველოს ხელისუფლება 1995 წლის, პეკინის მეოთხე მსოფლიო კონფერენციიდან მოყოლებული, რომელიც მიჩნეულია ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესების ახალი ეტაპის დასაწყისად, ნაწილობრივ ცდილობს გაითვალისწინოს ქვეყანაში საერთაშორისო სტანდარტები.

³⁵ <http://www.parliament.ge/ge/saparlamento-saqmianoba/komitetebi/garemos-dacvisa-da-bunabrivi-resursebis-komiteti/sxdomis-oqmebi/sxdomis-oqmi-n481.page> ნანახია 02.05. 2015წ.

³⁶ გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელება საქართველოში ნანახია 02.06. 2015 წ.

ბ. პოლიტიკურ პარტიებთან თანამშრომლობას, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ არჩევით ორგანოებში ქალთა წარმომადგენლობის წამახალისებელი კვოტის შესრულებაში. გ. საარჩევნო სიების გენდერული ნიშნის მიხედვით აღრიცხვას.

2. არჩევით ორგანოებში ქალთა წარმომადგენლობის გაზრდა, რომელიც შესრულებისათვის ძირითად საქმიანობად მიიჩნევა: შესაბამისი კანონმდებლობის დახვეწას.

3. გადანაცვტილების მიღებაში ქალთა მონაწილეობის გაზრდის ხელშეწყობა სამინისტროებსა და სხვა უწყებებში, აქ კი აქცენტი მაღალ თანამდებობებზე ქალთა დანიშვნის ანალიზს და ხელის შემშლელი ფაქტორების გამოვლენას ეხება.

ეს ყველაფერი მიუთითებს იმაზე, რომ ბოლო დროს საქართველოში პოლიტიკურ ცხოვრებაში ქალთა ჩართულობაზე მსჯელობას სისტემატური ხასიათი აქვს. მთელი რიგი საერთაშორისო თუ ადგილობრივი ორგანიზაციების მიერ არაერთი ღონისძიება განხორციელდა ამასთან დაკავშირებით. საქართველოს ხელისუფლება ცდილობს, ქალის პოლიტიკური გააქტიურების მიზნით, მისი ქვეყნის განვითარების პროცესში აქტიური მონაწილეობისათვის, გაითვალისწინოს და ქვეყანაში დაამკვიდროს გენდერული თანასწორობის საერთაშორისო სტანდარტები.

ქვეყანაში საკითხის აქტუალიზაცია გამოიწვია იმ ფაქტმაც, რომ საქართველოს, პარლამენტში ქალთა წარმომადგენლობის მიხედვით რეგიონში არცთუ ისე სახარბიელო მაჩვენებლის მქონე ქვეყნებს შორისაა³⁷, მაშინ როცა არაერთხელ აღინიშნება იმის შესახებ, რომ „ქალების სისტემატური ჩართულობა ხელს უწყობს პოლიტიკური ეფექტურობის გაძლიერებას და პოლიტიკური დღის წესრიგის გაფართოებას“. სწორედ ამიტომ, მთელი რიგი საერთაშორისო თუ ადგილობრივი ორგანიზაციების მიერ არაერთი ღონისძიება განხორციელდა, რომელიც ქართულ პოლიტიკურ სივრცეში ამ

³⁷ http://www.cesko.ge/files/Documents/PDF/saxeli/daskvnebi_30_ivlisi.pdf
ნანახია 05.07.2013წ.

ნაკლოვანების აღმოფხვრას ემსახურება³⁸. გახშირდა საუბარი ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის პოზიტიური მხარის წარმოჩენის შესახებ.

ქალი პოლიტიკოსები მხარს უჭერენ ყურადღების ეპიცენტრში მყოფ სამოქალაქო სექტორს, ისინი — ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის შესახებ 2014 წლის ივნისიდან ლობირებდნენ გენდერულ კვოტას³⁹. ამასთან, აქტიურად მიმდინარეობს განხილვები საკანონმდებლო დონეზე, კერძოდ, საერთაშორისო-სამართლებრივი სტანდარტების დაცვით — «გენდერული თანასწორობის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე».

საყურადღებოა, რომ პოლიტიკური პარტიები წინასწარჩევნო პერიოდში ქალთა პოლიტიკაში მონაწილეობის საკითხზე საპროგრამო დოკუმენტებში ყურადღებას ხშირად ამახვილებენ. თუმცა, ბოლოდროინდელი საპარლამენტო (2012 წ.), საპრეზიდენტო (2013 წ.) და თვითმმართველობის (2014 წ.) არჩევნებზე მათ საკითხთან დაკავშირებული დაპირებები ვერ შეასრულეს.

³⁸ 2014 წელს ხელი მოეწერა ევროპის საბჭოს კონვენციას „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“; ამავე დროს ხელი მოეწერა ქართული პოლიტიკისთვის მნიშვნელოვან დოკუმენტს - ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმებას, რომელიც სხვა საკითხებთან ერთდ ხელისუფლებას ქალთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებას, მმართველობით ორგანოებში ქალთა როლის ზრდას ავალდებულებს.

³⁹ გენდერული კვოტა, პოლიტიკაში გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის ერთ-ერთ მექანიზმი, როგორც დროებით სპეციალურ ზომა, პოლიტიკურ პარტიებს, საარჩევნო ბლოკებს პარტიულ სიებში ყოველი მეორე განსხვავებული სქესის წარმომადგენლის ჩასმას ავალდებულებდა. აღნიშნული ინიციატივა მორგებული იყო არსებულ საარჩევნო სისტემას, სადაც 77 წევრი აირჩევა პროპორციული სისტემით ხოლო 73 - მაჟორიტარულით. შეთავაზებული კვოტირების მექანიზმი ეხება მხოლოდ პროპორციულ სისტემას და ექვემდებარება გადახედვას საარჩევნო სისტემის შეცვლის შემთხვევაში. არსებული სისტემით საპარლამენტო არჩევნების ჩატარების შემთხვევაში შემოთავაზებული კვოტები უზრუნველყოფს პროპორციული წესით არჩეული 77 წევრიდან 38 ქალ პარლამენტარს, რაც წარმოადგენს პარლამენტის მთლიანი შემადგენლობის 25 პროცენტს.

მართალია 2012 წლის არჩევნების შედეგების მიხედვით საქართველოს პარლამენტში ქალი დეპუტატების რიცხვი გაიზარდა (გაორმაგდა) და აქამდე არსებულ ყველა მაჩვენებელს აღემატება, მაგრამ, მდგომარეობა მაინც არასახარბიელოა, რადგან მცირე იყო არჩევნებში მონაწილე ქალი კანდიდატების რიცხვი⁴⁰, არსებული საერთო სურათის მიხედვით, 16 საარჩევნო სუბიექტიდან ნებაყოფლობითი კვოტა⁴¹, მხოლოდ ექვსმა სუბიექტმა შეასრულა⁴².

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებულმა სუბიექტებმა — ნაციონალურმა მოძრაობამ და ქართულმა ოცნებამ ეს ნორმა არ შეასრულა, მათ მიერ წარმოდგენილ საარჩევნო სიაში „ნაციონალურმა მოძრაობამ“ მეორე ათეულში, ხოლო „ქართულმა ოცნებამ“ პირველივე ათეულშივე დაარღვია. პროპორციული სისტემით „ნაციონალურმა მოძრაობამ“ 155 კანდიდატიდან სიაში მხოლოდ 17 ქალი და „ქართულმა ოცნებამ“ კი 200 კანდიდატიდან სიაში მხოლოდ 33 ქალი შეიყვანა. ამასთან, წინასაარჩევნო საპროგრამო დოკუმენტებში, საკითხისადმი მათი დამოკიდებულებით ვერცერთი მათგანი ვერ იამაყებდა. თუმცა, როდესაც ნიდერლანდების სამეფოს საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით განხორციელებული პროექტის („დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერების მხარდაჭერა საქართველოში“) ფარ-

⁴⁰ სულ მონაწილე კანდიდატთა რაოდენობა იყო 2.742, აქედან, რეგისტრირებულ ქალთა საერთო რაოდენობა იყო 788, პროპორციულით - 729, მაჟორიტარად - 59. საერთო მონაწილეთაგან ქალი კანდიდატი იყო 28,74%;

⁴¹ რომლის მიხედვითაც პარტიებს, რომელთაც საარჩევნო სიებში ყოველი 10 კანდიდატიდან 2 ქალი ეყოლებოდათ სახელმწიფო დაფინანსებაზე 10 პროცენტიან დანამატს მიიღებდნენ. ვენეციის კომისიის რეკომენდაციის საუძველზე განხორციელებული პოლიტიკით, კანონში „პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ შევიდა ცვლილება (28.12.2011, ქალთა პოლიტიკურ პროცესში მონაწილეობის გასაზრდელად.

⁴² ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების არჩევნებზე სადამკვირვებლო მისია <http://www.osce.org/ka/odihr/-elections/94617?download=true>. ნანახია 12.09.2015

გლებში⁴³ მათ თავისი დამოკიდებულება დააფიქსირეს ქალთა პოლიტიკაში მონაწილეობის გაზრდის საჭიროების შესახებ, აქ უკვე სულ სხვა, მეტად შთამბეჭდავი სურათი გამოიკვეთა. კერძოდ, აღნიშნულია, რომ ერთიანი ნაციონალური მოძრაობის „მიზანია ხელი შეუწყოს პოლიტიკურ ცხოვრებაში ქალისა და მამაკაცის თანაბარ მონაწილეობას. ამ მიზნის ხელშეწყობისათვის ყველაზე ეფექტური საშუალებაა პოლიტიკური პარტიებისათვის ნახალისების ზომების შემოღება.

პარტიაში შექმნილია ახალი სტრუქტურული ერთეული — გენდერული თანასწორობის დეპარტამენტი, რომლის ამოცანებია: გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა საზოგადოებრივი აზრის ფორმირებისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში, გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა ქვეყნის დემოკრატიული მმართველობის ყველა დონეზე.

ერთიანი ნაციონალური მოძრაობა ხელს უწყობს სამშვიდობო პროცესებში ქალთა ფართო, აქტიური მონაწილეობის უზრუნველყოფას საერთაშორისო და ეროვნულ დონეებზე. მსგავსი და სხვა აქტივობების მხარდასაჭერად, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ფრაქციის ინიციატივით საქართველოს პარლამენტში შექმნილია გენდერული საბჭო⁴⁴.

„ქართულმა ოცნების“ პასუხის მიხედვით: „ქალთა მონაწილეობის გაზრდა ორი მიმართულებით უნდა მოხდეს — შიდაპარტიული და ზოგადპოლიტიკური. პირველ ასპექტს რაც შეეხება, დაფუძნდა კოალიცია „ქართული ოცნების“ ქალთა ფრთა, რომელიც მოიაზრება როგორც ქვედა და შუალედურ რგოლებში მომუშავე ქალთა რესურსის დაჯგუფე-

⁴³ პროექტი ითვალისწინებდა, საზოგადოებისათვის მნიშვნელოვან საკითხებზე, არჩევნებში მონაწილე პოლიტიკური სუბიექტებისაგან, დასმულ კითხვებზე თანაბარი მოცულობის (თითო კითხვაზე მაქსიმუმ 250 სიტყვა) პასუხის გაცემას, რაც წარმოადგენდა მშვენიერ საშუალებას იმისთვის, რომ საზოგადოებამ შეიტყოს ამა თუ იმ პოლიტიკური სუბიექტის მოსაზრება მისთვის მნიშვნელოვან საკითხზე.

⁴⁴ http://partiebi.ge/2012/index.php?action=compare&party_1_id=13&party_2_id=17&party_3_id=&thematic_id=17&lang=geo, ნანახია 03.03.2014 წ.

ბისა და გაძლიერების მექანიზმი. ქალთა ფრთის ხელმძღვანელი შეყვანილია პარტიის პოლიტიკურ საბჭოში, რომელიც გადაწყვეტილების მიმღები ორგანოა. ქალთა ფრთაში მობილიზებული რესურსიდან უნდა მოხდეს მსურველთა ჩაბმა პარტიული ორგანიზაციის ზედა რგოლებში, რათა გაიზარდოს ქალთა მონაწილეობა პარტიისთვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. ამ გზით პარტია მოკლევადიან პერსპექტივაში გადავა სასურველ მოდელზე, რომელიც საპირისპიროა მოდელისა — პარტიული აქტივისტი ქალები და გადაწყვეტილების მიმღები კაცები. რაც შეეხება ზოგადპოლიტიკურ პროცესს, კოალიცია მიზნად ისახავს, დაიცვას არსებული საკანონმდებლო წამახალისებელი ნორმა საპარლამენტო არჩევნებისთვის განკუთვნილ სიაში და თვლის რა, რომ ეს ნორმა მხოლოდ საწყისია და არავითარ შემთხვევაში არ იძლევა კმაყოფილების საფუძველს, მომავალი ეროვნული თუ ადგილობრივი არჩევნებისთვის საარჩევნო სიაში უფრო მეტი ქალი კანდიდატის ყოლას ერთ-ერთ პრიორიტეტად მიიჩნევს. გარდა ამისა, განსაკუთრებული ძალისხმევა ეთმობა მაჟორიტარობის კანდიდატებად ქალთა დასახელებას და ამ კანდიდატების მაქსიმალურ ხელშეწყობას წინასაარჩევნო კამპანიის მიმდინარეობისას⁴⁵. როგორც ვხედავთ, მიუხედავად იმისა, რომ თვითონ საპროგრამო დოკუმენტებში ისინი ქალთა მონაწილეობის შესახებ მოისუსტებენ, უკვე შეკითხვის რეჟიმში, საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე, ვრცლად იძლევიან დაპირებებს.

2013 წელს საპრეზიდენტო არჩევნების დროს, ამ პროექტის ფარგლებში, იგივე პოლიტიკური გაერთიანებების პრეზიდენტობის კანდიდატების ხედვა, მათი პარტიის 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების დროინდელ ხედვას ნაწილობრივ შეესაბამებოდა.

„ნაციონალური მოძრაობის“ პრეზიდენტობის კანდიდატი დავით ბაქრაძე მოკლე პასუხით შემოიფარგლა, მას „არ მიაჩნია რა სწორად ქვოტირების და ე.წ. გენდერული მე-

⁴⁵ იქვე

ინსტრუმენტის ყველა ფორმის გადმონერგვის დაჩქარება, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა მიესალმება პოლიტიკაში ქალთა შემდგომ გააქტიურებას და ამ პროცესის ნახალისებას, როგორც პოლიტიკური ორგანიზაციების პარტიების ქალთა ორგანიზაციების ფორმირებას, ისე პარტიულ სიებში ქალთა წარმომადგენლობის ნახალისებას, მათ შორის ფინანსური მოტივაციებით“.

„ქართული ოცნების“ კანდიდატმა კი ვრცლად დააფიქსირა თავისი მოსაზრება აღნიშნულ საკითხზე: „საქართველოში ქალთა პოლიტიკაში თანამონაწილეობა მნიშვნელოვნად ჩამორჩება ევროპულ საშუალო მაჩვენებელს. გასულ არჩევნებამდე, ქალთა რაოდენობა პარლამენტში მხოლოდ 6% იყო — ყველაზე დაბალი მაჩვენებელი ეუთოს წევრ სახელმწიფოებს შორის. მდგომარეობა შედარებით გაუმჯობესდა 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებთან ერთად, თუმცა ქალთა წარმომადგენლობა როგორც ეროვნულ საკანონმდებლო ორგანოში, ისე, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებსა და აღმასრულებელ ხელისუფლებაში ნომინალური რჩება.“

ქალები მოსახლეობის ნახევარს შეადგენენ, ამიტომ დემოკრატიული სამართლიანობა მოითხოვს, რომ მათი მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესებში ადეკვატური იყოს. ნამდვილ დემოკრატიაზე ვერ ვისაუბრებთ, თუ მოსახლეობის ნახევარს პარლამენტში მხოლოდ 6, 10, 15% წარმოადგენს.

საქართველოს ამ მიმართულებით ბევრი რამის სწავლა შეუძლია საერთაშორისო გამოცდილებიდან. უპირველეს ყოვლისა, საჭიროა, მოხდეს ამ საკითხის საზოგადოებრივ და პოლიტიკურ დღის წესრიგში დაყენება. ამისთვის მმართველი გუნდისა და, ზოგადად, პოლიტიკური ელიტის პოლიტიკური ნება უაღრესად მნიშვნელოვანია.

ძალზე მნიშვნელოვანია საზოგადოებასთან მუშაობა. ერთად უნდა დავძლიოთ სტერეოტიპული შეხედულებები ქალის როლის შესახებ და საზოგადოებრივი კონსენსუსის სა-

ფუძველზე ისეთი საზოგადოება უნდა შეექმნათ, სადაც ყველა ქალს ექნება თვითრეალიზაციის შესაძლებლობა. ქალები ჩაბმული უნდა იყვნენ გადაწყვეტილებების მიღებაში, უნდა იმყოფებოდნენ ძალაუფლების ველში. საქართველოს დემოკრატიულ, ადამიანის უფლებებზე დამყარებულ საზოგადოებად გარდაქმნაში ქალთა როლი ფასდაუდებელია“.⁴⁶

მნიშვნელოვანია, რომ ბოლო პერიოდში ქვეყანაში ქალთა პოლიტიკაში მონაწილეობის საკითხის მეტად აქტუურად წარმოჩენის მიუხედავად (2014 წლის თვითმმართველობის არჩევნების წინ კიდევ უფრო მეტად გაიზარდა ფინანსური ნახალისების ოდენობა იმ პარტიებისათვის, ვინც უზრუნველყოფდა ქალთა მინიმუმ 30%-იან წარმომადგენლობას პარტიულ სიაში), 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების არჩევნებისას კვლავ არცთუ ისე გამორჩეულად სახარბიელო მდგომარეობა იყო. კერძოდ, გარდა იმისა, რომ მიმდინარე ეტაპზე არცერთი ქალაქის მერი და არცერთი გუბერნატორი ქალი არ არის, მეტიც, 12 თვითმმართველი ქალაქის მერობის 84 დასახელებული კანდიდატიდან, მხოლოდ 8 იყო ქალი, რომელთაც არჩევნების შედეგებში დაბალი მაჩვენებელი ჰქონდათ, უმეტეს შემთხვევაში კი ყველაზე დაბალი. აქვე აღსანიშნავია, რომ სახელისუფლებო კოალიციამ „ქართული ოცნება“ თვითმმართველი ქალაქის მერობის 12 კანდიდატად მხოლოდ მამაკაცები დასახელა.

ქალთა პოლიტიკაში ჩართულობაზე მსჯელობისას, კრიტიკოსები ქალთა პოლიტიკისადმი პასიურ დამოკიდებულებაზე აპელირებენ, ამასთან მიმართებაში სასურველია მოვიყვანოთ ის სტატისტიკა, რომლის მეშვეობითაც გაგვიადვილდება ქალთა პოლიტიკისადმი დამოკიდებულების ახსნა, კერძოდ ის, რომ 2014 წლის 15 ივნისს არჩევნებზე პირველად მოხდა ამ-

⁴⁶http://presidenti.ge/index.php?action=compare&party_1_id=16&party_2_id=12&party_3_id=&thematic_id=55&lang=geo, ნანახია 17.09.2014

ომრჩევლის აქტივობის დათვლა⁴⁷ სქესის მიხედვით. კერძოდ, თვითმმართველობის არჩევნებზე მისული ამომრჩევლის 50.2% (745,614) იყო ქალი. მეორე ტურში ხმის მისაცემად მისული ამომრჩევლების 53.91% (332.865) ქალი იყო⁴⁸.

საკითხზე მსჯელობისას საინტერესოა, თუ რა მდგომარეობა იყო პოლიტიკური პარტიებიდან ქალი კანდიდატების წარდგინების მხრივ თვითმმართველი თემის გამგებლის თანამდებობაზე ოლქების მიხედვით. კერძოდ, 59 ოლქიდან მხოლოდ 10 ოლქში იყო ქალი კანდიდატი წარდგენილი, აქედან არჩევნებში გაიმარჯვა და თვითმმართველი თემის ერთადერთი გამგებელი გახდა საარჩევნო პოლიტიკური სუბიექტის „ქართული ოცნების“ კანდიდატმა თიანეთში, რაც შეეხება თბილისის 10 რაიონის გამგებელიდან მხოლოდ ერთი — დიდუბის რაიონის გამგებელია ქალი.

2014 წლის მიწურულსა და 2015 წლის პირველი ნახევრიდან მოყოლებული ქალთა მოძრაობა უპრეცედენტო აქტიურობით წარსდგა საზოგადოების წინაშე. „მეტი ქალი პოლიტიკაში“ — ეს სლოგანიც მათი გზავნილი იყო საზოგადოებისადმი, ხელისუფლებისადმი, რომლის განხორციელებასაც ისინი მიზანმიმართულად ცდილობდნენ.

2015 წელი საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა, ქვეყანაში არსებული სირთულეებიდან გამომდინარე, ქალთა წლად გამოაცხადა,⁴⁹ 15 იანვარს პრეზიდენტის რეზიდენციაში შეხვედრაზე მან 2014 წელს საქართველოში ქალთა მიმართ მომხდარ ძალადობის ფაქტები დაგმო, პეკინის დეკლარაციიდან 20 წლისთავზე, როდესაც მთელმა კაცობრიობამ გენდერული თანასწორობისათვის სამომავლო გეგმები დასახა, მისი ეს ინიციატივა დროული იყო. მან დასძინა, რომ

⁴⁷ 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების არჩევნები ანგარიში, <http://www.cesko.ge/uploads/other/29/29271.pdf>, ნანახია 20.10. 2015

⁴⁸ <http://results2014.cec.gov.ge/>, ნანახია 14.08. 2015

⁴⁹ <http://www.interpressnews.ge/ge/politika/313061-prezidentma-2015-tseli-qaltha-tslad-gamoackhada.html?ar=A>, ნანახია 12.02. 2015

პრეზიდენტის ადმინისტრაცია მხარს დაუჭერდა, რომ მეტი ქალბატონი არა მხოლოდ ემსახურებოდეს ჩვენს ქვეყანასა და ოჯახებს და უკეთეს ქვეყანას ქმნიდეს, არამედ გადაწყვეტილებებს იღებდნენ ყველაზე მაღლ დონეზე“⁵⁰.

ხელისუფლების მხრიდან ქალთა უფლებებზე, პოლიტიკურ პროცესებში მათ ჩართულობაზე განხილვისას აუცილებელია ყურადღება შევაჩეროთ თბილისში, 2015 წლის ნოემბერში, ჩატარებულ საერთაშორისო კონფერენციაზე⁵¹ — „გენდერული თანასწორობისაკენ — გამოწვევები და შესაძლებლობები ევროპული სამეზობლო პოლიტიკის რეგიონში“, სადაც ძირითადი განხილვის საკითხები იყო: ქალთა პოლიტიკური და ეკონომიკური გაძლიერება, ქალთა და გოგონათა მიმართ ძალადობის აღმოფხვრა და ქალთა როლის გაზრდა მშვიდობისა და უსაფრთხოების საკითხებში.

კონფერენციის მონაწილეთა შეხვედრაზე საქართველოს პრეზიდენტმა თავის გამოსვლაში აღნიშნა: „იმისთვის, რომ შევქმნათ უფრო ძლიერი, ეფექტური და მოქმედი საზოგადოება, ჩვენ უნდა ავუხსნათ ქალებს უფრო აქტიური პოლიტიკური მოღვაწეობის შესაძლებლობა.“⁵² ამის განხორციელების საშუალებას კი, ის სტაბილური სისტემის შექმნაში ხედავდა, გულისხმობდა პარლამენტში შეტანილ საპარლამენტო სიებში გენდერული ბალანსის შესახებ კანონპროექტს, რომელიც ფაქტობრივად განსაზღვრავდა სამომავლოდ ქალის მოსვლას პოლიტიკაში და საშუალებას, რომ ქალების გააქტიურებით შექმნილიყო უფრო ჯანმრთელი სახელმწიფოებრივი სისტემა, უფრო სტაბილური და ძლიერი.

კონფერენციაზე ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა ი. ლარიბაშვილმა, ქვეყანაში განხორციელებულ ღონისძიებებზე

⁵⁰ იქვე

⁵¹ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ ევროკავშირსა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან თანამშრომლობით ჩატარდა.

⁵² http://www.interpressnews.ge/photo/2015_02/0-1MAISI-2015/garibashvili-1_a9d6d.jp ნანახია 12.11. 2015

საუბრისას აღნიშნა: „გადავდგით მნიშვნელოვანი ნაბიჯები პოლიტიკაში ქალთა წარმომადგენლობის გაზრდის მიმართულებით და იმედი გვაქვს, რომ ჩვენი ეს ძალისხმევა აისახება მომავალი წლის საპარლამენტო არჩევნებში.“⁵³

პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა კი მაღალი შეფასება მისცა ამ კონფერენციას და „კარგი პლატფორმა დიალოგისთვის“ უწოდა, აღნიშნა საქართველოს, როგორც დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობაში, პოლიტიკაში, ეკონომიკასა თუ სოციალურ განვითარებაში ქალთა სრულყოფილი და თანასწორ ჩართულობის საჭიროებაზე.⁵⁴

ამასთან აღსანიშნავია, რომ საქართველო პასუხისმგებელია, კონვენციის, „ქალთა მიმართ ყოველგვარი დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ“ (CEDAW), კომიტეტის მიერ შემუშავებული 2014 წლის რეკომენდაციის, რომლის მიხედვით: „სახელმწიფომ უნდა დანერგოს კანონით გათვალისწინებული სავალდებულო კვოტა პოლიტიკური პარტიებისთვის, რათა გაიზარდოს ქალთა წარმომადგენლობა ეროვნულ და ადგილობრივ საკანონმდებლო ორგანოებში“⁵⁵.

მნიშვნელოვანია, რომ 2015 წელს პარლამენტში ქალთა პოლიტიკური ჩართულობის გაზრდის მიზნით ორი საკანონმდებლო ინიციატივა-წინადადება იყო დარეგისტრირებული. პირველი, რომელიც ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის სამუშაო ჯგუფის⁵⁶ ინიციატივას, პოლიტიკური პარტიებისათვის პროპორციულ საარჩევნო სიებში სავალდებულო გენდე-

⁵³ იქვე

⁵⁴ http://www.interpressnews.ge/photo/2015_02/0-0SEQT-2015/kvirikashvili-2.jpg
ნანახია 11.11.2015

⁵⁵ იქვე

⁵⁶ 9 ადგილობრივი არასამთვრობო ორგანიზაცია შედიოდა (სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება; საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია; ქალთა საინფორმაციო ცენტრი; გენდერული სამართლიანობა; კავშირი „საფარი“; ჟურნალისტთა ქსელი გენდერული თანასწორობისათვის; იძულებით გადაადგილებულ ქალთა ასოციაცია „თანხმობა“; გენდერული სამართლიანობა; ევროპელი ქალები საერთო მომავლისათვის - საქართველო.

რული კვოტირების 50/50 — ზე შემოტანას გულისხმობდა და მეორე, რომელიც საქართველოს პარლამენტის ნევრებმა — თეიმურაზ ჭკუასელმა და ნანა ყეინიშვილმა წარმოადგინეს — პარტიების მიერ წარსადგენ პროპორციულ სიაში ყოველ მომდევნო სამ კანდიდატს შორის ერთი განსხვავებული სქესის კანდიდატის ყოლას ითვალისწინებდა. ორივე წინადადებას ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტმა 6 ხმით ერთის წინააღმდეგ მხარი დაუჭირა.

არსებულ ვითრებაში, როდესაც ქვეყანაში აქტიურად მიმდინარეობდა განხილვები საკანონმდებლო დონეზე გენდერული თანასწორობის საკითხებში, კერძოდ, საერთაშორისო-სამართლებრივი სტანდარტების დაცვის კუთხით — „გენდერული თანასწორობის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, როდესაც აშკარა იყო ქვეყანაში ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის საკითხისადმი საზოგადოებრივი ორგანიზაციების და ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენლის დიდი ინტერესი, ამასთან გამოცდილება, რომ მხოლოდ ფინანსური წამახალისებელი ფაქტორები ბევრს ვერაფერს ახერხებდა ამ კუთხით. ამ დამოკიდებულებისდა მიუხედავად 2015 წლის 2 დეკემბერს იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა მხარი არ დაუჭირა „საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ ცვლილების შეტანის თაობაზე“ ორგანული კანონპროექტის პლენარულ სხდომაზე გატანას, რომელიც საქართველოს პარლამენტში გენდერული ბალანსის დაცვის უზრუნველყოფის მიზნით დამატებითი ღონისძიებების განსაზღვრას ითვალისწინებდა. კერძოდ, კანონპროექტის შესაბამისად, საქართველოს საარჩევნო კოდექსს ემატებოდა ნორმა, რომლის მიხედვით, საქართველოს პარლამენტის არჩევნებში მონაწილეობის მიღების მიზნით, წარსადგენ პროპორციულ საარჩევნო სიაში, სქესთა შორის ბალანსის დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, ყოველ მომდევნო სამ კანდიდატს შორის ერთი მაინც, წარმოდგენილი იყოს განსხვავებული სქესის კანდიდატი*, რაც საქართველოს პარლამენტში

უზრუნველყოფდა მინიმუმ 25 განსხვავებული სქესის პარლამენტარის ყოლას⁵⁷.

ფაქტია, რომ მიმდინარე ეტაპზე — ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის გაზრდისთვის საზოგადოებრივი ორგანიზაციების და ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენლის მცდელობა ვერ განხორციელდა. იმედი ვიქონიოთ, რომ შესაძლოა უახლოეს მომავალში, მათი უფრო მეტი აქტიურობით, საკითხის მიმართ საზოგადოების ცნობიერების ამაღლებით, პოლიტიკური პარტიების მხრიდან შესაბამისი მხარდაჭერით, საკანონმდებლო დონეზე განისაზღვრება საკითხის უფრო მეტი ხელშეწყობა, რაც შექმნის საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში ქალთა ჩართულობის მაჩვენებლის გაზრდის შესაძლებლობას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს პარლამენტის 2013 წლის 26 დეკემბრის სხდომის ოქმი N48 <http://www.parliament.ge/ge/saparlamento-saqmianoba/komitetebi/garemos-dacvisa-dabunebrivi-resursebis-komiteti/sxdomis-oqmebi/sxdomis-oqmin481.page> ნანახია 02.05. 2015წ.
2. გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელება საქართველოში ნანახია 02.06. 2015 წ.
3. http://www.cesko.ge/files/Documents/PDF/saxeli/daskvnebi_30_ivlisi.pdf ნანახია 05.07.2013წ.

* კვოტირების სისტემა, არა მხოლოდ საქართველოში, აზრთა სხვადასხვაობას იწვევს. ბუნებრივია ორივე მხარეს თავისი გარკვეული არგუმენტები აქვს.

⁵⁷ იურიდიულ საკითხთა კომიტეტის სხდომა 02.12.2015

<http://www.parliament.ge/ge/saparlamento-saqmianoba/komitetebi/iuridiul-sakitxta-komiteti-146/axali-ambebi-iuridiuli/iuridiul-sakitxta-komitetis-sxdoma02122015.page> ნანახია 10.02. 2016

4. ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების არჩევნებზე სადამკვირვებლო მისია, <http://www.osce.org/ka/odihr/elections/94617?download=true> ნანახია.09.2015
5. ნიდერლანდების სამეფოს საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით განხორციელებული პროექტი „დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერების მხარდაჭერა ქართველოში“ <http://partiebi.ge/2012/index.php?action=compare&party>, ნანახია 03.03.2014 წ.
6. ნიდერლანდების სამეფოს საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით განხორციელებული პროექტი „დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერების მხარდაჭერა საქართველოში“ http://presidenti.ge/index.php?action=compare&party_1_id=16&party_2_id=12&party_3_id=&thematic_id=5-5&lang=geo ნანახია 17.09.2014
7. 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების არჩევნები ანგარიში, <http://www.cesko.ge/uploads/other/29-/29271.pdf>, ნანახია 20.10. 2015
8. <http://results2014.cec.gov.ge/>, ნანახია 14.08. 2015
9. პრეზიდენტმა 2015 წელი ქალთ წლად გამოაცხადა, <http://www.interpressnews.ge/ge/politika/313061-prezidentma-2015-tseli-qaltha-tslad-gamoackhada.html?ar=A>, ნანახია 12.02. 2015
10. გენდერული თანასწორობის საკითხებზე მაღალი დონის საერთაშორისო კონფერენცია http://www.interpressnews.ge/photo/2015_02/0-1MAISI-2015/garibashvili-1_a9d6d.jp ნანახია 11.11. 2015
11. იურიდიულ საკითხთა კომიტეტის სხდომა 02.12.2015 <http://www.parliament.ge/ge/saparlamento-saqmianoba/komitetebi/iuridiul-sakitxta-komiteti-146/axali-ambebi-iuridiuli/iuridiul-sakitxta-komitetis-sxdoma02122015.page>

CIVIC SECTOR AND THE STATE ON WOMEN'S POLITICAL PARTICIPATION IN GEORGIA

Abstract

The issue of women's political participation is widely discussed among the public associations and politicians. The activities done by them, underlines the importance of mentioned issue. With support of civil society, for achieving gender equality in representative bodies (at different levels), preparation and adoption of appropriate legislation was set in agenda,

With active support of civil society Georgian parliament adopted the resolution: "The National Action Plan on Gender Equality 2014-2016." One of main direction of mentioned resolution named- "Women's and Politics", aims to increase women engagement in decision making process.

Many politicians supports civil society, which was in the epicenter of attention, with intend to increase women's engagement in political decision making process, for this purpose, they initiated to establish quotas based on gender differences. There were active discussions on legislative level connected to this issue. To specify it was discussions "about reforms in Georgian Law, for achieving Gender equality."

In 2015 in order to increase women's political engagement, two legislative initiatives were registered. First of them was initiated by the working group of women's organization and the second one was initiated by representatives of government. Those initiatives were not supported to be presented on the plenary session by the committee of legislation.

It is the fact, that the efforts of civil society and politicians to increase women's participation did not have any results currently. Let's hope that, with support of political parties and civil society, with increasing awareness of citizens, this issue will be defined at the legislative level in future. This will create opportunity to increase level of women's participation in political processes.

*სალომე დუნდუა
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი
ასოცირებული პროფესორი*

*თამარ ქარაია
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი
ასისტენტ პროფესორი*

**ბარემოსდაცვითი სოციალური მოძრაობები
საქართველოში**

სოციალური მოძრაობები დასავლეთის სამეცნიერო წრეებში კარგად ნაკვლევია საკითხია. მეტიც, თუკი 1960-იან წლებში საუბრობდნენ სოციალური მოძრაობებისადმი ყურადღების სიმცირეზე 1980-იან წლებში სოციალურ მოძრაობებსა და სოციალური ცვლილებების საკითხებზე თეორიული და ემპირიული მასალების მომზადებამ ერთგვარი „აფეთქების“ სახე მიიღო. გასული საუკუნის 60-იან წლებამდე სოციალური მოძრაობები ძირითადად ფოკუსირებული იყო მუშათა, ეროვნულ თუ სხვადასხვა საკითხზე. მხოლოდ მოგვიანებით გარკვეულწილად პოსტინდუსტრიალიზმის კონცეფციის ჩამოყალიბების კვალდაკვალ აღმოცენდა ე.წ. ახალი სოციალური მოძრაობები, რომლებშიც ტრადიციული თემატიკა უმეტეს შემთხვევაში ეკოლოგიურმა, ფემინისტურმა, ცხოველთა უფლებების დაცვისა და ა.შ. თემატიკამ ჩაანაცვლა.

მიუხედავად დასავლეთ ევროპის სამეცნიერო წრეებში სოციალური მოძრაობისა და სოციალური ცვლილებების კვლევის დიდი გამოცდილებისა, საქართველოში ამ საკითხის კვლევა სიახლეს წარმოადგენს. საქართველოში სოციალური მოძრაობების ჩამოყალიბებისა და განვითარების პროცესსა და პერსპექტივებზე საუბრისას აუცილებლად უნ-

და აღვნიშნოთ რომ დამოუკიდებლობის მოპოვებამდე, ჯერ კიდევ XX საუკუნის 80-იანი წლების ბოლო პერიოდში განვითარებული ფართო საზოგადოებრივი აქტივობა გარკვეულწილად სოციალური მოძრაობის ელფერს ატარებდა. მით უმეტეს მეცნიერთა ნაწილის აზრით სოციალური მოძრაობისთვის ბიძგის მიმცემი სწორედ კრიზისული სიტუაციებია. პერესტროიკის პერიოდში დაწყებული, საწყისი ეტაპისთვის მხოლოდ მცირერიცხოვანი, მაგრამ სულ უფრო და უფრო მზარდი სახალხო მოძრაობა რამდენიმე თემატიკას მოიცავდა. მათ შორის ერთ-ერთი პირველი ხუდონჰესის მშენებლობის წინააღმდეგ მიმართული საზოგადოებრივი აქტივობა იყო რომელიც არ მოიცავდა მხოლოდ ეკოლოგიურ თემატიკას და მასში ჩართული იყო სოციალური და პოლიტიკური ასპექტებიც. ეს უკანასკნელი ფაქტორი იმდენად მნიშვნელოვანი იყო რომ ხუდონჰესით დაწყებულმა არაძალადობრივმა სამოქალაქო აქტივიზმმა დიდი როლი ითამაშა ეროვნული მოძრაობის დღის წესრიგის ჩამოყალიბებაში. საბოლოო ჯამში, მძლავრი და მასობრივი ეროვნული მოძრაობა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის ერთ-ერთ განმაპირობებელ ფაქტორად იქცა.

1990-იან წლებში განვითარებული მოვლენების (ურთულესი საგარეო და საშინაო ვითარება, სამოქალაქო დაპირისპირება, ომი აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში, სოციალურ — ეკონომიკური პრობლემები და ა.შ.) გამო სამოქალაქო აქტივიზმი ძირითადად მწვავე პოლიტიკური თემატიკით შემოიფარგლებოდა. აქედან გამომდინარე სამოქალაქო საზოგადოების წევრების ინტერესთა სფეროში ადამიანის უფლებების და გარემოსდაცვითი თემატიკა მეტწილად ყურადღების მიღმა რჩებოდა. ყოველივე ამან თავის მხრივ სამოქალაქო საზოგადოების განვითარების გარკვეულ სტაგნაციასაც შეუწყო ხელი.

2003 წლის ვარდების რევოლუციის შემდეგ ქვეყანაში სამოქალაქო საზოგადოების გააქტიურება აშკარად შეიმჩნეოდა თუმცა უკანასკნელ პერიოდამდე, სარჩევნო უფლებე-

ბის, სიტყვის, აზრის თუ აღმსარებლობის თავისუფლების, სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის, პატიმრების უფლებების, სამართლებრივი და კონსტიტუციური თემატიკით იყო ძირითადად შემოფარგლული.

გარდამტეხი მიჯნა თუ როდის მოხდა ქვეყანაში სამოქალაქო აქტივიზმის სფეროს გაფართოება, რთული საპოვნია. თუმცა ფაქტია რომ ამ ეტაპზე, სამოქალაქო აქტივიზმის თემატიკა უფრო ვრცელდება და მოიცავს როგორც სოციალურ, ასევე ეკოლოგიურ და კულტურული მემკვიდრეობის საკითხებსაც.

თეორიული ჩარჩო

სოციალური მოძრაობების შესწავლის პროცესმა განვითარების საინტერესო გზა განვლო. თავდაპირველად პროტესტი და კოლექტიური ქცევა განიხილებოდა როგორც დევიანტური ქცევა. ინდუსტრიალიზაციისა და მეცნიერების ევოლუციით გამოწვეულ რელიგიურ და პოლიტიკურ ფასეულობათა ცვლილებების ფონზე დევიანტურ ქცევას შეეძლო კაცობრიობის შეცვლა (Della Porta & Diani, 2006). ე.წ. კოლექტიური მოქმედების კლასიკურ თეორიათა შორის გამოირჩევა სტრუქტურულ-ფუნქციონალისტური მოდელი რომლის თანახმადაც მოძრაობებს აქტორები კი არ ქმნიან არამედ მას განაპირობებს სოციალური და პოლიტიკური ვითარება (Skocpol, 1979). თუმცა მოგვიანებით „სტრუქტურული“ თეორია უფრო მეტად განავითარა ღუნმა, რომლის თანახმადაც ვითარებასთან ერთად გასათვალისწინებელია აქტორების როლი, რამდენადაც აქტორებს შეუძლიათ სიტუაციის გამწვავება ისევე როგორც სიტუაციას შეუძლია მოძრაობის ნახალისება. ჩვენი საკვლევი თემა შესასძლებელია აიხსნას აღნიშნული თეორიის გამოყენებით რამდენადაც მოცემული საკითხის აქტუალიზაციაში გადამწყვეტი როლი ენიჭება იმ ფაქტს რომ საკითხის აქტუალიზაცია დროში დაემთხვა პერსტროიკისა და საჯაროობის პროცესს, რამაც საბოლოო

ჯამში უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური და კულტურული ცვლილებები მოიტანა შედეგად. მოცემულმა პროცესებმა ხელი შეუწყო სამოქალაქო აქტივიზმის გაზრდას.

როგორც დონატელა დელა პორტა გამოყოფს (2006), აღნიშნული საკითხის გაანალიზებისას შესაძლებელია რამდენიმე დონის გამოყოფა რომელთა შორის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია ჯგუფური დონე. სოციალური მოძრაობა, ინდივიდუალური აქტივიზმისგან განსხვავებით, დროში უფრო ხანგრძლივად ორგანიზებულია და მეტი რესურსის მოძიების საშუალებას იძლევა. გარდა ვითარებისა და აქტორებისა ასევე მნიშვნელოვანია ფასეულობათა სისტემა, რომელიც სოციალურ მოძრაობას ქმნის. სოციალური მოძრაობა არ არის მხოლოდ საპროტესტო მოძრაობის ტალღა. ეს არის პროცესი სადაც კოლექტიური იდენტობები ვითარდებიან, ერთმანეთს ერწყმიან ან ახალ იდენტობას ქმნიან.

კოლექტივის შექმნას მივყავართ კოლექტიური იდენტობის ჩამოყალიბებამდე რომელიც თავის მხრივ აფორმირებს "ჩვენ" და "სხვა" გაგებას და კოლექტივის ინკლუზიურობის ან ექსკლუზიურობის განმაპირობებელია (Della Porta & Diani, 2006). სოციალური მოძრაობის წევრობის კრიტერიუმები არ არის მკაფიო და წევრების მიერ ურთიერთთავიარების პრინციპს ეყრდნობა (Melucci, 1996, p. 49). ხოლო აქტივობის ზღვარის გავლება ანუ ვინ არის და ვინ არ არის მოძრაობის წევრი — მთავარ როლს თამაშობს კოლექტიური ქმედების შეკვრისას.

დაინტერესებული ჯგუფების კოლექტიურ ქცევას დიდი მნიშვნელობა აქვს რადგანაც მათ სოციალური მოძრაობის განვითარებისთვის საჭირო რესურსების მოძიება და დიდი ხნით შეკავება/შენარჩუნება შეუძლიათ რაც არაორგანიზებულ საზოგადოებრივ აქტივობას გაუჭირდება. ამასთანავე დაინტერესებული ჯგუფები ხელს უწყობენ ე.წ. „სოლიდარობის სტიმულების“ შექმნას (Friedman & McAdam, 1992). სოციალურ მოძრაობაში გრძნობების და ემოციის დიდ მნიშვნელობაზე მოუთითებს მორალური შოკის წარმოშობის შესაძლებ-

ლობა, როდესაც ღრმად დანერგილი წესები და ნორმების რღვევა მობილიზაციის პირველი ეტაპია და მოპროტესტო ორგანიზაციების ფუნქცია ხშირად ინდივიდთა შიშის ბრაზში ტრანსფორმაციის მოხდენაა (Jasper, 1997.pp. 107-14).

აღნიშნული კვლევის ფარგლებში ვეყრდნობით სტრუქტურულ-ფუნქციონალურ თეორიას და ხუდონჰესის მშენებლობის ირგვლივ განვითარებულ მოვლენებს ჯგუფურ დონეზე შევისწავლით.

საკვლევ თემად ხუდონჰესის შემთხვევის შერჩევა შემდეგმა ფაქტორებმა განაპირობა:

- ხუდონის ჰიდროელექტროსადგურის პროექტი თავისი მასშტაბებით, საქართველოსთვის გიგანტური ჰესების კატეგორიაში გადის;

- სვანეთის რეგიონი, სადაც ხუდონის მშენებლობაა დაგეგმილი, ესაზღვრება საქართველოს მოქმედ ყველაზე დიდ ენგურის ჰიდროელექტროსადგურს. ამასთანავე, სვანეთსა და მის მიმდებარე რეგიონში (კონკრეტულად რაჭა-ლეჩხუმი, ნესკრას ჰიდროელექტროსადგური) იგეგმება სხვა ახალი ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა. ამასთანავე რეგიონისთვის, სადაც ხუდონჰესის აშენება იგეგმება, დამახასიათებელია სპეციფიური ბუნებრივ კლიმატური (ესაზღვრება კავკასიონის ქედს, რომელიც რეგიონის კლიმატური პირობების ერთ-ერთი მთავარი განმსაზღვრელია) და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა;

- გარემოსდაცვითი პრობლემების გარდა მოცემულ შემთხვევაში წინ წამოინეწეს როგორც რეგიონში არსებული ძეგლის ისტორიული მნიშვნელობის (ხაიში დასატბორი ტაძრები კულტურული მემკვიდრეობის ნაწილია) საკითხი, ასევე ადგილობრივი მოსახლეობის სოციალური პრობლემები;

- განსაკუთრებით აქტიურია არასამთავრობო ორგანიზაციების და საზოგადოების ჩართულობა;

- საზოგადოების ინფორმირებულობა აღნიშნული პრობლემისადმი მაღალია მთელი ქვეყნის მასშტაბით და ეს

მაჩვენებელი CRRC-ის 2014 წლის კვლევის მიხედვით 71-დან 75%-მდე მერყეობს (Caucasus Barometer, 2010).

- მნიშვნელოვანია სამეცნიერო წრეების წარმომადგენელთა ფართო ჩართულობა და დაპირისპირებულ შეხედულებათა არსებობა;

- ეს არის საქართველოში განგრძობითად აქტუალური ინკლუზიური მოძრაობა, რომელშიც წლების მანძილზე ჩართულია საზოგადოებრივ-პოლიტიკური წრეების სხვადასხვა აქტორი.

კვლევის **მიზანია განისაზღვროს** შემდეგი:

1. რამ განაპირობა უკანასკნელ პერიოდში ხუდონჰესის თემატიკის ირგვლივ საზოგადოების ესოდენ გააქტიურება და მოცემული აქტივობის სოციალურ მოძრაობად ჩამოყალიბება;

2. როგორია აქტორების (ხელისუფლება, სამოქალაქო ორგანიზაციები და ადგილობრივი მოსახლეობა) ჩართულობის ხარისხი, ვინ განსაზღვრავს პროცესის მიმართულებას, რამდენად არსებობს მათ შორის კომუნიკაცია და რა ფაქტორები განაპირობებს ამ საკითხის სიცოცხლისუნარიანობას;

3. ხუდონის მშენებლობის საწინააღმდეგოდ მიმართულმა მოძრაობამ განვითარების რა ეტაპები და საფეხურები განვლო და სოციალურ მოძრაობებში რამდენად ხდება ამ მოძრაობის — როგორც იდეათა სისტემის ფორმირება.

კვლევის მეთოდოლოგია

კვლევის პროცესში მოხდა როგორც პირველადი, ასევე მეორადი მონაცემების მოძიება და ანალიზი. ორივე შემთხვევაში გამოვიყენეთ თვისებრივი მეთოდოლოგია და მისი რამდენიმე ტექნიკა, კერძოდ:

- ჩატარდა ქართული პერიოდიკის (ბეჭდური და ელექტრონული ჟურნალ-გაზეთების) შინაარსობრივი ანალიზი

1979 წლიდან (ხუდონჰესის იდეის რეალიზაციის დაწყებიდან) მოყოლებული დღემდე;

- გაანალიზდა სამთავრობო დადგენილების, გადანყვეტილებების და ზოგადად მოცემულ თემასთან დაკავშირებით არსებული ოფიციალური დოკუმენტები;

- ჩატარდა ჩალრმავებული ინტერვიუები. რესპონდენტები შეირჩნენ არაშემთხვევითი შერჩევის საფუძველზე. რესპონდენტთა შერჩევისას გათვალისწინებული იქნა ხუდონჰესის თემით დაინტერესებული ჯგუფების წარმომადგენელთა განსხვავებული პოზიციები და ხედვები. სიღრმისეული ინტერვიუ ჩატარდა:

- 15 რესპონდენტს საკვლევ რეგიონში — სვანეთში, კონკრეტულად სოფ. ხაიშში. გამოიკითხნენ განსხვავებულ პოზიციებზე მდგომი რესპონდენტები;

- მოცემული რეგიონების სახელისუფლებო შტოს წარმომადგენლები (2-2 ადამიანი);

- ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლები;

- გარემოსდაცვით თემატიკაზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები.

ჩალრმავებული ინტერვიუს შედეგად მიღებული მონაცემების დამუშავებისას ძირითადი აქცენტი გაკეთდა ინტერპრეტაციულ დონეზე, რომელიც დესკრიფციულისგან განსხვავებით აქცენტს მნიშვნელობაზე აკეთებს.

ხუდონჰესი: მშენებლობის მოკლე ისტორიული მიმოხილვა

ხუდონჰესის მშენებლობის იდეა ჯერ კიდევ საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში გაჩნდა. 1960-იანი წლების ბოლოს, თბილისის საპროექტო საძიებო და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის, „ჰიდროპროექტის“ ნაშრომში, „მდინარე ენგუ-

რის ენერგეტიკული გამოყენების სქემა”, პირველად გაიჟღერა ხუდონის მშენებლობის იდეამ, რომელიც ოდნავ მოგვიანებით 1972 წელს დაამტკიცა სსრკ საგეგმო კომიტეტმა და ენგურჰესის მშენებლობის შემდგომ ე.წ. პირველი რიგის ობიექტად იქნა დასახული. გარკვეული მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარების შემდეგ (რაც სხვადასხვა აქტივობის გარდა, მშენებლობის მიზანშეწონილობისა და ტექნიკური პარამეტრების დაზუსტებასაც გულისხმობდა 1978-1984 წწ.), 1985 წლიდან დაიწყო ხუდონჰესის მშენებლობა, რომელიც ინტენსიურად მიმდინარეობდა 1989 წლამდე (გეგმის მიხედვით, ხუდონჰესის პირველი რიგის აგრეგატის ამოქმედება 1991 წელს უნდა მომხდარიყო). ხუდონის მშენებლობაზე სსრკ მთავრობის მიერ გამოყოფილი 464 მლნ. მანეთიდან 1988 წლისთვის უკვე დახარჯული იყო 160 მლნ. მანეთი.

ხუდონჰესის მშენებლობამ საზოგადოების დიდ ნაწილში უარყოფითი გამოხმაურება გამოიწვია რაც განპირობებული იყო გარემოზე ზეგავლენის მოსალოდნელი ნეგატიური შედეგებით. ამას თან ერთვოდა ის, რომ თავდაპირველად პროექტი მხოლოდ მშენებლობის ტექნიკურ დეტალებს ითვალისწინებდა და არ მოიცავდა არანაირ ეკოლოგიურ გათვლას). ხუდონჰესის მშენებლობის მონინააღმდეგეთა შორის იყვნენ ეკოლოგისტები, ეკონომისტები, ინტელიგენციის წარმომდგენლები, ადგილობრივი მოსახლეობა (თუმცა განხილვაში ჩართული საზოგადოების ნაწილი, კერძოდ ეკონომისტები, მშენებლობის დადებით ასპექტებზე უფრო ამახვილებდნენ ყურადღებას). მშენებლობის წინააღმდეგ დაწყებული აქციები, 1980-იანი წლების საქართველოში დაწყებული ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთ მასაზრდოებელ წყაროდ იქცა.

ხუდონჰესის საწინააღმდეგოდ მიმართულმა ფართო საზოგადოებრივმა კამპანიამ შედეგი გამოიღო და 1989 წლის ივნისში საქართველოს მინისტრთა საბჭომ მიიღო დადგენილება ხუდონის მშენებლობის შეჩერებაზე (მშენებლობა ისე შეჩერდა, რომ მას არ ჩატარებია საკონსერვაციო სამუშაოები). 1990 წელს მინისტრთა საბჭოს დავალებით შეიქმნა სპე-

ციალური კომისია, რომელმაც გარკვეული შესწორებები შეიტანა ხუდონის მშენებლობის პროექტში, თუმცა საბოლოო ფაზში ქვეყანაში განვითარებულმა პოლიტიკურმა მოვლენებმა, კონკრეტულად კი, საბჭოთა კავშირის დაშლამ, ხელი შეუშალა ხუდონის იდეის რეალიზაციას.

მიუხედავად იმისა, რომ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ პერიოდში, კერძოდ კი ე. შევარდნაძის მმართველობის ხანაში, მოცემულ თემაზე საუბარი არაერთხელ იქნა წამოწყებული, არასტაბილური მდგომარეობის თუ ფინანსური რესურსების არქონის გამო იდეის რეალიზება ვერ ხერხდებოდა.

ვარდების რევოლუციის შემდეგ, კორუფციასთან ბრძოლისა და სხვა რეფორმების გატარების შედეგად სახელმწიფოებრივი ინსტიტუტების მეტ-ნაკლებად გაძლიერების ფონზე სააკაშვილის ხელისუფლება აქტიურ მოლაპარაკებებს იწყებს ხუდონჰესის თაობაზე მსოფლიო ბანკთან. ამ მიზნით, ამ უკანასკნელმა 2006 წ. საქართველოს მთავრობას 5 მლნ. აშშ დოლარი გამოუყო. საქართველოს მთავრობამ 2007 წ. ხელშეკრულება გააფორმა ხუდონჰესის მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის შესახებ ინდურ კომპანია Continental Energy International-თან, რომელმაც შემდგომში სახელი შეიცვალა და გახდა „Trans Electrica LTD“. მომზადდა ხუდონჰესის პირველი ფაზის სოციალურ გარემოზე ზემოქმედების ანგარიში. მოცემული დოკუმენტი 2008 წლის ივლისში განხილულ იქნა საჯარო შეხვედრებზე დაბა ჯვარში, ხაიშში, ზუგდიდში, თბილისში. თუმცა მოსახლეობა არ იყო ინფორმირებული შეხვედრის მიზნებსა და დროზე. აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომმა და შედეგად წარმოქმნილმა ეკონომიკურმა კრიზისმა დროებით გადასწია ხუდონის მშენებლობის საკითხი.

ხუდონჰესის მშენებლობის საკითხი 2011 წლიდან კვლავ დადგა დღის წესრიგში, როდესაც 21 აპრილს საქართველოს მთავრობამ Trans Electrica LTD-სთან მილიარდ დოლარიან კონტრაქტს მოაწერა ხელი. თუმცა საზოგადოება

მხოლოდ მას შემდეგ გააქტიურდა, რაც მშენებლობის დასაწყებად უკვე კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა დაიწყო. გეგმის მიხედვით მშენებლობა 2012 წლის აპრილიდან უნდა დაწყებულიყო. საქართველოში არსებულმა გარემოსდაცვითმა ორგანიზაციებმა (მათ შორის საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამინის მეგობრები, მწვანეთა პარტია) და გარემოს დაცვის საკითხებზე მომუშავე სხვადასხვა ექსპერტმა ხუდონის მშენებლობასთან დაკავშირებით საკუთარი, საკმაოდ კრიტიკული შეხედულება გამოთქვეს. მეორე მხრივ სოფ. ხაიშში მცხოვრებმა ადგილობრივმა მოსახლეობამ და საზოგადოების საკმაო ნაწილმა ცალსახად მწვავე და რადიკალური პოზიცია დაიკავა რისი ერთ-ერთი გამოხატულებაცაა საპროტესტო კამპანია — „არა ხუდონჰეს“.

გარემოსდაცვა და ხუდონის თემატიკა პოლიტიკის დღის წესრიგში

გარემოსდაცვითი თემატიკა პოლიტიკის დღის წესრიგში ქართული რეალობისთვის საკმაოდ ახალია. ამას მოწმობს 1990-იანი წლებიდან ჩატარებული არაერთი საპარლამენტო, საპრეზიდენტო და თვითმმართველობის არჩევნების ანალიზი და ამ არჩევნებში პოლიტიკური ძალების მიერ გარემოსდაცვით პრობლემებზე ყურადღების გამახვილების ხარისხი და ინტენსივობა. ფაქტობრივად გარემოსდაცვითი თემა ქართულ პოლიტიკურ რეალობაში 2012 წლამდე მხოლოდ ერთეულ შემთხვევებში და როგორც წესი ძირითადად, ნაკლებად პოპულარული პოლიტიკური ძალების მიერაა ნახსენები. მაგალითად 2008 წლის წინასაარჩევნო პროგრამებში გარემოსდაცვითი და ეკოლოგიური თემატიკა მხოლოდ ორი პარტიის (რომლებმაც მინიმალური ზღვარიც ვერ გადალახეს და პარლამენტს მიღმა დარჩნენ) — „ილიას გზა“ და ბლოკ „ტრადიციონალისტები, ჩვენი საქართველო და ქალთა პარტია“ დღის წესრიგში მოხვდა.

მიუხედავად გარემოსდაცვითი თემატიკისადმი პოლიტიკური ძალების მიერ ნაკლები ყურადღების დათმობისა, თავად ხუდონის მშენებლობის იდეამ მისი გაჩენის დღიდან არაერთი ხელისუფლების პირობები გამოიარა. მოყოლებული 1979 წლიდან, ჰესის აშენება — არაშენების იდეა კომუნისტური რეჟიმის, გამსახურდიას ხელისუფლების, შევარდნაძის, სააკაშვილის მთავრობების და „ქართული ოცნების“ მმართველობის პირობებში სხვადასხვა სიმწვავისა და აქტუალურობის ხარისხით, პოლიტიკური და ეკონომიკური დისკურსის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენდა. თუმცა მიუხედავად განსხვავებული პოლიტიკური მრწამსისა და იდეოლოგიის მქონე პოლიტიკური ძალების ხელისუფლებაში ყოფნისა, ერთი რამ ცალსახად შეიძლება ითქვას — ყველა ხელისუფლების პოლიტიკური დღის წესრიგში (გარდა ზ. გამსახურდიას ხელისუფლების, რომლის მმართველობა 2 წელიც კი არ გაგრძელებულა) ადრე თუ გვიან, მაინც ჩნდება ხუდონის მშენებლობის საკითხი და მას ქვეყნის ეკონომიკური და სტრატეგიული განვითარების კუთხით უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება.

ხუდონჰესის მშენებლობაზე ხელისუფლების მიერ აქცენტების გაკეთება პერიოდულ ხასიათს ატარებს. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, დამოუკიდებლობა მოპოვებული ქვეყანა უამრავი სოციალურ-პოლიტიკური თუ ეკონომიკური პრობლემის წინაშე დადგა. ამას თან ერთვოდა სამოქალაქო ომი და ფაქტობრივად მოშლილი სახელმწიფო ინსტიტუტები. 1990-იან წლებში არსებული მძიმე ეკონომიკური სიტუაციის ერთ-ერთი თვალსაჩინო გამოვლინება ქვეყანაში არსებული უმძიმესი ენერგეტიკული კრიზისიც იყო. ელექტროენერგიით მომარაგების სფეროში არსებულმა პრობლემებმა (წლების მანძილზე ქვეყანა ენერგო კრიზისის ფონზე ელმომარაგების უმწვავეს დეფიციტს განიცდიდა, რაც ელექტროენერგიის მუდმივად „მოულოდნელ“ გამორთვას, ელექტროხაზების დაზიანებასა და მოსახლეობის ელმომარაგების კუთხით პერმანენტული გრაფიკების არსებობაში აისახებოდა) არაერთხელ წამოსწია წინ ჰესებისა და კონკრეტულად ხუდონის მშენებ-

ლობის თემატ. თუმცა, სუსტი სახელმწიფო ინსტიტუტების, ეკონომიკური კრიზისისა და ინვესტორების არარსებობის ფონზე ძნელი იყო ხუდონის იდეის რეალიზაცია. საქართველოს ხელისუფლების იმ პერიოდის წარმომადგენლები, კერძოდ კი, საქართველოს პრეზიდენტი ე. შევარდნაძე თავის გამოსვლებში არაერთხელ აღნიშნავდა, რომ ხუდონჰესის მშენებლობის შეჩერება ძალიან დიდი შეცდომა იყო. მოცემულ თემატიკაზე მსჯელობა 1995 წლიდან უფრო აქტიურად განახლდა. ამ პერიოდისთვის ქვეყანაში შექმნილმა პოლიტიკურმა ფონმა და სიტუაციის მეტ-ნაკლებმა სტაბილიზაციამ — სამოქალაქო ომი დასრულებულია, აფხაზეთსა და სამაჩაბლოში მიმდინარე სამხედრო დაპირისპირება და რუსეთთან შექმნილი დაძაბული სიტუაციის მეტ — ნაკლებად მწვავე ფაზა გამოვლილია — მოცემული საკითხისთვის „დროის გამოთავისუფლების“ მეტი საშუალება გააჩინა. დადგა ხუდონის, როგორც ენერგო კრიზისიდან გამოსვლის შესაძლო ვარიანტის წინ წამოწევის საკითხი. ამ საკითხით დაინტერესებას გამოხატავს რუსეთის მხარეც. 1994 წ. „საქართველოში ეკონომიკური თანამშრომლობისა და ინვესტიციების შესახებ“ ჩატარებულ კონფერენციაზე რუსეთის მენარმეთა კავშირის თანათავმჯდომარემ, არკადი ვოლსკიმ ხუდონის მშენებლობის აღდგენის საკითხი დააყენა. რუსეთი საქართველოს სთავაზობდა ერთობლივი სააქციო საზოგადოების შექმნას, რომლის აქციებსაც ორივე ქვეყნა შუაზე გაიყოფდა. თუმცა, კონფერენციაზევე გამოიკვეთა, რომ ამისთვის საჭირო ფინანსები თავად რუსეთს არ გააჩნდა.

„ხუდონი აშენებული რომ იყოს, ჩვენ პრობლემები აღარ გვექნებოდა“ — აღნიშნავდა 1997 წელს იმდროინდელი სათბობენერგეტიკის მინისტრი დ. ზუბიტაშვილი. ერთადერთ პრობლემად ხელისუფლება განიხილავს ფინანსურ პრობლემას — 600-700 მილიონი დოლარის ინვესტიციის მოზიდვას, რაც საჭიროა ჰესის დასასრულებლად (კალანდაძე. 1997, გვ. 2).

საბოლოოდ კი, ხუდონჰესის მშენებლობის თემატიკა ყველაზე აქტიურად და რაც მთავარია რეალურად სააკ-აშვილის ხელისუფლების პერიოდში იქცა. 2011 წლის 21 აპრილის მთავრობის სხდომაზე, სადაც გარკვეული შესწავლითი სამუშაოების ჩატარების შემდეგ, პრაქტიკულად გამოცხადდა ხუდონჰესის მშენებლობის დაწყება, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ნიკა გილაურმა აღნიშნა, რომ კვლევა სასურველი შედეგით დასრულდა:

„შესწავლამ დაადასტურა, რომ ხუდონის მშენებლობა არის მომგებიანი, მიუხედავად იმისა რომ საკმაოდ დიდი ინვესტიციები იქნება განხორციელებული და საკმაოდ რთული იქნება მისი მშენებლობა. მიუხედავად ამისა ტექნიკურადაც შესაძლებელია მისი მშენებლობის განხორციელება და ეკონომიკურადაც მისაღებია დღევანდელი ბაზრის კონიუნქტურის გათვალისწინებით“ (კუნჭულია, 2011).

ხუდონის თემატიკა საინტერესოა იმიტაც, რომ მასთან მიმართებით კარგად ჩანს თუ როგორ იცვლება პოლიტიკოსთა ნარატივი ხელისუფლებაში მოსვლამდე და ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ. ამ მიმართულებით ორი ასპექტის გამოყოფა შესაძლებელია. 1. როდესაც ხუდონჰესის (ისევე როგორც სხვა დიდი ჰესების) მშენებლობის აქტიური მონიშვნა აღმდეგები ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ გარკვეულწილად იცვლიან ან არბილებენ ხედვებს და 2. როდესაც პოლიტიკოსები ხმების მოსაზიდად წინასაარჩევნო პერიოდში აქტიურად იყენებენ ხუდონჰესის საწინააღმდეგოდ მიმართულ საზოგადოებრივ მუხტს, თუმცა შემდგომში საარჩევნო პროგრამისა და დაპირებების მიუხედავად, ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ თავად ხდებიან ხუდონის იდეის მთავარი მხარდამჭერები და განმახორციელებლები (აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ მიუხედავად ხუდონის თემის მუდმივი აქტიურობისა, დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში კონკრეტულად ხუდონჰესის საკითხი (აშენება ან არაშენება) რომელიმე პოლიტიკური ძალის წინასაარჩევნო პროგრამაში არცერთხელ პირდაპირი სახით არ მოხვედრილა).

პირველი შემთხვევის ერთ-ერთი კარგი მაგალითია „მწვანეთა პარტია“, რომელიც ხუდონჰესის მშენებლობის საწინააღმდეგოდ დაწყებული საპროტესტო აქციების ერთ-ერთი მთავარი ორგანიზატორი იყო 1980-იან წლებში. 1992 წლის არჩევნების შედეგად საკანონმდებლო ორგანოში შესვლისა და ხელისუფლებაში მყოფ პოლიტიკურ გაერთიანება „მოქალაქეთა კავშირთან“ მჭიდრო ურთიერთობების ფონზე, „მწვანეთა პარტიის“ პოლიტიკური ნარატივი ხუდონის თემატიკასთან მიმართებით სიმწვავეს კარგავს და გარკვეულწილად ჯდება სახელისუფლებო კონიუქტურაში. „ჩვენი პოზიცია არ შეცვლილა, მაგრამ განიცადა გარკვეული ტრანსფორმაცია. ჩვენი ხედვა ენერგეტიკის განვითარების შესახებ გახდა გლობალური. აქედან გამომდინარე ხუდონჰესი არ შეიძლება დამოუკიდებლად იყოს განხილული” — აცხადებდა „მწვანეთა პარტიის“ სპიკერი გია გაჩეჩილაძე. კაშხლის დადაბლებისა და მისი უსაფრთხოების გაზრდის შემთხვევაში „მწვანეები“ პრაქტიკულად აღარ გამოდიან ხუდონის მშენებლობის წინააღმდეგ და სახელმწიფო ინტერესების წინ ნა-მონევაზე აპელირებენ (კალანდაძე, 1996, p. 22).

მეორე შემთხვევის თვალსაჩინო მაგალითად კი „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლამდე და მოსვლის შემდგომი ნარატივები გამოდგება. დამოუკიდებელი საქართველოს პოლიტიკურ რეალობაში ფაქტობრივად ეს არის ერთადერთი შემთხვევა, როდესაც ხუდონის თემატიკა წინასა-არჩევნო დისკურსში მოხვდა (ოლონდ, ამჟერადაც არაპარტიულ საპროგრამო დონეზე). დღეს ხელისუფლებაში მყოფი „ქართული ოცნება“, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში, ოპოზიციური პარტიის რანგში მყოფი, წინასაარჩევნო პროგრამაში მიზნად ისახავდა „სეისმურობის მაღალი მაჩვენებლის გათვალისწინებით დიდი ჰესებისა და ატომური ელექტროსადგურების მშენებლობის აკრძალვას. ენერჯის ალტერნატიული და განახლებადი წყაროების გამოყენების ხელშეწყობას... მიკრო და მცირე ჰესების მშენებლობის, აგრეთვე, არსებული ჰიდროელექტროსადგურების რეაბილიტაციის ხელ-

შენყოფას” (პოლიტიკური კოალიცია: ივანიშვილი-ქართული ოცნება, 2012, გვ. 55). ამასთანავე, პირად შეხვედრებში „ოცნების” წარმომადგენლები სვანეთის მოსახლეობას ცალსახად ჰპირდებოდნენ, რომ ხუდონჰესი არ აშენდებოდა (2012 წლის არჩევნებში, იმ პერიოდში ოპოზიციური ძალის „ქართული ოცნებისთვის“ მოცემულ რეგიონში უპირობო მხარდაჭერის მთავარ განმაპირობებელ ფაქტორად პრაქტიკულად სწორედ სვანეთის მოსახლეობისთვის არაფორმალური შეხვედრების პერიოდში ხუდონჰესის არაშენების დაპირება იქცა) პოლიტიკური დისკურსი ხუდონთან მიმართებით ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ მკვეთრად იცვლება. არჩევნებში გამარჯვებიდან ძალიან მალევე, პრემიერ მინისტრი ბ. ივანიშვილი, ისევე, როგორც ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები, ჰესების და უპირველეს ყოვლისა დიდი ჰესების მშენებლობას საქართველოს ენერგეტიკული განვითარებისა და უსაფრთხოების კუთხით უკვე უმნიშვნელოვანეს როლს ანიჭებენ და ხუდონის აშენება — არაშენების თემა კვლავ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის და მომავალი ეკონომიკური აღორძინების ქრილში განიხილება. „არ შეიძლება ჩვენი ქვეყნის სტრატეგიულ განვითარებას ხელი შევუშალოთ. არ დაუჯეროთ ოპონენტებს (აქ იგულისხმება, რომ „ჩვენმა საყვარელმა სვანებმა“ არ უნდა დაუჯერონ), რომლებსაც მხოლოდ ხმაური შეუძლიათ... გაითვალისწინეთ, რომ ხუდონჰესი ასაშენებელია, ისევე როგორც სხვა ბევრი ჰესი“ — აღნიშნავდა ბიძინა ივანიშვილი არჩევნების გამარჯვებიდან მოკლე პერიოდში (სარედაქციო წერილი, 2013, გვ. 3).

ცალკე აღნიშვნის ღირსია ზემო სვანეთის მაჟორიტარი დეპუტატის (ზემო სვანეთს საკანონმდებლო ორგანოში ერთადერთი წარმომადგენელი ჰყავს) ზურაბ ჯაფარიძის პოზიცია, რომელიც ცენტრალური ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებისგან განსხვავებით, ხუდონის საკითხზე მსჯელობისას გაცილებით ფრთხილია და შეფასებისა და პროგნოზირებისას ცდილობს მეტ-ნაკლებად ნეიტრალური პოზიცია დაიჭიროს: „ვერ გეტყვით აშენდება თუ არა ჰესი იმ შემთხვევაში

თუ მოსახლეობასთან შეთანხმებას ვერ მივალწიეთ. კი ბატონო უმრავლეობის დეპუტატი კი ვარ, მაგრამ ჯერ მესტიის მაჟორიტარი ვარ და შემდეგ უმრავლესობის წევრი“ (ნაცვლიშვილი, 2014, გვ. 4). მსგავსი პოზიცია საქართველოს პოლიტიკური დისკურსიდან გამომდინარე, მით უმეტეს ხუდონჰესთან მიმართებით ცალსახად მნიშვნელოვანია. ფაქტობრივად ეს არის ერთ-ერთი იმ იშვიათ შემთხვევათაგანი, როდესაც ხელისუფლებაში მყოფი პოლიტიკური ძალის წარმომადგენელი მაჟორიტარი დეპუტატი უპირველეს ადგილზე მისი საარჩევნო რეგიონის და ამომრჩევლების ინტერესებს აყენებს და პრაქტიკულად მიუხედავად მისი პარტიის მკვეთრად გამოკვეთილი პოლიტიკური პოზიციისა, სვანეთის მოსახლეობის ვერდარწმუნების შემთხვევაში არ ემხრობა ჰესის აშენებას.

თუმცა, უკანასკნელ პერიოდში ჰესის მშენებლობასთან მიმართებით, გარკვეულწილად ხელისუფლებაც არბილებს ნარატივს. მთავრობის წარმომადგენლებმა აქტიურად დაიწყეს საუბარი ჰესის აშენების პროცესში სახელმწიფოს წილობრივ მონაწილეობაზე; „მიმდინარეობს მოლაპარაკებები ინვესტორ კომპანიასთან, თუ როგორ არის შესაძლებელი წილობრივი მონაწილეობა სახელმწიფოს მხრიდან. უახლოეს მომავალში ჩვენ დავასრულებთ მოლაპარაკებებს და შესაბამისად ყველაფერი ცნობილი გახდება. აღნიშნული პოზიცია ჰესის მშენებლობის ოპონენტთა ნაწილის მოსაზრებით, შესაძლებელია არსებული სიტუაციიდან ერთ-ერთ სავარაუდო გამოსავლად იქცეს (ნიკლაური, 2014).

ზემოთქმულიდან გამომდინარე, შესაძლებელია ითქვას, რომ გრემოსდაცვითი თემატიკა დიდი ჰესების კუთხით ზოგადად, მეტნაკლებად აქტიური ხდება 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ, ხოლო თავად ხუდონჰესის შემთხვევა არასდროს არცერთი პარტიის წინასაარჩევნო პროგრამაში არ მოხვედრილა და, როგორც წესი პოლიტიკური ძალების ხელისუფლებაში ყოფნა/არყოფნა განსაზღვრავს ხუდონჰესის მშენებლობისადმი მათ მომხრე/მოწინააღმდეგეობას.

**მშენებლობის მომხრეები და მონინაალმდეგეები:
ეკონომიკური სარგებელი VS ეკოლოგიური ზიანი**

ხუდონჰესის შესასწავლი საკითხი უახლესი საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთ იმ მცირერიცხოვან პრობლემატა სპექტრს მიეკუთვნება, რომლის შესახებაც განსხვავებული პოზიციები და არგუმენტები პროექტის გაჩენის დღიდან დღემდე, თითქმის სამი ათეული წლის მანძილზე, პრაქტიკულად, კვლავ არ კარგავს აქტუალობას. მაგრამ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და თვალშისაცემია ხუდონის პროექტის ეკონომიკური სარგებლისა და ამის საპირისპიროდ, ეკოლოგიური (და არა მარტო) საფრთხეების შესახებ წარმოებული დისკუსია. ეკონომისტებსა და ეკოლოგისტებს მოცემულ შემთხვევაში პრაქტიკულად სრულიად დაპირისპირებული პოზიციები უკავიათ. უფრო მეტიც, თავად ერთი კონკრეტული სფეროს წარმომადგენლებს შორისაც კი არაა ზოგჯერ აზრთა თანხვედრა. ეს განსაკუთრებით ეკონომიკური სარგებელის თემას ეხება.

**არგუმენტები მოსალოდნელი ეკონომიკური
სარგებელის შესახებ**

ხუდონის მშენებლობის მომხრეები აქცენტს მოსალოდნელ ეკონომიკურ სარგებელზე შემდეგი არგუმენტების გათვალისწინებით აკეთებენ:

ა) ენგურჰესის შემდეგ ხუდონჰესი საქართველოში სიმძლავრით მეორე ელექტროსადგური იქნება და წლიურად 1,5 მლრდ. კვტ/სტ გამოიმუშავებს. შედეგად, მიღებული დამატებითი ელექტროენერგია გაზრდის ქვეყნის ენერგოუსაფრთხოებას და და გააუმჯობესებს ქვეყანაში ელექტროენერგის ექსპორტ-იმპორტის ბალანსს (მესხია, 2013, გვ. 8).

ეკონომიკური სარგებლიანობის არგუმენტები უმთავრესი არგუმენტებია რითაც ხუდონჰესის მშენებლობის მომხრეები (განსაკუთრებით კი ეკონომისტები და ენერგეტიკო-

სები) ამყარებენ თავიანთ პოზიციებს (პაპაშვილი, 1990, გვ. 5). საინტერესოა ისიც, რომ მოცემული არგუმენტები პროექტის მშენებლობის განხორციელების იდეის დღიდან არსებობს და დღემდე არ კარგავს აქტუალობას.

საქართველო ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში ვერ ახერხებდა საკუთარი თავის უზრუნველყოფას ელექტროენერგიით. საქართველო მოკავშირე რესპუბლიკებს შორის ერთ-ერთ ბოლო ადგილზე იყო ერთ სულ მოსახლეზე ელექტრონარმოების მიხედვით. ეს მაჩვენებელი სსრკ-ში ერთ სულ მოსახლეზე სამ. 5000 კვტ/სთ იყო, ხოლო საქართველოში კი — 2900. არსებული დეფიციტის შევსება ხდებოდა მეზობელი რესპუბლიკებიდან. ელექტროენერგიის მომარაგების მხრივ არსებულმა სიტუაციამ განაპირობა ხუდონის მშენებლობის (ისევე როგორც მანამდე ენგურჰესის) იდეის გაჩენა და განხორციელება.

საბჭოეთის დაშლის შემდეგ შექმნილი ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური თუ სხვა კრიზისების ფონზე ერთ-ერთი ყველაზე აქტიური თემა ელექტროკრიზისია. ქვეყანა ფაქტობრივად ერთიანი ელმომარაგების საბჭოური სისტემიდან გამოსვლის შემდეგ, დიდწილად მხოლოდ საკუთარი ენერგორესურსების ამარა დარჩა, რამაც ბუნებრივია ასახვა ჰპოვა ენერგოდეფიციტზე. მართალია წლების მანძილზე გატარებული სხვადასხვა ნაბიჯის შედეგად მოცემული პრობლემა პრაქტიკულად მოგვარებულია, მაგრამ რეალურად საქართველო ელექტრომომარაგების მხრივ კვლავ დამოკიდებულია სხვა ქვეყნებისგან შესყიდულ ელექტროენერგიაზე.

ბ) ხუდონის მშენებლობის მომხრეთა შემდეგ არგუმენტს სამუშაო ადგილების შექმნა და ადგილობრივ ბიუჯეტში თანხების მოცულობის ზრდა წარმოადგენს. ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების მიხედვით მშენებლობაში დასაქმებული მუშახელის 70% პროცენტი საქართველოს მოქალაქეები იქნებიან (თუმცა, უცნობია რამდენი ადამიანის დასაქმება იგულისხმება მოცემულ 70%-ში და რა პერიოდის მანძილზე).

გ) მესტიის რაიონი (რომლის ფარგლებშიც დაბა ხაიშში დაგეგმილია ჰესის მშენებლობა) ყოველწლიურად ქონების გადასახადის სახით მიიღებს 12, 3 მლნ ლარს (ეს დახლოებით, მესტიის 2016 წლის მთლიანი ბიუჯეტის ტოლია) რაც ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრების დონის გასაუმჯობესებლად და სხვა მიმართულებებით სასარგებლო ნაბიჯების გადადგმისთვის საკმაო თანხებს წარმოადგენს.

მშენებლობის მომხრეთა ძირითადი კატეგორია ეკონომისტები და ენერგეტიკოსები არიან. ასევე, როგორც წესი, ხელისუფლებაში მყოფი პოლიტიკური ძალა — არ აქვს მნიშვნელობა, ხუდონის მშენებლობის რა პერიოდზე და ხელისუფლებაში მყოფ რომელ პოლიტიკურ ძალაზეა საუბარი — ფაქტია, მიუხედავად ხელისუფლებაში მოსვლამდე პოზიციებისა ნებისმიერი პოლიტიკური ძალა ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ხუდონჰესის მშენებლობის იდეის მხარდამჭერად იქცევა. ამისგან განსხვავებით, ჰუდონჰესის მშენებლობის მოწინააღმდეგეთა სპექტრი და თავად საწინააღმდეგო არგუმენტთა დიაპაზონიც გაცილებით ფართოა და მოიცავს არა მარტო ეკოლოგიურ, არამედ სოციალურ, კულტურულ, ეთნო-ლინგვისტურ და ზოგჯერ, თავად საწინააღმდეგო ეკონომიკური ჭრილის არგუმენტებსაც კი. ამას თან ერთვის პრაქტიკულად ყველა ოპოზიციაში მყოფი ძალის არგუმენტებიც (ფართო საზოგადოებასა და სამოქალაქო სექტორზე ქვემოთ გვექნება დანვრილებით საუბარი).

პროექტის განხორციელების მოწინააღმდეგეთა არგუმენტები რამდენიმე კუთხით შეიძლება დაჯგუფდეს:

ა) ეკოლოგისტთა არგუმენტები

- სოფელი ხაიშში, სადაც დაგეგმილია ხუდონის მშენებლობა (ისევე როგორც მთელი სვანეთი) სეისმურად მაღალი აქტივობით გამოირჩევა (9 ბალიანი რისკების ზონა). მოცემული მოცულობის ჰიდროელექტროსდგურის აშენება გამოიწვევს ტექტონიკურ რყევებს და გაააქტიურებს სეისმურ პროცესებს (მესხია, 2013, გვ. 8).

- მენყერის შემთხვევაში (რისი საშიშროებაც, ასევე არსებობს რეგიონში) საფრთხე ემუქრება არა მარტო ხუდონს, რომელიც ორ მთას შორის უნდა აშენდეს, არამედ ენგურჰესსაც და, შესაბამისად, მთელ დასავლეთ საქართველოს და თურქეთის ჩრდილოეთს ნაწილსაც.

ეკოლოგიური კუთხით საფრთხეების და ზოგადად პროექტის გამართულობის თემაზე დავა პროექტის განხორციელების დღიდან მოყოლებული, დაახლოებით 30 წელია გრძელდება. ჯერ კიდევ მშენებლობის საწყის ეტაპზე 1980-იან წლებში ხუდონის მშენებლობის მონინაალმდევე ექსპერტთა უმთვარესი არგუმენტი პროექტის ეკოლოგიური, გეოლოგიური და ენერგეტიკული კუთხით სრული გაუმართაობა იყო. ხუდონის თავდაპირველი პროექტის მიზანშეწონილობა მხოლოდ ენერგეტიკული მოთხოვნებით იყო დადგენილი და სრულიად უარყოფდა გარემოს ინტერესებს. შესაბამისად არ ეფუძნებოდა ეკოლოგიური და ეკონომიკური თანაფარდობის პრინციპს. პროექტის მოცემულ ნაკლს „ალიარებს“ მაშინდელი ხელისუფლებაც და მასშტაბური გამოსვლების ფონზე 1985 წლის 25 მარტის განკარგულებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო სპეციალურ კომისიას ქმნის, რომელსაც სწორედ აღნიშნული მიმართულებით დაევალა რეკომენდაციების შემუშავება. 1989 წელს კი მინისტრთა საბჭოში გამართულ თათბირზე გადაწყდა პროექტის ეკოლოგიური და სხვა კუთხით გაუმართაობის გამო შეწყვეტილიყო მისი განხორციელება: „თათბირზე ერთსულოვნად გამოითქვა აზრი, რომ ხუდონის ჰიდროელექტროსადგურის შესახებ ყოველი გადაწყვეტილების ქვაკუთხედი უნდა გახდეს ადამიანის, რესპუბლიკისა და მშენებლობის რაიონში მცხოვრებ ადამიანთა, უწინარეს ყოვლისა მესტიის რაიონის მშრომელთა ინტერესები“ (სარედაქციო წერილი, 1989). 1990 წელს მინისტრთა საბჭოს დავალებით შექმნილმა კომისიამ პროექტში შესწორებები შეიტანა, თუმცა სსრკ დაშლის შემდეგ მოცემული შესწორებები ისევე როგორც ხუდონის იდეა, ველარ ხორციელდება.

ეკოლოგიური გაუმართაობის პრობლემა 30 წლის შემდეგაც, ალბათ, ყველაზე აქტუალური თემაა ხუდონჰესის პროექტთან მიმართებით. „ჯერ მომხდარიყო შესწავლა და ამის შემდეგ ხელშეკრულების ან მემორანდუმის გაფორმება“ — აღნიშნავდა 2013 წელს გარემოს დაცვის მინისტრი ხათუნა გოგალაძე (ხარაზიშვილი 2013a, გვ.5).

გარემოს დაცვის სამინისტროს ინიციატივით ხუდონჰესის მშენებლობის რისკებისა და დადებითი მხარეების შესწავლის მიზნით მოწვეულ იქნა საერთაშორისო ექსპერტთა ჯგუფი ნიდერლანდების გარემოზე ზემოქმედების შეფასების კომისიის სახით. კომისიამ არასაკმარისად ჩათვალა საბოლოო დასკვნის მისაღებად მიწოდებული ინფორმაცია და მინიმუმ ერთი წელი მოითხოვა საკითხის გარემოზე ზემოქმედების კუთხით საბოლოო დასკვნის დასადავად. საინტერესოა, რომ ამჯერადაც ისევე როგორც 30 წლის წინ, პროექტის ავტორებისადმი მთავარი ბრალდება გარემოზე ეკოლოგიური ზემოქმედების გაუთვალისწინებლობა ან ნაკლებად გათვალისწინებაა დასახელებული. როგორც ნიდერლანდების კომისიის ერთ-ერთი წევრი რულ შვოტვეხი აცხადებს, „საქართველომ, როგორც ქვეყანამ, არ იცის რას დაკარგავს ან რას მიიღებს კაშხლის მშენებლობის შედეგად. შესაბამისად ძნელია იმ არგუმენტების დანახვა, რომელიც ამ მომენტში კაშხლის აშენების საჭიროებას ხსნის“. ერთ-ერთ არგუმენტად მოჰყავთ არამდგრად სეისმოლოგიური ზონაში მომზადებული პროექტის ექსპლოატაციის ვადა. ნიდერლანდელი ექსპერტების წინასწარი ვარაუდით, ნაცვლად ექსპლოატაციის მოსალოდნელი 95 წლიანი ვადისა, პროექტის რეალური ვარგისიანობა მხოლოდ 25 წლამდეა. რაც დამატებით კითხვებს აჩენს პროექტის მშენებლობის რაციონალურობასთან მიმართებით (ხარაზიშვილი 2013a, გვ.5).

ბ) ეკონომიკური

- პროექტით გათვალისწინებულია „აშენება, ფლობა, ოპერირება“, ანუ ტრანს ელექტრიკა მოცემული პროექტის სრული მეპატრონეა. მას 300 მლნ. დოლარად შეფასებული

დაკონსერვებული ქონება სიმბოლურ ფასად — 1 დოლარად გადაეცა.

- ამასთანავე, ექსპორტზე გატანილი პროდუქცია საქართველოს კანონმდებლობით არ იბეგრება. შესაბამისად, იმ 9 თვის განმავლობაში როცა ტრანს ელექტრიკა ექსპორტზე გაიტანს ელექტროენერგიას საქართველოს ბიუჯეტი ვერ მიიღებს ვერაფერს. აქედან გამომდინარე ექსპორტთან ნაწილის მოსაზრებით ქვეყნისთვის მოცემული პროექტი ეკონომიკურადაც ნაკლებმომგებიანია, განსხვავებით კერძო კომპანიისგან, რომელიც 1,6 მლრდ. დოლარის მოგებას ნახავს (ხარაზიშვილი, 2013 b, გვ. 6).

- ექსპორტთა და პოლიტიკოსთა ნაწილი ხუდონის და, ზოგადად, გიგანტური ელექტროსადგურების მშენებლობის მოძველებულობასა და თანამედროვე ტექნოლოგიური განვითარების ფონზე, სრულიად არამართებულად მიიჩნევენ. მიუთითებენ ახალი ენერგორეჟიმის პერსპექტივებზე — განახლებადი ენერჯის წყაროებზე — ქარის, მზის, გეოთერმული ენერჯია, ზღვის მიქცევა-მოქცევის, ასევე, ნაგავისა და ნარჩენების გადამუშავების შედეგად მიღებული ენერჯია. „ხუდონჰესი, სხვა დიდ ჰიდროელექტროსადგურებთან ერთად, არის წინა საუკუნის, ან უკვე ჩამორჩენილი ტექნოლოგიისა და ძველი ენერგორეჟიმის ნიმუში, რომელიც ეკოლოგიური თვალსაზრისით კატასტროფაა. ასეთ ანაქრონიზმზე ორიენტირებულ სახელმწიფოს მომავალი არ აქვს განსაკუთრებით კი იმ კონტექსტში, როდესაც კაცობრიობას კარს მოადგა მესამე ინდუსტრიული რევოლუცია და მალე მიიღებს სრულიად ახალ ენერგორეჟიმს“ (მაისაშვილი და თაბაგარი 2014, გვ. 11).

- ანალოგურად წინ წამოიწევენ მინის საკითხის პრობლემაც. საქართველო მცირე სახელმწიფოა შესაბამისად, განსაკუთრებით დიდი „ფასი ედება“ მინას- არაგანახლებად და სხვა კომპონენტით ჩაუნაცვლებელ კომპონენტს.

აქ საინტერესოა, რომ დახლოებით ანალოგიურ მოსაზრებას ჯერ კიდევ მეოცე საუკუნის 80-იან წლებში ხუდონჰესის მშენებლობის ირგვლივ განვითარებული მოვლე-

ნების საწყის ეტაპზე მიუთითებს არაერთი ექსპერტი, მათ შორის ენერგეტიკის სფეროს ექსპერტებიც, რომლებიც ხაზს უსვამენ ახალი ენერგორესურსების მოპოვების ტექნოლოგიებსა და მინის, როგორც შეუცვლელი და ჩაუნაცვლებელი ბუნებრივი რესურსის მნიშვნელობას: „ამჟამინდელი არსებული ენერგიის წყაროები ახლო მომავალში შეიძლება შეიცვალოს (თუნდაც არატრადიციული ენერგიის წყაროები) მაგრამ მინის შეცვლა ხომ შეუძლებელია! ამასთანავე განა საყურადღებო არაა თუნდაც ის ფაქტი, რომ კილოვატსაათის ღირებულება საერთო ენერგეტიკულ ბალანსში ყოველწლიურად მცირდება, მინის ფასი კი იზრდება?“ (ლოლობერიძე, 1989, გვ. 3).

- პროექტის განხორციელებისთვის აუცილებელი ინფრასტრუქტურის განვითარება — ახალი გზების გაყვანა და უკვე არსებულის მოწესრიგება — მთლიანად სახელმწიფოს ვალდებულებაში შედის, რაც დამატებით, დიდ ფინანსურ ხარჯებთანაა დაკავშირებული.

— მართალია ზოგიერთი უარყოფითი ფაქტორი ერთი შეხედვით შეიძლება წმინდა ეკოლოგიურ ფაქტორად მოგვეჩვენოს, თუმცა, რეალურად, ეკოლოგიური ფაქტორები კაუზალურ კავშირშია ეკონომიკურ ფაქტორებთან. კონკრეტულად კი ერთ რეგიონში ორი დიდი წყალსაცავი (ხუდონი და უკვე აშენებული ენგური) უარყოფით გავლენას იქონიებს გარემოზე. განადგურდება ფლორა და ფაუნა. ასევე შეიცვლება ჰავა, რაც გამოიწვევს თოვლის სტრუქტურის შეცვლას. სველი თოვლის გაჩენის პირობებში სვანეთი, როგორც ზამთრის სათხილამურო ზონა დაკარგავს ფუნქციას. შესაბამისად სვანეთის, როგორც უნიკალური ფლორისა და ფაუნის, ჰავისა და გეოგრაფიული მდებარეობის მქონე რეგიონის სტატუსი სუსტება. რეგიონი, რომელიც ძირითადად საკურორტო-ტურისტულ ზონადაა ცნობილი, ცალსახად უდიდესი ტურისტული პოტენციალის მქონეა როგორც ზაფხულის, ასევე ზამთრის სეზონზე. ხუდონის აშენების შემთხვევაში კი ჩნდება იმის საშიშროება, რომ გამონვეული ეკოლოგიური

ცვლილებები ზეგავლენას იქონიებს სვანეთის ტურისტულ იმიჯზე და შესაბამისად, ეკონომიკურად გრძელვადიან პერსპექტივაში ნაკლებად მომგებიანი გახდება ადგილობრივი მოსახლეობის (რომლის ერთ-ერთი ძირითადი საარსებო წყარო ტურიზმიდან შემოსული შემოსავალია) რეგიონისა და ზოგადად, ქვეყნის ეკონომიკისთვისაც.

სოციალურ- კულტურული

- ჰესის აშენების შემთხვევაში იტბორება ისტორიული ძეგლები მათ შორის შუა საუკუნეების ხაიშის ციხე და პირველი საუკუნით დათარიღებული ჯერ შეუსწავლელი ისტორიული ძეგლი, ასევე ეკლესიები, რომელიც კულტურული მემკვიდრეობის ნაწილია.

- ხუდონის მშენებლობის შემთხვევაში დაიტბორება 528 ჰექტარი მიწა, გადასახლებას დაექვემდებარება დაახლოებით 528 ოჯახი (2000 მდე ადამიანი⁵⁸). მოცემულ ფაქტორს კიდევ ერთ, ეთნო-ლინგვისტურ პრობლემაზე გავყავართ: ისედაც არცთუ მრავალრიცხოვანი სვანური თემი, რომლის მოსახლეობის საკმაო ნაწილი გადასახლების არეალში მოექცევა თვითმყოფადობის შენარჩუნების პრობლემის წინაშე დგება. 50-კილომეტრიანი ზოლი გაუკაცრიელდება, შესაბამისად არსებობს იმის ალბათობაც, რომ სვანურ ენას როგორც უძველეს ქართველურ ენას მოსახლეობის არაკომპაქტურად განსახლების შემთხვევაში საფრთხე შეექმნას.

⁵⁸ აღნიშნულ მოსაზრებას არ ეთანხმებიან „ტრანს ელექტრიკას“ წარმომადგენლები, რომელთა განცხადებითაც მოსახლეობის მოცემული რაოდენობა გაბერილია. რეალურად, მხოლოდ 700-მდე ადამიანი იქნება გადასახლებელი.

საზოგადოებრივი აქტივობა: განვითარების ეტაპები და დონეები

ა) არაინსტიტუციონალიზირებული დონე: საზოგადოება

ხუდონჰესის საკითხი მისი ინიცირების დღიდან მოყოლებული, მოქალაქეთა ჩართულობით გამოირჩეოდა, რამაც გამოხატულება აქტიურ საპროტესტო აქციებში ჰპოვა. ხუდონჰესის მშენებლობის საკითხის დღის წესრიგის დაყენების გათვალისწინებით, შესაძლებელია მოქალაქეთა გააქტიურების რამდენიმე ფაზის გამოყოფა.

პირველი ფაზა უკავშირდებოდა 1980-იან წლებში საბჭოთა კავშირში მიმდინარე პოლიტიკური გარდაქმნების პროცესს. უშუალოდ სამშენებლო სამუშაოები 1980-იანი წლების წირველ ნახევარში დაიწყო, მაგრამ დახურული პოლიტიკური სისტემის არსებობის პირობებში მოქალაქეებს არ ჰქონდათ საკუთარი პოზიციის დაფიქსირების საშუალება. ამიტომაც პროტესტის პირველი ტალღა 1989 წ. იწყება. სანყის ეტაპზე პროტესტი ძირითადად, სვანეთის მკვიდრი მოსახლეობის მონაწილეობით შემოიფარგლებოდა. 1989 წლის მაისიდან მესტიაში იწყება მოსახლეობის პროტესტი რაც გამოიხატება ხალხმრავალ მიტინგებში, მჯდომარე აქციებსა და შიმშილობაში, რომლის მთავარი მოთხოვნა იყო ჰუდონის მშენებლობის შეწყვეტა (სარედაქციო წერილი. 1989, გვ. 3). მოგვიანებით, მშენებლობისადმი წინააღმდეგობაში ჩართულობა გაფართოვდა ქვეყნის სხვადასხვა „რაიონის მშრომელების, ინტელიგენციის წარმომადგენლების, მონავლე ახალგაზრდობის, მეზობელი რაიონებიდან — თბილისიდან, ქუთაისიდან, სოხუმიდან ჩამოსული წარმომადგენლების ხარჯზე... მომიტინგეები ითხოვენ — ხუდონის ლიკვიდაციას და მესტიის რაიონის ეროვნულ ტყე — პარკად გამოცხადებას (იქვე)“.

აშენების მოწინააღმდეგეები სოციალურ ასპექტთან ერთად, პროექტის სხვა კომპონენტებსაც აყენებდნენ ეჭვ-

ქვეშ. ხუდონჰესის გეოლოგიური, ტექნიკური და ეკოლოგიური კუთხით გაუმართაობის შესახებ გავრცელებული მოსაზრებები იმდენად ძლიერი იყო, რომ თავად ჰუდონჰესის მშენებელი ორგანიზაციის — ჰიდრომშენებლის წარმომადგენლებმა საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის ხელმძღვანელ ორგანოებს მისწერეს ღია წერილი, სადაც აცხადებდნენ, რომ: *თუ მეცნიერულად დამტკიცდა, რომ ხუდონჰესის აშენება მავნებლობაა, და 160 მლნ. მანეთი ნყალშია ჩაყრილი....., აუცილებელია დაისვას ყველა იმ პირის ადმინისტრაციული, მორალური და სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი, რომელთა ბრალია ამდენი თანხის განიავება, ჰიდრომშენებელთა მრავალათასიანი კოლექტივისთვის მორალური ტრავმის მიყენება*”. მშენებლები ასევე ხაზს უსვამდნენ იმ ფაქტს, რომ კრიტიკის ადრესატი უნდა ყოფილიყვნენ არა თავად მშენებლები, არამედ აღნიშნული ჰესის დამპროექტებლები (ჩაჩიბაია, 1989, გვ. 3).

ხუდონის მშენებლობის საწინააღმდეგოდ მიმართული პროტესტის მასშტაბები იმდენად გაფართოვდა და ზოგადად, ჰესების საწინააღმდეგო მოძრაობაში გადაიზარდა, რომ მაგალითად ერთ-ერთი ჯგუფი აქტიურად მოითხოვდა უკვე აშენებული ენგურის ჰიდროელექტროსადგურის დაშლასაც.

საზოგადოების წინააღმდეგობის მოძრაობას მხარს უჭერდნენ მაშინდელი ეროვნული მოძრაობის, განსაკუთრებით კი მწვანეთა მოძრაობის ლიდერები. ძალიან მალე ჰუდონჰესის საკითხი ტრანსკავკასიურ მაგისტრალსა და დავით გარეჯის საკითხებთან ერთად დამოუკიდებლობის მოთხოვნაში გადაიზარდა.

ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის შემდეგ ეტაპზე (1995-1998 წწ.), საზოგადოების ჩართულობა არ შეიმჩნევა, რაც გამონვეული იყო იმ ფაქტით, რომ ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის გაგრძელება ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით რეალური არ ჩანდა. ხელისუფლების წარმომადგენლები აქცენტს

საზოგადოების აქტიურობის შენელებაზე აკეთებდნენ „ამჟამად ობიექტის მშენებლობის მონინალმდევე ძალებს შორის აღარაა ერთიანობა“, რაც მათი აზრით რესურსების მოძიების შემთხვევაში, ხუდონის აშენებას უფრო უმტკივნეულოდ განხორცილებადას ხდიდა (კალანდაძე, 1997, გვ. 2). ხუდონის მონინალმდევეთა „ერთიანობის დარღვევა“ შესაძლებელია აიხსნას ქვეყნის ენერგეტიკის სფეროში არსებული მძიმე პრობლემებით.

ხუდონჰესის მშენებლობის განახლების ხელახალმა ინიცირებამ ბიძგი მისცა საპროტესტო ტალღის წარმოქმნას რაც წინა (1990-იანი წლები) ეტაპისგან განსხვავებით ხელისუფლების მხრიდან ქმედითი ნაბიჯების გადადგმით იყო გამოწვეული. შესაბამისად, მოქალაქეთა ჩართულობის გაანალიზებისას, შესაძლებელია გამოვეყნოთ საზოგადოების და ფორმალური სამოქალაქო ორგანიზაციების აქტივობა.

ხაიშის მოსახლეობის გამოკითხვათა გაანალიზებისას გამოიკვეთა, რომ ხუდონჰესი არ უკავშირდება მხოლოდ ერთ კონკრეტულ პრობლემას მაგალითად ეკოლოგიურ ან სოციალურ თემატიკას, არამედ თავს იჩენს პრობლემათა ფართო სპექტრი.

შესაბამისად, შესაძლებელია რამდენიმე უმნიშვნელოვანესი ასპექტის გამოკვეთა:

ა) თემის იდენტობის საკითხი. ადგილობრივი მოსახლეობისთვის ხუდონის აშენება უკავშირდება თემის დაშლის საფრთხეს. *„აშენდება გესი, ნახევარი სვანეთი აღარ იქნება... თემი იშლება, ყველას ერთად ხომ არ დაგვასახლებენ. თვალი თვალს რომ მოშორდება, გული გადასხვავდებო. ჩვენ აქ ყველაფერს ვიზიარებთ და ერთად ვართ და ამით ვართ ძლიერები და როდესაც დავიქსაქსებით ამის გულისტკივილიცა აქვთ ამათ“*. რამდენადაც სვანური თემი საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე მეტად კონსერვატული და ადრე-ნესების მიმდევარია, განსაკუთრებით პრობლემატურ სახეს იძენს წინაპართა საფლავების და ისტორიული ძეგლების საკითხი *„აქ წყალქვეშ ექცევა სოფელი, სადაც დავიბა-*

დეთ, გავიზარდეთ, აქ ვისწავლეთ სამშობლოს სიყვარული, თუნდაც აგრეთვე ჩვენი ტაძარი მე-11-12 საუკუნის, საფლავები, ჩვენი სინმინდეები, ერთადერთი კონტაქტი ჩვენს მიცვალებულებთან“.⁵⁹ შესაბამისად, ხუდონჰესის აშენება არაშენების საკითხი უკავშირდება მომავალი თაობისათვის სვანური იდენტობის შენარჩუნებას „მე იმისკენ ვიბრძვი, რომ ჩემმა შვილმა ფესვები არ დაკარგოს, ჩემმა შვილმა მამა-პაპის ფესვებზე იტრიალოს და საკუთარი სვანობა არ დაკარგოს მე ამას ვიბრძვი და საპირისპიროს გვეუბნება მთავრობა რომ აიყარენით ამ მინა-წყლიდან და ჩათვალეთ აქედან აყრილი სვანები ერთ მინა-წყალზე ხომ ვერ დაასახლებენ, ყველას გაფანტავენ და კუთხეც დაიკარგება, ადათიც დაიკარგება, ნესიც დაიკარგება“ (პირადი კომუნიკაცია, 8.08.2015).

ბ) ეკოლოგიური საკითხი, თითქმის ყველა გამოკითხული ხაზს უსვამს მოსალოდნელ დამანგრეველ ეკოლოგიურ შედეგებს არა მხოლოდ მხარისთვის, არამედ მთელი დასვლეთ საქართველოსთვის. ამასთანავე, მოსახლეობის გასახლება არ ნიშნავს ეკოლოგიური საფრთხის თავიდან აცილებას“. არა მგონია ამდენმა დაგროვილმა წყალმა რაიმე პრობლემა არ შექმნას... რა ბეტონიც არ უნდა ჩაასხან ის რომ ენგურს მიაწვება იმის იქით რა მოხდება კაცმა არ იცის” (პირადი კომუნიკაცია, 9.08.2015).

გ) ეკონომიკური საკითხი. ჰუდონჰესის საკითხის განხილვისას, მნიშვნელოვანია კომპენსაციის გაცემის საკითხი რამდენადაც პროექტი ითვალისწინებს მოსახლეობის გასახლებას. ხუდონის აშენების მოწინააღმდეგეთა შორის არსებობს განწყობა, რომ კომპენსაცია იქნება ძალიან მაღალი. მოსახლეობის ნაწილისათვის მოსალოდნელი კომპენსაციის სიდიდე გარკვეულწილად, საფრთხედ აღიქმება, რადგანაც,

⁵⁹ ეკლესია-მონასტრების დაცვის საკითხს აყენებს სამღვდელთა, რამდენადაც ერთ-ერთი ეპარქიის (მარგვეთისა და უბისის) წარმომადგენლებმა მოითხოვეს სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის დადებული კონკორდადის მე-7 მუხლის ამოქმედება, რომლის მოხდვითაც უნდა დაიცვას ეკლესია-მონასტრები ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე.

შესაძლოა, ამ კომპენსაციამ შეარყიოს საზოგადოების ერთი-ანობა. „ყველა ერთ აზრზეა. შეიძლება ვინმე ჩუმად ფიქრობს სადმე კუთხეში, იმაზე, რომ იქნებ დოლარები ვიშოვოთ ამ კუთხის დანგრევის ხარჯზე, მაგრამ ასეთი ალბათ ერთი პროცენტი თუ იქნება და მეტი არა. ერთ-ერთი მოსახლე, რომელიც ღიად მხარს უჭერს ხუდონის აშენებას ადასტურებს ამ განწყობას „ბევრს უნდა მაგრამ ვერ ლაპარაკობს. მე მაგალითად მინდა. აშკარად ვამბობ რომ მინდა. ამას არ უნდა, იმას არ უნდა. ერთმანეთის ხათრი გვაქვს თორე მეტი კი არაფერი.“ (გელოვანი, 2013, გვ. 8); სწორედ ამ საფრთხის პრევენციის მიზნით გამოყენებულ იქნა „ხატზე დაფიცების“ უძველესი სვანური რიტუალი⁶⁰ „ვინც ფიცს გატეხავს იგი ცოცხალ-მკვდარია. გვირჩევნია მოვკვდეთ ვიდრე ფიცი გავტეხოთ“ (იქვე). მთავრობის მიერ გატარებული პოლიტიკის შეფასებისას ადგილობრივი მოსახლეობის შეფასება ემთხვევა არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლების ხედვას, რომლის თანახმადაც ხორციელდება ე.წ. ”წერტილოვანი დარტყმები“ — ინდივიდუალური მუშაობა ადგილობრივი მოსახლეობის ცალკეული წარმომადგენლების გადმოხიზვის მიზნით.

დ.) უნდობლობა ხელისუფლების, როგორც ინსტიტუტის მიმართ. ინტერვიუებში გამოიკვეთა უნდობლობა ხელისუფლების და ინვესტორის მიმართ. საინტერესოა რომ მოსახლეობა, ხშირ შემთხვევაში, ხელისუფლების და ინვესტორის ინტერესებს ან ერთმანეთთან აიგივებს ან ერთ მხარეზე მყოფ ძალად წარმოადგენს: „*მთავრობა ინვესტორის მხარეს იჭერს, კომპანიის მხარეს, წინა წელს ჩატარდა აქ საპროტესტო აქციები, შემოიყვანეს დაახლოებით ასამდე პოლიციელი ხალხის დაშინებისთვის. ალბათ იცოდნენ წინასწარ რომ აქ-*

⁶⁰ ეს არის ტრადიციული წესი, რომელიც ითვალისწინებს წმინდა გიორგის ხატის წინაშე ფიცის დადებას და პასუხისმგებლობის გაცნობიერებულად აღებას. ის დღემდე გამოიყენება როგორც არაფორმალური სამართლის ერთ-ერთი ნორმა და სვანური ტრადიცია არ ცნობს მის დარღვევას.

ცია უნდა ჩატარებულიყო”... „მთავრობა ჩართული არის როგორც ჩანს (ხედონის აშენება) მთავრობის ინტერესია“ (პირადი კომუნიკაცია, 8.08.2015).

მოსახლეობა უნდობლად არის განწყობილი არა კონკრეტულად ამ ეტაპზე მოქმედი ხელისუფლების მიმართ, არამედ ისინი საუბრობენ ზოგადად ხელისუფლების, როგორც ინსტიტუტის მიმართ არსებულ გაუცხოებაზე. ხაზს უსვამენ, რომ ყოფილი არასამთავროების (კონკრეტულად კი ეკოლოგიური თემატიკით დაინტერესებული ძალები) ყოფნა მოქმედ მთავრობაში სურათს არ ცვლის. „არასამთავრობოები რომ მოვიდნენ ქვეყნის სათავეში ისინი იგივეს გააგრძელებენ და ესენი ოპოზიციაში რო იქნებიან, ისინი კიდევ გააპროტესტებენ ამას, ყოველთვის ასე ხდება. რალაცნაირად უკვე აზრი არა აქვს არც ლაპარაკს, არც იმას, არც ამას“ (პირადი კომუნიკაცია, 10.08.2015).

ასევე ხაზს უსვამენ, რომ 2012 წლის არჩევნებში მოქმედი ხელისუფლების მხარდაჭერის უმთავრესი წინაპირობა ჰუდონჰისის არაშენების დაპირება იყო. „გესზე ნაიტრაბახა ივანიშვილმა (პრემიერ მინისტრმა), რომ სვანეთში ჩავალო და პირადად დაველაპარაკებო. არ ჩამოვიდა. ახლა ამან თქვა, მეორე პრემიერ მინისტრმა (იგულისხმება ირაკლი ღარიბაშვილი, პრემიერ მინისტრი ბიძინა ივანიშვილის შემდეგ) ჩავალ სვანეთში დაველაპარაკებო, არც ეს არ ჩამოვიდა. ამასხარავებენ ხალხს თუ რა ხდება?“ თუმცა, ამავე დროს აღნიშნავენ რომ კომუნიკაციის ნაკლებობის მიუხედავად, წინა ხელისუფლებისგან განსხვავებით, დღევანდელი სახელისუფლებო დისკურსი დიალოგზეა ორიენტირებული და არა საკითხის ერთპიროვნულად გადაწყვეტაზე. „აქ რო დღეს სააკაშვილი ყოფილიყო დღეს უკვე აშენებული იქნებოდა ის გესი. ეხლა ეს ლმობიერი მთავრობა ნახეს ხალხმა და სულ მიტინგები, მიტინგები უნდათ. ხალხს არაფერს არ ეუბნება ახალი მთავრობა და სააკაშვილის დროს გაებედნათ აბა ეს, რა იქნებოდა“. მსგავს ხედვას კიდევ უფრო ამყარებს მესტი-

ის მაჟორიტარი დეპუტატი, რომელიც აღნიშნავს, „ჩვენი ხელისუფლება წინა ხელისუფლებისაგან იცით რითი განსხვავდება? ჩვენი წინამორბედები შევიდოდნენ სოფელში სპეცრაზმთან ერთად და მოსახლეობას გამოყრიდნენ. მათგან განსხვავებით, ჩვენ ხალხთან მოლაპარაკებას ვმართავთ.“ (ნაცვლიშვილი. 2014, გვ. 1,4).

კომუნიკაციის ნაკლებობა ხალხს, ხელისუფლებას და ინვესტორს შორის, საბოლოო ჯამში ინვესს საინფორმაციო ვაკუუმს და ერთგვარი გაურკვევლობის შიშს „უნდა დამარწმუნო, უნდა დამაჯერო იმაში, რომ მე იმაზე უარესად არ ვიქნები (იქ სადაც გადამასახლებენ), ვიდრე დღეს აქ ვარ“ (პირადი კომუნიკაცია, 10.08.2015). კომუნიკაციის ნაკლებობაზე ასევე მიუთითებს ის ფაქტი, რომ ადგილობრივმა მოსახლებამ არ იცის თუ რა მოცულობის კომპენსაცია შეიძლება გაიცეს და ასევე როგორი იქნება მისი დაანგარიშების და გაცემის კრიტერიუმები. ადგილობრივი მოსახლეობის ნაწილში არსებობს გარკვეული უიმედობა, რომ მათი პროტესტი შედეგს გამოიღებს. „მე ეხლა გინდა მომხრე ვიყო გინდა წინააღმდეგი, არავინ არ მეკითხება მავ საქმეს. თუ მოუნდება ამ მთავრობას აშენება, წინააღმდეგი ვინც არიან, იმათაც (ადგილობრივ მოსახლეობას) არ შეეკითხებიან“.

ბ) ინსტიტუციონალიზებული დონე — არასამთავრობო სექტორი

ენერგეტიკის მინისტრი კ.კალაძე 2013 წელს აცხადებდა: „გვაქვს ეჭვი, რომ გარედან გარკვეული ადამიანების ჯგუფი მოსახლეობას მართავს“ (მგალობლიშვილი 2013, გვ. 6), ოღონდ ამ გარკვეულ ჯგუფებში მინისტრის დაკონკრეტებით, არ იგულისხმება ნაციონალური მოძრაობა — ყოფილი სახელისუფლებო, დღეისათვის კი მთავარი ოპოზიციური პარტია საქართველოში. სავარაუდოდ მოცემულ ჯგუფში უპირველეს ყოვლისა, სამოქალაქო საზოგადოება და კერძოდ მისი ამ ეტაპზე ყველაზე აქტიური ნაწილი — არასამთავრობო ორგანიზაციები მოიაზრება.

მართლაც, ხუდონჭესის საკითხის განხილვისას წინა-აღმდეგობის მნიშვნელოვანი ტალღა საზოგადოებრივი ორგანიზაციებიდან მოდიოდა, რომლებიც მშენებლობის ინიციატივის გააყვლებიდან მოყოლებული აქტიურად ცდილობდნენ პროცესში ჩართვას.

ბოლო პერიოდის განსაკუთრებული თავისებურებაა ის, რომ არასამთავრობო ორგანიზაციები არ იფარგლებიან მხოლოდ ხელისუფლების გაკონტროლების მცდელობით (ე.წ. ვოუტჩ დოგი) არამედ უფრო მეტად აქცენტს ლობირების კამპანიაზე აკეთებენ. ამ კამპანიის შემადგენელი უმნიშვნელოვანესი ნაწილი საზოგადოების ცნობიერების ამაღლებაა. ეს არის ერთგვარი კოალიციის შეკვრის მცდელობა როცა არასამთავრობო ორგანიზაციები ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად ცდილობენ წინ აღუდგნენ მშენებლობის პროცესს.

ხუდონჭესის მშენებლობის თემასთან მიმართებით არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობის გაანალიზებისას რამდენიმე ფაქტორის გამოყოფაა შესაძლებელი:

1. თავად არასამთავრობო სექტორი რამდენიმე ნაწილად იყოფა: პირველი, ვინც აქტიურად ეწინააღმდეგება ხუდონჭესის ამ სახით მშენებლობას და აქტიურად ეწევიან საპროტესტო აქტივობებს ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად (მაგ. მწვანე ალტერნატივა, ახალგაზრდა მწვანეები, მწვანეთა მოძრაობა, მწვანე მუშტი და ა.შ. მეორე, არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც ხუდონის საკითხზე მუშაობენ ვინრო, სპეციფიური კუთხით, კერძოდ ადამიანის უფლებათა დაცვა, იურიდიული დახმარების განწევა და ა.შ. მაგ. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია; მესამე, ორგანიზაციები, რომლებიც ეწევიან საკონსულტაციო საქმიანობას და მხარს უჭერენ პროექტის მშენებლობას;

2. პროცესში ჩართულმა არასამთავრობოებმა შეიმუშავეს სტრატეგია, რომელიც ითვალისწინებს საზოგადოებასთან რამდენიმე მიმართულებით აქტიურ მუშაობას:

• მოაგროვონ და სისტემატიზირებული სახით მიაწოდონ საზოგადოებას ინფორმაცია ხუდონჰესის პროექტის რეალიზაციისა და მასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ და ხელი შეუწყონ ნეგატიური განწყობის შექმნას.

— საზოგადოების ინფორმირებულობის გაზრდა ენერჯის მოპოვების სხვადასხვა ალტერნატიული წყაროს შესახებ, რაითაც ხაზგასმა ხდება რომ ხუდონჰესი არ არის ერთადერთი გამოსავალი ენერგეტიკული პორობლემების მოგვარების გზაზე⁶¹.

• მოსახლეობას აუხსნან ადრე განხორციელებული მასშტაბური პროექტების შედეგები და გავლენა საზოგადოებაზე (მაგალითად, კომპენსაციის საკითხი ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობის დროს, როგორ დახარჯა მოსახლეობის უმეტესმა ნაწილმა მათზე გაცემული კომპენსაცია ისე, რომ არც სახლი ან რაიმე სახის სხვა უძრავი ქონება არ შეუძენიათ, შესაბამისად დარჩნენ მუდმივი შემოსავლის წყაროს გარეშე);

3. სამოქალაქო ორგანიზაციები აქტიურად ცდილობენ სახელმწიფო სტრუქტურებთან თანამშრომლობას, რათა მიაღწიონ საკანონმდებლო ბაზის მონესრიგებას (მაგ. გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტის გადახედვის პროცესში ჩართულობა (111 შენიშვნა), ორჰუსის კონვენციის იმპლემენტაციის პროცესში მონაწილეობა). თუმცა, როგორც წესი, ხელისუფლების მხრიდან ადგილი აქვს „ფორმალური მონაწილეობის“ პრინციპის დაცვას, როდესაც ის მხოლოდ ახალისებს „ჩართულობას ჩართულობისთვის“, „შეიკრიბებიან დასხდებიან“ — ხოლო რეალური შედეგი კი არ მიიღწევა. შესაბამისად, არასამთავრობო სექტორის ზეგავლენა გარემოსდაცვით პოლიტიკაზე შეზღუდული და ხშირ „შემთხვევაში ფორმალურია“.

⁶¹ მაგალითად, ხელისუფლებას შესთავაზეს ალტერნატიული პროექტი, რომელიც ითვალისწინებს დაბალთაღოვანი კაშხლის მშენებლობას, რომელიც ინვესტორის აზრით არამომგებიანია.

4. მწვანეთა რეგიონალური ქსელის შექმნის მცდელობა როდესაც ხუდონჰესის საკითხისადმი ნეგატიური დამოკიდებულების გამო, გარკვეულწილად, ხელისუფლებისგან მარგინალიზებული ორგანიზაციები ცდილობენ მოკავშირეები რეგიონალურ პატარა ორგანიზაციებში ეძიონ.

არასამთავრობო ორგანიზაციების აქტიურობის გათვალისწინებით, შესაძლებელია გამოიყოს მათი მუშაობის ძირითადი შედეგები:

- პროცესის გადავადება, არასამთავრობო ორგანიზაციების პროტესტმა და მათმა აქტიურმა მუშაობამ როგორც ადგილობრივ დონეზე ასევე, მთელი ქვეყნის მასშტაბით, ხმაურიანმა საპროტესტო აქციებმა, მედიის მობილიზებამ დიდწილად განაპირობა ის ფაქტი, რომ როგორც ხელისუფლება ასევე ინვესტორი იძულებულნი გახდნენ ემუშავათ დოკუმენტაციის მონესრიგებაზე;
- საზოგადოების ინფორმირება რამდენიმე მიმართულებით:

ა) ხუდონჰესი არ არის „პანაცეა“, ერთადერთი „საექსპორტო რესურსი“, პირიქით ის შესაძლოა ვერ გახდეს საექსპორტო რესურსი იმ შემთხვევაში, თუ მიღებული ელექტროენერჯის ღირებულება გაძვირდება, ვინ იყიდის ძვირ დენს?

ბ) არსებობს ჰიდროელექტროსადგურის ალტერნატიული პროექტები;

გ) გათვალისწინებულ უნდა იქნეს კუმულაციური ეფექტი, კერძოდ რამდენიმე ჰესის (ენგური, ხუდონი) ერთ რეგიონში არსებობა რამდენად არის შესაძლებელია?

დ) სამოქალაქო სექტორის აქტიურობამ განაპირობა ის, რომ პოლიტიკური პარტიები დაინტერესდნენ ეკოლოგიური საკითხებით. მაგალითად, ქართული ოცნების წინასაარჩევნო პროგრამა „გარემოს დაცვაზე იყო ორიენტირებული“ და ხაზს უსვამდა, რომ არ დაუშვებდნენ დიდი ჰესების მშენებლობას საქართველოში;

ე) ხელისუფლება და ინვესტორი ძირითადად, ერთი კუთხით ცდილობს ამ საკითხის წარმოჩენას. არასამთავრობო სექტორი კი ხაზს უსვამს, რომ ხუდონი უნდა განხილულ იქნას სამ: ეკოლოგიურ, სოციალურ და ეკონომიკურ ქრილში; რადგანაც „საზოგადოება ვერ იცლის ეკოლოგიური საკითხებისთვის და უფრო ადარდებს ეკონომიკური და სოციალური საკითხები” (პირადი კომუნიკაცია, 10.08.2015), მათი ერთმანეთისგან მოწყვეტა დაუშვებელია“.

ვ) ასევე, ხაზს უსვამენ რომ ჩატარებული კვლევები არ არის საკმარისი, კერძოდ არ არის დასკვნა, თუ რას შეცვლის ხუდონჰესი კავკასიონთან და კლიმატთან მიმართებაში.

შესაბამისად არასამთავრობო ორგანიზაციებმა ადვოკატირების კამპანიით შეძლეს ინფორმაციის აკუმულირება და საზოგადოებამდე მიტანა. შედეგად, მოახერხეს ნეგატიური საზოგადოებრივი აზრის ფორმირება არა მხოლოდ ადგილობრივ მოსახლეობაში არამედ მთელი ქვეყნის მასშტაბით, რამაც დიდწილად განაპირობა ხელისუფლების მიერ ხუდონჰესის პროექტის პრობლემატურობის აღიარება.

დასკვნა

სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული სოციალური მოძრაობების დეფინიცირებისას აქცენტი კეთდება არა მარტო კოლექტიური მოქმედებების ერთობლიობაზე, კომპლექსურობასა და დროში განგრძობითობაზე, არამედ მასში ჩართული აქტორების (ძირითადად ”უბრალო ხალხის”) მობილიზებაზე, გამოფხიზლებასა და ინფორმირებულობაზეც (Moyer, 1987). მოძრაობა „არა ხუდონჰესს“ საინტერესო შემთხვევას წარმოადგენს და შესაძლებელია ჩაითვალოს სოციალური მოძრაობის კარგ მაგალითად. ხუდონჰესის ირგვლივ წარმოებულ სოციალურ მოძრაობაში ორი ძირითადი ეტაპის გამოყოფა შესაძლებელი (ტერმინში ”პირველი ეტაპი” ვგუ-

ლისხმობთ 1980-იანი წლების მეორე ნახევარს სსრკ დაშლამდე, "მეორე ეტაპში" კი -1990-იანი წლებიდან დღემდე), რომელიც თავის მხრივ რამდენიმე საფეხურისგან შედგება. თვითოეულ ეტაპს აქვს თავისი განმასხვავებელი და საერთო მახასიათებლები.

1. საზოგადოების სიჩუმის, სიმშვიდის პერიოდი. ხშირად, სოციალური მოძრაობების შესწავლისას სანყის საფეხურად მიჩნეულია ე/წ/ საზოგადოების სიჩუმის, სიმშვიდის პერიოდი. პირველ ეტაპზე, მიუხედავად იმისა, რომ ხუდონჰესის მშენებლობის მოსამზადებელი სამუშაოების შესახებ გადაწყვეტილება სსრკ შესაბამისმა ორგანოებმა ჯერ კიდევ 1979 წელს მიიღეს საზოგადოების აქტივობა ამ მიმართულებით მხოლოდ 1980-იანი წლების მეორე ნახევრიდან შეიმჩნევა. მოცემულ ეტაპზე საზოგადოების სიჩუმის განმაპირობებელი არადემოკრატიული პოლიტიკური რეჟიმი და ასევე, მოსახლეობის ნაკლები ინფორმირებულობა ჰესის მშენებლობისა და მისი შესაძლო უარყოფითი შედეგების შესახებ.

მეორე ეტაპი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მოიცავს 1990-იან წლების მეორე ნახევარს, როდესაც საქართველოს მაშინდელი ხელისუფლება, ცდილობს გააქტიუროს ჰესის მშენებლობის განახლების თემა. მოცემულ შემთხვევაში საზოგადოების სიჩუმეს განაპირობებს ხელისუფლების მხრიდან საკითხის რეალურად განხორციელებისთვის შესაბამისი ფინანსების ვერმოძიება. შესაბამისად ხუდონის მშენებლობა განხორციელების რეალურ ეტაპზე არ გადასულა.

2. პრობლემის ექსტერნალიზაცია. "არა ხუდონჰესს" მოძრაობის მეორე საფეხური 1980-იან წლებში უკავშირდება ინტერნალიზებული პრობლემის საზოგადოებრივი დღის წესრიგში ჩასმას. პირველ შემთხვევაში გლასნოსტმა და პერესტროიკამ ნაწილობრივ, ხალხზე მოახდინა ძალაუფლების დელეგირება. შესაბამისად, საზოგადოების წარმომადგენლებს შესაძლებლობა მისცა, რომ ხუდონის პრობლემა ფართო საზოგადოებრივი დაინტერესების საგნად ექცია.

დაახლოებით მსგავსი სცენარით წარიმართა მოვლენები 2009 წლიდან, როდესაც ხუდონჰესის აშენების იდეა უკვე დამოუკიდებელი, დემოკრატიული საქართველოს პირობებში ხელახლა და რეალურად დადგა პოლიტიკურ დღის წესრიგში.

ორივე შემთხვევაში, საზოგადოებრივი ორგანიზაციები ცდილობენ ადვოკატირების კამპანიის დაწყებას და მასების მობილიზებას, თუმცა მოქალაქეთა ჩართულობა ძირითადად, ადგილობრივი მოსახლეობის გააქტიურების ხარჯზე ხდება და ნაკლებად მოიცავს ფართო საზოგადოებას. ორივე შემთხვევისთვის დამახასიათებელია ხელისუფლების მხრიდან საკითხის პრობლემურობის უგულვებელყოფა/არადიარება (Moyer, 1987, p.7).

შედეგად, ხელისუფლება ქმნის ე.წ. justification myths, რომლის მიხედვითაც, ხუდონჰესის აშენებით სახელმწიფო არათუ გადაჭრის ელექტროენერჯის მომარაგების კუთხით არსებულ პრობლემებს, არამედ დიდ ეკონომიკურ სარგებელსაც ნახავს.

3. ფართო საზოგადოებრივი მხარდაჭერა. მესამე ეტაპი გამოირჩევა წინააღმდეგობის მოძრაობისადმი ფართო საზოგადოებრივი მხარდაჭერით. მოცემულ შემთხვევაში საზოგადოებრივი ორგანიზაციები (1980-იან წლებში ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობა, რომელიც მოიცავდა არაფორმალურ გაერთიანებებს, ინტელიგენციისა და საზოგადოების სხვადასხვა ფენის წარმომადგენელს; ხოლო დამოუკიდებელ საქართველოში — არასამთავროო ორგანიზაციები და სამოქალაქო აქტივისტები) როგორც „დაინტრესებული ჯგუფები“ ახერხებენ ფართო საზოგადოებრივი მხარდაჭერის მობილიზებას. პირველ შემთხვევაში „არა ხუდონჰესს“ ეროვნული მოძრაობის დღის წესრიგის ერთ-ერთი უმთავრესი თემა ხდება, მეორე შემთხვევაში კი — სოციალური და პოლიტიკური დისკურსის მნიშვნელოვანი ნაწილი და გარკვეულწილად საარჩევნო კამპანიის პერიპეტივებზეც ზემოქმედებს.

ორივე საფეხურზე კომუნიკაცია აღნიშნულ საკითხზე ხელისუფლებასა და საზოგადოებას და ხელისუფლებასა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შორის სუსტია. უფრო ხშირად, განსაკუთრებით მეორე ეტაპზე 2009 წლის შემდეგ ხელისუფლება მიმართავს ე.წ. „ნერტილოვან დარტყმებს“.

4 ხელისუფლების უკანდახევა. მოცემული საფეხურისთვის დამახასიათებელია პოლიტიკური ინსტიტუტების მიერ საკითხის პრობლემურობის აღიარება. საზოგადოების ფართომასშტაბიანი აქტიურობის ფონზე, ორივე ეტაპზე სახელმწიფო ინსტიტუტები იძულებული ხდებიან აღიარონ საკითხის პრობლემურობა. პირველ ეტაპზე სსრკ მინისტრთა საბჭო იღებს გადაწყვეტილებას — შექმნას ხუდონჰესის საკითხის შემსწავლელი კომისია და შესაბამისი დასკვნების საფუძველზე მიიღოს შემდგომი გადაწყვეტილება. სსრკ დაშლამ ლოგიკურად, სხვა არაერთი პროექტის მსგავსად, ხუდონის თემის „დახურვაც“ გამოიწვია.

მეორე შემთხვევაში, ხელისუფლება ასევე იძულებული ხდება საკითხის მეტი სანდოობის მიღწევის მიზნით, მოინვიოს უცხოელი ექსპერტები. ხოლო წინასწარი საექსპერტო მონაცემების შედეგად, აკმაყოფილებს მოწვეული უცხოელი ექსპერტების მიერ სრულყოფილი შესწავლისთვის მოთხოვნილ ერთწლიან ვადას და შესაბამისად აცხადებს მორატორიუმს მშენებლობის შეწყვეტის თაობაზე. ამასთანავე, ხელისუფლების მხრიდან მნიშვნელოვან უკანდახევად შეიძლება ჩაითვალოს ინვესტორის საკითხის გადახედვისა და მშენებლობაში სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობის თემის გაჟღერებაც.

აღნიშნულ ეტაპზე უკანდახევა შესაძლებელია აიხსნას იმ ფაქტით, რომ ოცნების ხელისუფლება უფრო მეტად კონსტრუქციული ძალაა ვიდრე სააკაშვილის ხელისუფლება, ნაკლებად ეფუძნება ძალისმიერ პოლიტიკას და აღნიშნულ თემასთან მიმართებით ცდილობს კონსენსუსის მიღწევას, რაც სავარაუდოდ კიდევ დიდი ხნის მანძილზე დატოვებს ხუდონის მშენებლობის საკითხს გადაუწყვეტელს.

ამგვარად, ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ გარემოსდაცვითი სოციალური მოძრაობა „არა ხუდონჰესს“, რომელიც დაახლოებით სამი ათწლეულის მანძილზე გრძელდება და მთელი ამ ხნის მანძილზე მეტ-ნაკლები სიმწვავეით მუდმივად დგას პოლიტიკის დღის წესრიგში და მრავალფეროვანი აქტორების ფართო ჩართულობით გამოირჩევა, საქართველოს რეალობისთვის სოციალური მოძრაობის კუთხით უნიკალურ მოვლენას წარმოადგენს.

ამჟამად ქვეყანა წინასაარჩევნო რეჟიმშია (2016 წლის ოქტომბერში ტარდება საპარლამენტო არჩევნები) და, შესაბამისად, ხუდონჰესის აშენება/არაშენების საკითხს როგორც ამას წინა წლების გამოცდილება გვიჩვენებს, ხელისუფლება არ ააქტიურებს. თუმცა, არჩევნების დასრულების შემდეგ დღის წესრიგში სავარაუდოდ კვლავაც დადგება ხუდონჰესის მშენებლობის საკითხი.

გამოყენებული ლიტერატურა

1. გელოვანი მ. (2013,07. 18). ხაიში ხუდონჰესის ინვეტორს ოფისი არ გაახსნევინეს რეზონანსი. 237, გვ. 8.
2. კალანდაძე გ. (1997,05.29). ხუდონჰესის მეპატრონის ვინაობა მალე გაირკვევა. რეზონანსი. 114, p. 2.
3. კუკჭულია ლ. (2011, 04. 23). *ხუდონი — სადავო ობიექტი აშენდება. მოძიებულია* 2015,05.18. from <http://www.radiotavisupleba.ge/content/article/9502735.html>
4. მაისაშვილი გ. თაბაგარი ზ. (2014, February 4). ხუდონჰესი მომავლის წინააღმდეგ რეზონანსი. 30, გვ. 11.
5. მგალობლიშვილი მ.(2013, 05.28). ხაიშელებს ვილაც მართავს, მაგრამ თითოეულის აზრს გავითვალისწინებთ რეზონანსი. 138. გვ. 6.

6. მესხია გ. (2013, 10. 23). ხუდონჰესი — მესამე გოლი საკუთარ კარში რეზონანსი, 284, გვ. 8.
7. ნაცვლიშვილი ი. (2014, 02. 3). ხელისუფლებამ უკან კი არ უნდა დაიხიოს, აზრზე უნდა მოვიდეს .რეზონანსი. 27, გვ 1,4.
8. პაპაშვილი ა. (1990. 09. 12). გეჭირდება საკუთარი ელექტროენერგია? კომუნისტი, 210. გვ. 4,5.
9. სარედაქციო წერილი (1989, 01.25). პრობლემა მოითხოვს კომპლექსურ შესწავლას. *კომუნისტი*, მოძიებულია 2015,05.20. HYPERLINK "<http://www.24hours.ge/news/story/40144-ivanishvils-hesebis-msheneblobis-mkhardacherashi-patriarqis-imeri-aqvs->"
<http://www.24hours.ge/news/story/40144-ivanishvils-hesebis-msheneblobis-mkhardacherashi-patriarqis-imeri-aqvs->
10. სარედაქციო წერილი (1989, 05. 23). რას ითხოვს სვანეთი? სოფლის ცხოვრება. 119. გვ. 4
11. სარედაქციო წერილი (2013, 09. 17). ივანიშვილს ჰესების მშენებლობის მხარდაჭერაში პატრიარქის იმედი აქვს.24 საათი.173 (3366), გვ. 1,3.
12. ჩაჩიბაია ვ. (1989,06, 15). პრობლემათა კასკადი ენგურის კასკადზე .კომუნისტი. 138. გვ,3.
13. ჭითანავა ა. (2013, 04. 12). ხუდონჰესი მდინარე ენგურზე — კოჰაბიტაცია თუ კონფრონტაცია? *რეზონანსი*, 95. გვ. 1,7-8.
14. ლოლობერიძე ნ. (1989,06. 14). ელექტროენერგიას მიწა და გარემო არ უნდა შეეწიროთ კომუნისტი. 137.გვ. 3.
15. ხარაზიშვილი მ. (2013 a,05. 21). რა ცვლილება შევიდა ხუდონჰესის ხელშეკრულებაში რეზონანსი. მოძიებულია 2015, 05. 20. HYPERLINK "http://resonancedaily.com/index.php?id_rub=3&id_artc=15648" http://resonancedaily.com/index.php?id_rub=3&id_artc=15648

16. ხარაზიშვილი მ. (2013 ბ, 11. 5). ნახტომი ენერგეტიკაში ხუდონჰესის გარეშე. რეზონანსი. 297.გვ. 1,6.
17. ნიკლაური (2014, July 30). ხუდონჰესი სახელმწიფოს უბრუნდება?! რეზონანსი.მოდებულია 2015, 12. 18. http://www.resonancedaily.com/index.php?id_rub=3&id_artc=21237
18. *Caucasus Barometer*. (2010). Retrieved 2015, September 25. <http://caucasusbarometer.org/en/vl2014ge/codebook>
19. Della Porta, D., & Diani, M. (2006). *Social Movements, An Introduction*. MA: Blachwell Publishing.
20. Jasper, J. (1997). *The Art of Moral Protest*. Chicago: University of Chicago Press
21. Killian, L. (1964). Social movements. In R. Faris, & (ed), *Handbook of Modern Sociology*. Chicago: Rand McNally
22. Friedman, D.& McAdam, D.(1992). Collective Identity and Activism: Networks, Choices, and the Life of a Social Movement. in *Frontiers in Social Movement Theory*, edited by Morris, A. D. & Mueller, C. M. New Haven: Yale University Press. pp. 273-97.
23. Melucci, A. (1996). *Challenging Codes: Collective Action in the Information Age*. Cambridge University Press
24. Moyer, B. (1987). *The Movement Action Plan: A Strategic Framework Describing The Eight Stages of Successful Social Movements*. Retrieved 2015, May 18. From <http://www.historyisaweapon.com/defcon1/moyermap.html>
25. Political Coalition Ivanishvili-Georgian Dream.(2012). *Political Coalition 'Bidzina Ivanishvili-Georgian Dream' Pre-election Programme*. Retrieved 2015, May 20, from <http://www.ivote.ge/images/doc/pdfs/ocnebis%20saarchevn o%20programa.pdf>

26. Skocpol, T. (1979). *States and Social Revolutions: A Comparative Analysis of France, Russia and China*. Cambridge: Cambridge University Press.
27. Touraine, A. (1971). *The Post-Industrial Society. Tomorrow's Social History: Classes, Conflicts and Culture in the Programmed Society*. New York: Random House.

Dr.Salome Sundua

Iv. Javakhishvili Associated Professor, Tbilisi State University

Dr.Tamar Karaia

Iv. Javakhishvili Assistant Professor, Tbilisi State University

ENVIRONMENTAL CIVIL ACTIVISM IN GEORGIA

Abstract

Social movement and social changes study is relatively new academic field in post Soviet Georgia. We chose ‘No to Khudoni Hydropower Plant!’ _ Social Movement case study for several reasons. On one hand, Khudoni PHH falls under the category of gigantic hydropower plants in Georgia and planned to be built in Svaneti, the region with special local natural and climate conditions; On another hand Khudoni HPP is one of the fewest continuous active and inclusive movements in Georgia that has been progressing throughout years (from 1979) with participation of various actors from public and political communities.

Within the research we rely on the theory of structural functionalism that attempts to explain that movements are formed not by actors, but are conditioned by social and political situation. As the result of the process of ‘Perestroika’ and ‘Glasnost’, political, cultural, economic and social changes were underlaid to civic activism.

The research aims to determine:

1. Why the issue of Khudoni grew into a social movement;
2. What is the degree of participation of different actors; who determines directionality of the process and how these actors communicate?

Analyzing the issue it became evident that the arguments of the proponents of Khudoni HPP are about the prospective economic benefits of the project, while the arguments of the opponents of Khudoni construction is rather broad and entail not just environmental but social, cultural and ethno-linguistic arguments as well.

ინგა მიხანაშვილი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
პოლიტოლოგიის ინსტიტუტის
ასისტენტ მკვლევარი

**ვიზა ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმა და
მისი ასახვა მოქალაქეებზე:
საქართველო — ევროკავშირის სავიზო
დიალოგი**

საქართველოს ხელისუფლების მხრიდან ევროკავშირთან სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის თაობაზე დიალოგის დაწყება მნიშვნელოვანი პოლიტიკური ნაბიჯი იყო. საქართველოსა და ევროკავშირის შორის ურთიერთობები დაიწყო პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებით, რომელიც ძალაში შევიდა 1999 წლის 1 ივლისს, შემდეგ 2006 წლის 14 ნოემბერს საქართველო-ევროკავშირის ევროპული სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმა იქნა მიღებული, რომლითაც განისაზღვრა თანამშრომლობის ურთიერთშეთანხმებული პოლიტიკური პრიორიტეტები. 2009 წლის 30 ნოემბერს, საფუძველი ჩაეყარა საქართველოსა და ევროკავშირის შორის „პარტნიორობას მობილურობისათვის“, ევროკავშირის 16 წევრი სახელმწიფოს მონაწილეობით. პარტნიორობის მიზანს წარმოადგენს მხარეთა შორის თანამშრომლობის განმტკიცება შემდეგი მიმართულებებით: ლეგალური მიგრაციის ხელშეწყობა, განვითარებაში მიგრაციის წვლილის მაქსიმიზაცია, არალეგალური იმიგრაციის პრევენცია და მის წინააღმდეგ ბრძოლა, თავშესაფრის პოლიტიკა და საერთაშორისო დაცვა.

სამომავლო უვიზო მიმოსვლის მიმართულებით გადადგმულ ეტაპობრივ ნაბიჯს წარმოადგენს საქართველო-ევროკავშირის შორის სავიზო რეჟიმის გამარტივებისა და რეადმისიის შეთანხმებები, რომლებიც ძალაში 2011 წლის 1 მარტს

შევიდა. 2006 წლის 1 ივნისიდან ევროკავშირის მოქალაქეებისათვის საქართველოში მგზავრობისას უფიზო რეჟიმი მოქმედებს.⁶²

სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის თაობაზე დიალოგი გაიხსნა 2012 წლის 4 ივნისს, ქ. ბრიუსელში, რომელიც მიზნად ისახავს ევროკავშირში საქართველოს მოქალაქეების უფიზო მიმოსვლისათვის ყველა შესაბამისი პირობის გადამონმებას.

სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის დიალოგთან დაკავშირებულ საკითხთა ფართო სპექტრისა და თავისუფალი მიმოსვლისათვის უსაფრთხო გარემოს ჩამოყალიბების მნიშვნელობის გათვალისწინებით, სამოქმედო გეგმის მიზანია, განისაზღვროს საქართველოს მიერ გასატარებელი და განსახორციელებელი ღონისძიებები და მკაფიოდ აღინიშნოს ის აუცილებელი პირობები, რომლებიც უნდა შესრულდეს. სავიზო დიალოგის კვლევითი ფაზის პროცესში განხორციელებული „ფაქტების დამდგენი“ ღონისძიებებისა და საქართველოს მიერ წარმოდგენილი დეტალური ინფორმაციის გათვალისწინებით, სამოქმედო გეგმა შეესაბამებოდა საქართველოს იმჟამინდელ მდგომარეობას. იგი შედგება ოთხი ბლოკისაგან, ესენია: დოკუმენტების უსაფრთხოება (ბიომეტრული პასპორტების ჩათვლით); საზღვრის ინტეგრირებული მართვა, მიგრაციის მენეჯმენტი, თავშესაფრის პოლიტიკა; საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება; საგარეო ურთიერთობები და ადამიანის ძირითადი უფლებები.

ევროკომისია მუდმივად ახორციელებდა მონიტორინგს; ინტერესდებოდა საქართველოს იმ მოქალაქეების საკითხებით, რომელთაც უარი ეთქვათ ევროკავშირის საერთაშორისო საზღვრის გადაკვეთაზე ან დაკავებულნი იყვნენ ევროკავშირში უკანონო ბინადრობისათვის; ასევე თუ როგორი

⁶² სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმა, (2012) www.mfa.gov.ge/, ნანახია 28.01.2016

იყო საქართველოს მოქალაქეების მიერ ევროკავშირში თავშესაფრის მოთხოვნის დონე და სხვა.

2015 წლის 18 დეკემბერს ევროკომისიამ მიიღო საქართველოს მიერ სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის შესრულების შეფასების მეოთხე, ბოლო ანგარიში. ანგარიშში ხაზგასმულია, რომ საქართველომ მნიშვნელოვან წინსვლას მიაღწია სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის კრიტერიუმების დაკმაყოფილების მიმართულებით.

ანგარიშში მოცემული დადებითი შეფასებისა და ზოგადად, საქართველოსა და ევროკავშირის ურთიერთობების გათვალისწინებით, 2016 წლის დასაწყისში ევროკომისია წარადგენს საკანონმდებლო ინიციატივას ბიომეტრიული პასპორტების მფლობელი საქართველოს მოქალაქეებისათვის სავიზო მოთხოვნების გაუქმების თაობაზე — ევროკომისიის 2001 წლის 539-ე რეგულაციაში შესაბამისი ცვლილებების შეტანით.⁶³

საქართველო-ევროკავშირის სავიზო დიალოგი მნიშვნელოვანი და განსაკუთრებით ეფექტური ინსტრუმენტი გამოდგა შორს მიმავალი და რთული რეფორმების განსახორციელებლად სამართლის, შინაგან საქმეთა და მრავალ სხვა სფეროში. გარდა სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული კრიტერიუმებისა, საქართველომ გადადგა კიდევ უფრო შორს მიმავალი ნაბიჯები სასამართლო სისტემისა და ასევე პროკურატურის რეფორმირების მიმართულებით.

ევროკომისიის შეფასებაზე და 2012 წლის ივნისში საქართველო-ევროკავშირის სავიზო დიალოგის დაწყების დროიდან მიმდინარე უწყვეტი მონიტორინგისა და ანგარიშგების შედეგებზე დაყრდნობით, ევროკომისია მიიჩნევს, რომ

⁶³ ევროკომისიის ანგარიში: საქართველო სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის კრიტერიუმებს აკმაყოფილებს, (დეკემბერი, 2015) http://eeas.europa.eu/delegations/georgia/press_corner/all_news/news/2015/20151218_1_ka.htm . ნანახია 10.03.2016

საქართველომ მიაღწია საჭირო წინსვლას და განახორციელა ყველა საჭირო რეფორმა სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის მეორე ეტაპის ოთხივე ბლოკით გათვალისწინებული ყველა კრიტერიუმის ეფექტურად და მდგრადად დასაკმაყოფილებლად. საქართველომ განახორციელა ღონისძიებები, რომლებიც მოეთხოვებოდა სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის შესრულების მესამე ანგარიშის რეკომენდაციებით, რათა უზრუნველყოფილი ყოფილიყო სათანადო საკანონმდებლო ბაზის ეფექტური და მდგრადი ჩამოყალიბება ისეთ სფეროებში, როგორცაა მიგრაციის მართვა, თავშესაფრის პოლიტიკა, კორუფციასთან ბრძოლა, ნარკოტიკები, ტრეფიკინგი, ფულის გათეთრება, სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლობა, მოქალაქეთა უფლებები.

სამოქმედო გეგმის მეოთხე მიმდინარე ანგარიში

მეოთხე ანგარიშის შესწავლის შედეგად დაწვრილებით ვისაუბრებ იმ ქმედებებზე, რომელიც განახორციელა საქართველოს ხელისუფლებამ მიგრაციის მართვასთან, თავშესაფრის პოლიტიკასთან, ტრეფიკინგთან და მოქალაქეთა უფლებებთან დაკავშირებით. საქართველოს მოქალაქეთა რეინტეგრაციის საკითხის მართვა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს დაევალა. დაბრუნებული ქართველი მიგრანტების რეინტეგრაციის პროცესების გაძლიერების მიზნით, საქართველოს ხელისუფლებამ შეიმუშავა ინტეგრაციის სახელმწიფო პროგრამა, რომელიც ცენტრალური ბიუჯეტიდან ფინანსდება, რომლის თანხა 2015 წლისთვის 40.000 ლარს შეადგენდა. სახელმწიფო გრანტებიც გაიცა 6 არასამთავრობო ორგანიზაციისთვის სხვადასხვა პროექტის განსახორციელებლად, როგორც არის, მაგალითად, ანაზღაურებადი სტაჟირების ხელ-

შენყობა დაბრუნებული მოქალაქეებისთვის, მათი დროებითი საცხოვრებლით ან ჯანდაცვით უზრუნველყოფა. ამჟამად საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო პირველი უწყებაა, რომელთანაც აქვს შეხება ყველა იმ დაბრუნებულ მიგრანტს, რომელიც სარეინტეგრაციო დახმარებას ითხოვს. როგორც კი ევროკავშირის დაფინანსებული სარეინტეგრაციო დახმარების პროექტი დასრულდება, მობილურობის ცენტრები საქართველოს მთავრობის დაქვემდებარებაში გადავა.⁶⁴

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ახალ ანალიტიკურ დეპარტამენტს 2015 წლის აგვისტოდან დაეკისრა პასუხისმგებლობა ანალიტიკური ანგარიშგების სისტემის შექმნაზე საქართველოში დაბრუნებული მიგრანტების დასადგენად. ეს სისტემა მიზნად ისახავს, ერთი მხრივ, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ რეადმისირებული პირების შესახებ შეგროვილი ინფორმაციისა და, მეორე მხრივ, საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ დეპორტირებული და ნებაყოფლობით დაბრუნებული პირების შესახებ მოპოვებული მონაცემების გაერთიანებას, რათა აღრიცხული იქნეს დაბრუნებულ პირთა საერთო რაოდენობა. ახალ სისტემაში შევა, აგრეთვე, მონაცემები დაბრუნებულთა განათლების დონეზე, კვალიფიკაციასა და პროფესიულ უნარებზე, ისევე, როგორც მათი რეინტეგრაციისთვის საჭირო მოთხოვნებზე.

ასევე 2013-2015 წლების მიგრაციის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის ერთ-ერთ ამოცანას წარმოადგენდა საქართველოს მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება და ინ-

⁶⁴ ევროკომისიის აპარატის სამუშაო დოკუმენტი "მეთხე მიმდინარე ანგარიში საქართველოს მიერ სავიზი რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის განხორციელების შესახებ" (დეკემბერი 2015), http://eeas.europa.eu/delegations/georgia/documents/news/2015/vlap4_geo_final_working_document_ka.pdf, ნანახია 25.03.2016.

ფორმირება როგორც ლეგალური მიგრაციის შესაძლებლობების, ასევე არალეგალურ მიგრაციასთან დაკავშირებული შესაძლო საფრთხეების შესახებ. 2013 წელს საქართველოში დაიწყო საინფორმაციო კამპანია „ლეგალური მიგრაცია — საუკეთესო არჩევანი“. ამ კონტექსტში მიგრაციის საკითხთა სახელმწიფო კომისიამ დაასრულა მუშაობა ლეგალური მიგრაციის შესახებ საინფორმაციო გზამკვლევზე.⁶⁵ გზამკვლევი სრულყოფილი საინფორმაციო დოკუმენტია ლეგალური მიგრაციის შესახებ, რომელიც ხელმისაწვდომია სხვადასხვა სახელმწიფო უწყებისა თუ არასამთავრობო ორგანიზაციის ვებგვერდებზე. სამოქმედო გეგმაში ჩამოთვლილია ასევე კონკრეტული შესასრულებელი საქმიანობები, კერძოდ, შეხვედრები მოსახლეობასთან როგორც დედაქალაქში, ასევე რეგიონებში; თემატური სემინარების ჩატარება ცენტრალური და რეგიონული მედიის წარმომადგენლებისთვის და, აგრეთვე, ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებისთვის, და საინფორმაციო კამპანიის ჩატარება (ვიდეოკლიპები, სატელევიზიო და რადიო პროგრამები, საინფორმაციო ფურცლები და ა.შ.).

ინფორმაციის გავრცელების პროცესში ასევე ჩართული იყო დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატიც. ისინი არა მარტო ორგანიზებას უწევდნენ დიასპორის შეხვედრებს, ასევე თვითონაც მონაწილეობდნენ ამ შეხვედრებში. ამასთან ერთად შესაბამის ახალ ინფორმაციას ანთავსებდნენ ქართული დიასპორის ვებგვერდზეც.

2015 წლის 8 მაისს კი საქართველოს კანონში „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ შევიდა ცვლილებები, რომელთა ძალით საქართველოში უვიზოდ ყოფნის პერიოდი 90 დღი-

⁶⁵ მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის სამდივნო, „ლეგალური იმიგრაციის გზამკვლევი“(2015) http://migration.commission.ge/files/immigration_geo_10_07_15.pdf, ნანახია 15.05.2016.

დან ერთ წლამდე გაიზარდა. 2015 წლის 7 აგვისტოს საქართველოს მთავრობამ მიიღო დადგენილება №417 „შრომითი იმიგრანტის (საქართველოში მუდმივი ბინადრობის ნებართვის არმქონე უცხოელის) ადგილობრივ დამსაქმებელთან შრომითი მონყობისა და ანაზღაურებადი შრომითი საქმიანობის განხორციელების წესის შესახებ“.

არალეგალური მიგრანტების გამოვლენა განხორციელდება პოლიციის მიერ მიმდინარე შემოწმების დროს ან სახელმწიფო უწყებების მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე. 2015 წლის 15 ოქტომბერს შინაგან საქმეთა მინისტრმა დაამტკიცა საოპერაციო პროცედურის სტანდარტი არალეგალური მიგრანტის გამოსავლენად. თუკი დადასტურდა, რომ უცხოელი არალეგალურად იმყოფება საქართველოში და არ არსებობს მისი დაკავების საფუძველი, იგი ვალდებული იქნება, გამოცხადდეს მიგრაციის დეპარტამენტში არა უმეტეს ხუთი დღის განმავლობაში. თუკი მიგრანტი დადგენილ ვადაში არ გამოცხადდება დეპარტამენტში და მას საპატიო მიზეზი არ ექნება, ის დაექვემდებარება დაკავებას. 2015 წლის 1 ივლისიდან 30 სექტემბრამდე პოლიციის მიერ გამოვლენილი იქნა 24 არალეგალური უცხოელი.⁶⁶

ასევე „ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლში შევიდა ცვლილება, რომელიც აკონკრეტებს მიზეზებს, რომელთა საფუძველზე თავშესაფრის მაძიებლისთვის უარის თქმა შესაძლებელია სახელმწიფო უსაფრთხოებისთვის პოტენციური საშიშროების გამო, კერძოდ, თუ არსებობს საკმარისი საფუძველი ვარაუდისათვის, რომ თავშესაფრის მაძიებელ პირს კავშირი აქვს საქართველოსადმი მტრულად განწყობილი

⁶⁶ ევროკომისიის აპარატის სამუშაო დოკუმენტი “მეოთხე მიმდინარე ანგარიში საქართველოს მიერ სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის განხორციელების შესახებ” (2015), http://eeas.europa.eu/delegations/georgia/documents/news/2015/vlap4_geo_final_working_document_ka.pdf, ნანახია 25.03.2016.

ქვეყნის/ორგანიზაციის შეიარაღებულ ძალებთან, სხვა სახელმწიფოს სადაზვერვო სამსახურებთან, ტერორისტულ ან/და დანაშაულებრივ ორგანიზაციებთან. ამავე მუხლის შესაბამისად, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური ვალდებულია, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მიაწოდოს ინფორმაცია თავშესაფრის მაძიებლის მხრიდან საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებისათვის პოტენციური საშიშროების შექმნის თაობაზე, მაგრამ თავად განმცხადებელს უფლება არ აქვს, გაეცნოს გასაიდუმლოებულ ინფორმაციას მის შესახებ.

უარყოფითი გადაწყვეტილების შემთხვევაში თავშესაფრის მაძიებელს ამაჟამად 15 დღე აქვს სასამართლოში სარჩელის შესატანად. ადრინდელი — ათდღიანი — ვადა ძალიან მცირე იყო განმცხადებლის მოწყვლადობის გათვალისწინებით და ამიტომ გახანგრძლივდა ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში შეტანილი ცვლილებით, მაგრამ ახალი პროექტი თავშესაფრის შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა 2016 წლიდან, ამ ვადის 30 დღემდე გაზრდას ითვალისწინებს. ამას გარდა, გასაჩივრების ეტაპზე განაცხადის დამუშავების მაქსიმალური ვადა ორ თვემდე შემცირდა. 2015 წლის 29 ივლისს ცვლილებები შევიდა კანონში „იურიდიული დახმარების შესახებ“, რომელიც საშუალებას აძლევს თავშესაფრის მაძიებლებს, მიიღონ უფასო და კვალიფიციური სამართლებრივი დახმარება და ადვოკატმა დაიცვას მათი ინტერესები სასამართლოში. ახალი ცვლილებები ამოქმედდა 2016 წლის 1 იანვრიდან. თავშესაფრის მაძიებლები ისეთსავე სამართლებრივ დახმარებას იღებენ იურიდიული დახმარების სამსახურისგან, როგორსაც საქართველოს მოქალაქეები იღებენ. რაც შეეხება ინფრასტრუქტურას, მარტყოფში თავშესაფრის მაძიებელთა დროებითი განთავსების ცენტრის ახ-

ალი ფრთა 2016 წლის იანვარში გაიხსნა, რაც 132-მდე ზრდის ადგილების რაოდენობას.⁶⁷

ასევე ლტოლვილთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა ინტეგრაციასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარების ყველაზე გრძელვადიან და სანდო საშუალებად ნატურალიზაცია მიიჩნევა. 2009 წლის შემდგომ პერიოდში მოქმედი კანონმდებლობა ითვალისწინებს ლტოლვილებისთვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების პროცედურებს. ლტოლვილი შესაბამის პასუხიძეებელ უწყებას მიმართავს თხოვნით ნატურალიზაციით მოქალაქეობის მინიჭების შესახებ ჩვეულებრივი ან საგამონაკლისო წესების დაცვით. მოქალაქეობის შესახებ ახალმა კანონმა ნატურალიზაციით საქართველოს მოქალაქეობის მიღების სავალდებულო მოთხოვნებად შემოიტანა ქართული ენის, საქართველოს ისტორიისა და სამართლის ძირითადი საფუძვლების ცოდნა. 2015 წელს შემუშავდა ქართული ენის შემსწავლელი სპეციალური პროგრამა თავშესაფრის მაძიებლებისთვის, ლტოლვილებსა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირებისთვის.

ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაცვას ძირითადად უზრუნველყოფს ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი, რომელიც 2006 წელს დაარსდა. ფონდთან შექმნილია ორი თავშესაფარი და ფონდი პასუხისმგებელია მათი ფუნქციონირებისთვის საჭირო ღონისძიებების დაფინანსებაზე. ყველა მსხვერპლს, მიჩნეულია თუ არა იგი „კანონით დაზარალებულად“, ხელი მიუწვდება იმ მომსახურებაზე, რომელსაც ფონდი სთავაზობს, მათ შორისაა, სამი თვით ცხოვრება ერთ-ერთ თავშესაფარში და კომპენსაციის მიღე-

⁶⁷ ევროკომისიის აპარატის სამუშაო დოკუმენტი „მეოთხე მიმდინარე ანგარიში საქართველოს მიერ სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სა-მოქმედო გეგმის განხორციელების შესახებ“ (2015), http://eeas.europa.eu/delegations/georgia/documents/news/2015/vlap4_geo_final_working_document_ka.pdf, ნანახია 25.03.2016.

ბა 1000 ლარის ოდენობით. ორივე თავშესაფარი სათანადო-დაა აღჭურვილი იმისთვის, რომ მიიღოს ბავშვებიც. ამ საქმეში მათ დახმარებას უწევს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური მომსახურების სააგენტო.

სოციალური მუშაკები ბავშვებს სწავლაშიც ეხმარებიან. ის მსხვერპლი კი, რომელსაც არავინ ახლავს, სოციალური მომსახურების სააგენტოს მეურვეობის ქვეშ იმყოფება და შეიძლება გადაყვანილი იქნეს საოჯახო ტიპის სახლში ან განთავსდეს თავშესაფარში. სახელმწიფო ფონდის რესურსები გაიზარდა, თბილისის თავშესაფარში სამუშაოდ მიიღეს ფსიქოლოგი. თავშესაფრის ყველა ბენეფიციარი ვალდებულია, გაიაროს სამედიცინო შემოწმება დაწესებულებაში შესვლისას და შეუძლია გადანყვიტოს, იმკურნალოს თუ არა.

სათანადოდ იქნა გათვალისწინებული ადამიანის უფლებებისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტების, ასევე იურიდიული კომიტეტის საკანონმდებლო წინადადებები. ადამიანის უფლებების კომიტეტში ჩამოყალიბებულმა სამუშაო ჯგუფმა დაასრულა მუშაობა და მოამზადა შესაბამისი ცვლილებები. 2014 წლის 2 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“.⁶⁸ სახალხო დამცველის აპარატი საკვანძო როლს ასრულებდა დისკრიმინაციის აღმოფხვრის მცდელობათა მონიტორინგსა და მეთვალყურეობაში. 2014 წლის ნოემბრიდან მას დახმარებას უწევდა თანასწორობის დეპარტამენტი, რომელიც აღიჭურვა საკმარისი რაოდენობის ადამიანური რესურსებითა და ბიუჯეტით სახალხო დამცველის აპარატის საქმიანობის დასახმარებლად, მათ შორის საზოგადოების ინფორმირების სფეროში. ტელევიზიით და სოციალ-

⁶⁸ ევროკომისიის აპარატის სამუშაო დოკუმენტი “მეოთხე მიმდინარე ანგარიში საქართველოს მიერ სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის განხორციელების შესახებ” (2015), http://eeas.europa.eu/delegations/georgia/documents/news/2015/vlap4_geo_final_working_document_ka.pdf, ნანახია 25.03.2016.

ური მედიით გადაიცემოდა სარეკლამო ვიდეორგოლი, რომელიც მიზნად ისახავდა საზოგადოების ინფორმირებას, რომ ქვეყანაში უნდა იყოს დაცული ყველა ადამიანის უფლებები განურჩევლად ენისა, სქესისა, ფერისა, რელიგიისა, პოლიტიკური შეხედულებებისა და სექსუალური ორიენტაციის მიუხედავად. ასევე სახალხო დამცველის აპარატის ვებგვერდზე აიტვირთა და ყველასათვის ხელმისაწვდომი გახდა საქართველოში თანასწორობის მექანიზმთან დაკავშირებით ხშირად დასმული კითხვები და მათზე გაცემული პასუხები.

გარდა ამისა, მომზადდება ბროშურები დისკრიმინაციის აღმოფხვრასთან და თანასწორობის დეპარტამენტის საქმიანობასთან დაკავშირებით და ისინი გავრცელდება სახალხო დამცველის აპარატის რეგიონული სამსახურებისა და იუსტიციის სახლების მიერ. ეს საინფორმაციო ბროშურები ქართულ, რუსულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე იქნება ხელმისაწვდომი. დაბოლოს, ადამიანის უფლებათა დაცვის სამდივნო ატარებდა საინფორმაციო კამპანიებს მთელ საქართველოში ადგილობრივი მუნიციპალიტეტებისა და არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის ადამიანის უფლებათა ეროვნული სტრატეგიისა და მთავრობის სამოქმედო გეგმის შესახებ ინფორმაციის მისაწოდებლად. აღნიშნული კამპანია ხელს უწყობდა საქართველოს ყველა რეგიონში მოქალაქეთათვის და სახელმწიფოს წარმომადგენელთათვის თავისუფლების, შემწყნარებლობის, თანასწორობისა და მრავალფეროვნების ცნებების შესახებ ცოდნის მიწოდებას.

საქართველოს მოსახლეობაში შედის ეთნიკურ უმცირესობათა მნიშვნელოვანი წილი. ეს უმცირესობები ქვეყნის მთლიანი მოსახლეობის დაახლოებით 16%-ს შეადგენენ (მოსახლეობის 2002 წლის აღწერის მონაცემებით). შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატმა, რომელსაც ეთნიკურ უმცირესობებთან დაკავშირებული პოლიტიკის კოორდინირება აკისრია, საკვანძო როლი შეასრულა თანასწორობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ახალი სტრატეგიის შემუშავებაში. ყურადღება გამახ-

ვილდა ეთნიკური უმცირესობებისთვის გადაწყვეტილებათა მიღებაში და პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობისა და სახელმწიფო სამსახურების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებაზე, მათ შორის ენობრივი ბარიერების დაძლევის მეშვეობით. სტრატეგია და სამოქმედო გეგმა ეროვნულ უმცირესობათა საბჭოსთან და ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენლებთან ერთად იქნა განხილული. ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში მცხოვრები ადამიანებისათვის თანასწორი საარჩევნო უფლებების უზრუნველყოფის მიზნით ჩატარდა ტრენინგები, რომელთა სამიზნე ჯგუფებს უმცირესობათა წარმომადგენელი ახალგაზრდა ამომრჩევლები, ქალები და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები წარმოადგენდნენ, რომლებიც შეიძლება ჩართულნი იყვნენ არჩევნების პროცესში. საარჩევნო დოკუმენტები ითარგმნება ასევე აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე;⁶⁹

2010 წელს დანერგილი „უმაღლესი განათლების შემსუბუქების სისტემა“ (ანუ კვოტები ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენელი სტუდენტებისათვის) წარმატებული გამოდგა, ვინაიდან არაქართველი სტუდენტების რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა. შეფასებისა და გამოცდების ეროვნულმა ცენტრმა ჩაატარა საინფორმაციო პროგრამები უმაღლეს სასწავლებლებში მისაღებ გამოცდებთან დაკავშირებით ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენლებისთვის. მოსამზადებელი მასალები ითარგმნა და გამოქვეყნდა სომხურ, აზერბაიჯანულ და რუსულ ენებზე. გარდა ამისა, დახმარება გაენიათ ბოშებს მოქალაქეობის მოპოვებასთან დაკავშირებით. იუსტიციის სამინისტრო უზრუნველყოფს ბოშებისთვის იურიდიული დახმარების განეევას შესაფერისი სტატუსის მოსაპოვებლად აუცილებელი ნაბიჯების გადადგმაში.

⁶⁹ ევროკომისიის აპარატის სამუშაო დოკუმენტი „მეოთხე მიმდინარე ანგარიში საქართველოს მიერ სავიზი რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის განხორციელების შესახებ“ (2015), http://eeas.europa.eu/delegations/georgia/documents/news/2015/vlap4_geo_final_working_document_ka.pdf, ნანახია 25.03.2016.

უვიზო მიმოსვლის პირობები

საქართველოს ხელისუფლების ძალისხმევითა და ევროკავშირის დადებითი შეფასების შედეგად, საქართველოს მოქალაქეები შეძლებენ უვიზოდ იმოგზაურონ ევროკავშირის სენგენის წევრ ქვეყნებში. უვიზო რეჟიმი შესაძლებლობას მისცემს საქართველოს მოქალაქეებს ვიზის გარეშე განახორციელონ მოკლევადიანი ვიზიტები, რაც გულისხმობს 90 დღეს ნებისმიერი 180 დღის განმავლობაში.⁷⁰ მოკლევადიანი ვიზიტი შესაძლებელია განხორციელდეს სხვადასხვა მიზნით: ტურისტული, ოჯახის წევრების ახლობლებების მონახულება, სამეცნიერო ღონისძიებები, ბიზნეს-შეხვედრები. მკურნალობა და სხვა. ნებისმიერი ასეთი ვიზიტის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 90 დღეს. უვიზო რეჟიმი არ შეეხება გრძელვადიან ვიზიტებს განათლების მიღების, მუშაობის ან სხვა მიზნით. ხანგრძლივი დროით დარჩენის სურვილის შემთხვევაში, საქართველოს მოქალაქეებმა უნდა მიმართონ საქართველოში აკრედიტებულ შესაბამისი ქვეყნის საკონსულოს ვიზის მისაღებად.

მასალის გაანალიზების შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ:

- სახელმწიფო დაბრუნებულ მიგრანტებს შესთავაზებს ანაზღაურებად სტაჟირებას, ასევე უზრუნველყოფს მათ დროებითი საცხოვრებელითა და ჯანდაცვით;

- საქართველოში მუდმივი ბინადრობის ნებართვის არმქონე უცხოელის უვიზოდ ყოფნის პერიოდი საქართველოს ხელისუფლებამ გაზარდა ერთი წლით;

- საქართველოს ხელისუფლება ლტოლვილთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა ინტეგრაციასთან დაკავშირე-

⁷⁰ ევროკომისიის საკანონმდებლო ინიციატივა საქართველოსთვის ვიზების გაუქმების თაობაზე(2015) http://belgium.mfa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=1607, ნანახია 05.05.2016.

ბული პრობლემების მოგვარების ყველაზე სანდო საშუალებად ნატურალიზაციას მიიჩნევს. ამ საკითხთან დაკავშირებით მიღებული კანონი საქართველოს მოქალაქეობის მსურველებს ქართული ენის, საქართველოს ისტორიისა და სამართლის ძირითადი საფუძვლების ცოდნას ავალდებულებს.

- ასევე სახელმწიფომ იზრუნა ეთნიკური უმცირესობების განათლებაზე და „უმაღლესი განათლების შემსუბუქების სისტემის“ დანერგვის შემდეგ არაქართველი სტუდენტების რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა.

- რაც შეეხება იმ მოსაზრებას, რომ უვიზო მიმოსვლის შემდეგ, გაიზრდება საქართველოს მოქალაქეების ემიგრაცია, რომ ისინი დასტოვებენ საკუთარ სამშობლოს და ევროკავშირის ქვეყნებში მოისურვებენ ცხოვრებასა და დასაქმებას, შესაძლოა არ გამართლდეს, რადგან ევროკავშირის სამოქმედო გეგმა ამას არ ითვალისწინებს.

ბამოყენებული ლიტერატურა

1. ევროკომისიის აპარატის სამუშაო დოკუმენტი“მეოთხე მიმდინარე ანგარიში საქართველოს მიერ სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის განხორციელების შესახებ“(დეკემბერი 2015), http://eeas.europa.eu/delegations/georgia/documents/news/2015/vlap4_geo_final_working_document_ka.pdf, ნანახია 25.03.2016.
2. ევროკომისიის საკანონმდებლო ინიციატივა საქართველოსთვის ვიზების გაუქმების თაობაზე(2015) http://belgium.mfa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=1607, ნანახია 05.05.2016.
3. ევროკომისიის ანგარიში: საქართველო სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის კრიტერიუმებს აკმაყოფილებს,(დეკემბერი, 2015)

http://eeas.europa.eu/delegations/georgia/press_corner/all_news/news/2015/20151218_1_ka.htm . ნანახია 10.03.2016

4. მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის სამდივნო, „ლეგალური იმიგრაციის გზამკვლევი“ (2015) http://migration.commission.ge/files/immigration_geo_10_07_15.pdf, ნანახია 15.05.2016.
5. სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმა, (2012) www.mfa.gov.ge/, ნანახია 28.01.2016

ACTION PLAN FOR VISA LIBERALIZATION AND ITS IMPACT ON CITIZENS

Abstract

The Georgian Government's intention to launch a visa liberalization dialogue with EU was a significant political step. The visa liberalization dialogue was launched on June 4, 2012 in Brussels, aiming at to ensure all respective conditions for visa-free movement of the Georgian citizens within the EU. The purpose of the action plan was to refer the measures to be implemented by Georgia. Such measures should have been unconditionally fulfilled by the Government of Georgia.

The action plan consists of four blocks, namely: document security (including biometric passports); integrated border management, migration management, asylum policy; public order and security; foreign relations and fundamental human rights.

The European Commission conducted monitoring on a regular basis; The Commission was also interested in the matters related to those Georgian citizens who were refused to cross the international border of the EU or were detained for illegal residence in the European Union, as well as it was concerned how often the citizens of Georgia applied for asylum in the EU, etc.

On December 18, 2015 the Commission adopted the fourth and last progress report on Georgia's implementation of visa liberalization action plan. The progress report highlights the significant headway made by Georgia to meet the criteria for visa liberalization. Georgia has taken the actions demanded by the recommendations of the third progress report to ensure effective and

sustainable implementation of its legislative framework in the fields of migration management, asylum, anti-corruption, drugs, trafficking in human beings, money-laundering, law-enforcement bodies' cooperation, and citizens' rights.

Based on the efforts made by the Georgian Government and the positive assessment of the Commission, Georgian citizens will soon be able to travel to the Schengen area without a visa in the nearest future. Under the visa-free regime, Georgian citizens will be able to travel with short-stays, up to 90 days in any 180-day period for business, touristic, family, scientific, medical treatment, etc. purposes. Duration of any such visit shall not exceed 90 days. Visa-free regime shall not concern long-stays for education, working or other purposes. In such case, Georgian citizens must apply to the consulate of the relevant country for obtaining a visa.

მაღხაზ მაცაბერიძე
პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

საქართველოში მცხოვრები ეროვნული
უმცირესობების საბარაო პოლიტიკური
ორიენტაციის თავისებურებანი

საქართველოში მცხოვრები ეროვნული უმცირესობები სრულად არ არიან ინტეგრირებულნი ქართულ საზოგადოებაში. ეს ვლინდება მათ გარკვეულწილად განსხვავებულ ხედვებშიც ქვეყნის საგარეო ორიენტაციის თაობაზე. საქართველოში მცხოვრები ორი ყველაზე მრავალრიცხოვანი ეთნიკური უმცირესობის — აზერბაიჯანელებისა და სომხების, — მნიშვნელოვანი ნაწილი პრორუსულად არის განწყობილი და ქართულ მოსახლეობასთან შედარებით უფრო ნაკლებად უჭერენ მხარს ევროატლანტიკური ინტეგრაციისკენ მიმართულ საგარეოპოლიტიკურ ძალისხმევას. ასეთი ვითარება წარმოჩინდება ბოლო წლებში ჩატარებული საზოგადოებრივი აზრის კვლევების მიხედვით. ბოლო ასეთი კვლევები 2016 წლის მარტში და ივნისში ჩატარდა ამერიკული ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) დაკვეთით.⁷¹

აზერბაიჯანელები და სომხები — ორი ყველაზე მრავალრიცხოვანი ეთნიკური უმცირესობა საქართველოში

⁷¹ დასახელებული ორგანიზაციის დაკვეთით საქართველოში საზოგადოებრივი აზრის კვლევები წლების მანძილზე სისტემატიურად ტარდება. მის საფუძველზე გამოქვეყნებული პარტიული და პოლიტიკოსების რეიტინგები ყოველთვის დიდ ვნებათაღელვას იწვევს და ბევრი უნდობლობასაც უცხადებს ამ კვლევებს. ამ ორგანიზაციის მიერ 2016 წლის მარტში ჩატარებულ კვლევაში ცალკე გამოიყო „უმცირესობათა დასახლებები“. მასში გაერთიანებულია ეთნიკური აზერბაიჯანელებისა და სომხების დასახლებები. 2016 წ. ივნისში ჩატარებულმა კვლევამ კი შესაძლებელი გახადა გავანალიზოთ გარკვეული ტენდენციები ეროვნულ უმცირესობათა ხედვებში

2014 წლის აღწერის შედეგების მიხედვით, საქართველოს მოსახლეობა, ოკუპირებული ტერიტორიების (აფხაზეთი, ცხინვალის რეგიონი) გამოკლებით, 3 მილიონ 713,8 ათას ადამიანს შეადგენს. აქედან ქართველი იყო 3 მილიონ 224,6 ათასი (86,8%). ეთნიკური უმცირესობებში, რომლებიც მოსახლეობის 13,2%-ს შეადგენენ, დომინირებენ აზერბაიჯანელები (233,0 ათასი, ქვეყნის მოსახლეობის 6,3%) და სომხები (168,1 ათასი, ქვეყნის მოსახლეობის 4,5%). დანარჩენი ეროვნული უმცირესობანი, რაოდენობრივი თვალსაზრისით, მათ მკვეთრად ჩამორჩებიან. მაგალითად, რაოდენობრივად მომდევნო ეროვნული უმცირესობა — რუსები, მხოლოდ 26,5 ათასი ადამიანს (ქვეყნის მოსახლეობის 0,7%) შეადგენენ.⁷² აზერბაიჯანელთა ძირითადი ნაწილი (177.032 ადამიანი) კომპაქტურად ქვემო ქართლში ცხოვრობს, ეროვნებით სომეხი მოსახლეობის ძირითადი ნაწილი (81.089 ადამიანი) კი ჯავახეთში.⁷³

უმთავრესი ფაქტორი, რაც სომხური და აზერბაიჯანული ეროვნული უმცირესობების ინტეგრაციას აფერხებს ქართულ საზოგადოებაში, მათ მიერ ქართული ენის არცოდნაა. 2014 წლის აღწერით საქართველოში მცხოვრებმა 231.436 ადამიანმა მშობლიურ ენად აზერბაიჯანული დაასახელა. მათგან მხოლოდ 43.579-მა განაცხადა, რომ თავისუფლად ფლობს ქართულ ენას. ქვემო ქართლში 176.417 ადამიანმა მშობლიურ ენად აზერბაიჯანული დაასახელა, მათგან მხოლოდ 18.983 თავისუფლად ფლობს ქართულ ენას.

2014 წლის მოსახლეობის აღწერით 144.812 ადამიანმა განაცხადა, რომ მათი მშობლიური ენა სომხურია, მათგან 57.316 განაცხადა, რომ თავისუფლად ფლობს ქართულს. კიდევ უფრო რთული ვითარებაა სამცხე-ჯავახეთში. ამ რეგიონში 79.878

⁷² მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის ძირითადი შედეგები. ზოგადი ინფორმაცია - http://census.ge/files/results/Census%20Release_GEO.pdf

⁷³ მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის შედეგები. მოსახლეობის განაწილება რეგიონებისა და ეროვნებების მიხედვით - <http://census.ge/ge/results/census>

ადამიანმა მშობლიურ ენად სომხური დაასახელა, მათგან მხოლოდ 5.573 აღნიშნა, რომ თავისუფლად იცის ქართული.⁷⁴

ქართული ენის არცოდნა განაპირობებს იმას, რომ სომეხი და აზერბაიჯანელი ეროვნების მოქალაქეთა დიდი ნაწილი ინფორმაციას არ ლეზულობს ქართული საინფორმაციო საშუალებებიდან. შესაბამისად, მათ ან არ გააჩნიათ ინფორმაცია, ანდა ტენდენციურ ინფორმაციას ფლობენ მიმდინარე პროცესების შესახებ. მართალია, საქართველოს საზოგადოებრივ მაუწყებელს კანონმდებლობით აქვს ვალდებულება მოამზადოს გადაცემები უმცირესობების ენებზე, თუმცა მაინც ვერ ხერხდება უმცირესობათა საჭიროების დაკმაყოფილება და სრულყოფილი და სისტემური ინფორმაციის მიწოდება. ეს კი აისახება მათ პოლიტიკურ და სამოქალაქო ჩართულობაზე.⁷⁵

ეთნიკური სომხები და აზერბაიჯანელები ინფორმაციას მეტწილად თავიანთი ეთნიკური წარმოშობის ქვეყნების სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებებისა და რუსეთის ფედერაციის ტელე-არხებიდან იღებენ, რაც მათ ქართული საზოგადოებისგან კიდევ უფრო აუცხოვებს.⁷⁶ სომხეთის, აზერბაიჯანის და რუსეთის საინფორმაციო საშუალებებს კი ევროკავშირისა და ნატოსადმი, საქართველოს ევროატლანტიკური მისწრაფებებისადმი უარყოფითი ან ნეიტრალური დამოკიდებულება აქვთ.

საქართველოში ბოლო წლებში ჩატარებული კვლევის შედეგები აჩვენებდა, რომ ევროკავშირის შესახებ განსაკუთრებით არაინფორმირებულები ეთნიკური უმცირესობები იყვნენ. ისინი ქართულ მოსახლეობასთან შედარებით ბევრად

⁷⁴ მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის შედეგები. მოსახლეობის განაწილება რეგიონების, მშობლიური ენისა და ქართული ენის თავისუფლად ფლობის მიხედვით - <http://census.ge/ge/results/census>

⁷⁵ უმცირესობათა მდგომარეობა საქართველოში. აღმოსავლეთის პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმა. 2013, - Policy Paper_WG1_Umciresobebi_1.pdf, გვ.8

⁷⁶ სალომე მეხუზლა, ეიდინ როშე. განათლების რეფორმა და ეროვნული უმცირესობები საქართველოში - ECMI-ის სამუშაო მოხსენება # 46, სექტემბერი 2009- working_paper_46_geo.pdf, გვ.8

ნაკლებად აიგივებენ საკუთარ თავს ევროპელებთან და თავი-
ანთ სავაჭრო პარტნიორად რუსეთს უფრო განიხილავდნენ.⁷⁷

დასავლეთი და რუსეთი ეთნიკურ უმცირესობათა თვალთახედვით

სტატიაში პირველ რიგში განვიხილავთ საგარეო ორიენ-
ტაციის საკითხებზე ეროვნულ უმცირესობათა ხედვის თავისე-
ბურებებს საერთო ეროვნულ მაჩვენებლებთან შედარებით.
2016 წლის მარტში NDI-ს დაკვეთით ჩატარებულმა კვლევამ
შემდეგი სურათი წარმოაჩინა:⁷⁸

	საერთო ეროვნული მაჩვენებელი		უმცირესობათა დასახლებები	
	2016 III	2016 VI	2016 III	2016 VI
მისაღებია თუ არა საქართველოს მთავრობის გაცხადებული მიზანი საქართველო გახდეს ევროკავშირის წევრი?	77	72	55	50
მისაღებია მიუღებელია არ ვიცი	14	16	27	24
	9	12	18	26
მისაღებია თუ არა საქართველოს მთავრობის გაცხადებული მიზანი საქართველო გახდეს ნატოს წევრი?	68	64	44	47
მისაღებია მიუღებელია არ ვიცი	19	22	31	25
	12	14	24	27

⁷⁷ ევროკავშირის მიმართ დამოკიდებულებისა და ცოდნის შეფასება საქართველოში. ცვლილებებო და ტენდენციები 2009-2013. კვლევის ანგარიში. - eu_survey_report_2013_final_geo.pdf, გვ. 5

⁷⁸ წყარო: საზოგადოების განწყობა საქართველოში: 2016 წლის მარტის კვლევის შედეგები, ჩატარებული NDI-ის დაკვეთით CRRC-საქართველოს მიერ - NDI-Poll-Georgia-March-2016-geo.pdf

შედარება მკაფიოდ აჩვენებს, რომ ეროვნულ უმცირესობათა მხრიდან დასავლური ორიენტაციის მხარდაჭერა დაბალია საერთო-ეროვნულ მაჩვენებელთან შედარებით. ევროკავშირში განწევრიანებას 22%-ით ნაკლები უჭერს მხარს საერთოეროვნულ მაჩვენებელთან შედარებით, ხოლო ნატო-ში განწევრიანებას 24%-ით ნაკლები.

თუმცა, აღსანიშნავია ისიც, რომ NDI-ს 2016 წლის გამოკითხვის შედეგები აჩვენებს ეთნიკურ უმცირესობებში ევროკავშირისადმი მხარდაჭერის გარკვეულ ზრდას. სხვა ორგანიზაციის მიერ 2013 წელს ჩატარებული გამოკითხვის დროს ეთნიკური უმცირესობების 52% მხარს არ უჭერდა საქართველოს ევროკავშირში განწევრიანებას, ან არ იცოდა როგორ მოიქცეოდა, ამ საკითხის რეფერენდუმით გადაწყვეტის შემთხვევაში. ეთნიკურ უმცირესობათა მესამედს დადებითი წარმოდგენა ჰქონდა ევროკავშირის შესახებ, კიდევ მესამედს — ნეიტრალური. 23% კი არ იყო გარკვეული საკუთარ გრძნობებში ევროკავშირის მიმართ.⁷⁹

ეთნიკური უმცირესობების დასახლებებში გამოკითხვის შედეგები აჩვენებს, რომ უმცირესობებში რუსეთზე ორიენტაცია უფრო მაღალია. NDI-ის მიერ 2016 წლის მარტში საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის თანახმად, საერთოეროვნულ მაჩვენებლებში ქვეყნისთვის რუსეთს მთავარ საფრთხედ გამოკითხულთა თითქმის ნახევარი (47%) მიიჩნევდა, მაშინ როდესაც ეროვნულ უმცირესობებში რუსეთს მთავარ საფრთხედ მხოლოდ 19% თვლიდა.⁸⁰

⁷⁹ ევროკავშირის მიმართ დამოკიდებულებისა და ცოდნის შეფასება საქართველოში. ცვლილებებო და ტენდენციები 2009-2013. კვლევის ანგარიში. - eu_survey_report_2013_final_geo.pdf, გვ. 7

⁸⁰ წყარო: საზოგადოების განწყობა საქართველოში: 2016 წლის მარტის კვლევის შედეგები, ჩატარებული NDI-ის დაკვეთით CRRC-საქართველოს მიერ - NDI-Poll-Georgia-March-2016-geo.pdf

	ეროვნული	უმცირესობათა დასახლებები
რომელი ქვეყანა ან ორგანიზაცია წარმოადგენს საქართველოსთვის ყველაზე დიდ საფრთხეს?		
რუსეთი	47	19
„ისლამური სახელმწიფო“	8	11
აშშ	7	7
თურქეთი	5	8
ნატო	2	4

ეთნიკური უმცირესობების მხრიდან რუსეთისადმი პოზიტიური დამოკიდებულება ჩანდა 2013 წელს ჩატარებული კვლევის თანახმადაც. ეთნიკურ უმცირესობებს რუსეთი მიაჩნდათ იმ ქვეყნად, რომელიც საქართველოს ყველაზე უკეთ დაეხმარება (57%, ქართულენოვან გამოკითხულებში ასეთ თვალსაზრისს მხოლოდ 17% იზიარებდა). ამავე დროს ქართულენოვანი მოსახლეობისთვის ევროკავშირი იყო ის, რომელიც ყველაზე უკეთ დაეხმარება საქართველოს. 2013 წლის გამოკითხვის დროს ასე ფიქრობდა ქართულენოვან გამოკითხულთა 38%, უმცირესობებში კი მხოლოდ 14%.⁸¹

უმცირესობების რუსეთზე ორიენტაცია განსაკუთრებით თვალშისაცემია, როდესაც საქმე უცხო ენის არჩევას ეხება. 2013 წელს ჩატარებული გამოკითხვის თანახმად, კითხვაზე, რომელი უცხო ენის სწავლა უნდა იყოს სავალდებულო სკოლებში, უმცირესობების 53% რუსულს ასახელებდა, მაშნ როდესაც ქართველებში ეს მაჩვენებელი მხოლოდ 25%-ს შეადგენდა. ქართულენოვანი მოსახლეობის 62%-ს კი სავალდებულოდ მიაჩნია ქართულ სკოლებში. ქართულენოვანების მხრიდან ინგლისური ენისათვის ასეთი გამოკვეთილი

⁸¹ ევროკავშირის მიმართ დამოკიდებულებისა და ცოდნის შეფასება საქართველოში. ცვლილებები და ტენდენციები 2009-2013. კვლევის ანგარიში. - eu_survey_report_2013_final_geo.pdf, გვ. 11

უპირატესობის მინიჭება აშკარად მიუთითებს მათ პროდასავლურ ორიენტაციაზე. უმცირესობების მხრიდან რუსულისთვის უპირატესობის მინიჭება არ მიუთითებს იმაზე, რომ მათ რუსული უკეთ იციან, ვიდრე ქართულენოვნებმა. სინამდვილეში ქართულენოვნებთან შედარებით, უმცირესობებმა რუსული უფრო ცუდად იციან. ქართულენოვნების 29% ამბობდა, რომ რუსული კარგად იცის, ხოლო უმცირესობებს შორის ასეთი 20%-ია. ელემენტარული რუსული არ იცის უმცირესობების 17%-მა და ქართულენოვნების 10%-მა.⁸²

**როგორი უნდა იყოს საქართველოს
საგარეო-პოლიტიკური კურსი ეთნიკური
უმცირესობების აზრით**

დასავლეთისა და რუსეთის განსხვავებული ხედვებიდან გამომდინარე, სხვაობაა იმის თაობაზეც, თუ როგორი უნდა იყოს საქართველოს საგარეო პოლიტიკური კურსი. 2016 წლის მარტში NDI-ის მიერ ჩატარებული გამოკითხვის თანახმად, უმცირესობათა დასახლებებში გამოკითხულთა 20% მიიჩნევს, რომ საქართველომ პრორუსული საგარეო პოლიტიკა უნდა გაატაროს, მაშინ როდესაც საერთოეროვნულ მონაცემებში ეს მაჩვენებელი 5%-ს შეადგენს. უმცირესობათა კიდევ 25% მიიჩნევს, რომ საქართველომ უნდა გაატაროს პრორუსული საგარეო პოლიტიკა, ოღონდ უნდა შეინარჩუნოს კარგი ურთიერთობა ნატოსთან და ევროკავშირთან (საერთოეროვნულ მაჩვენებლებში 16%). პროდასავლურ საგარეო პოლიტიკას რუსეთთან კარგი ურთიერთობების შენარჩუნებით მხარს უჭერს უმცირესობათა 27% (საერთოეროვნ-

⁸² ევროკავშირის მიმართ დამოკიდებულებისა და ცოდნის შეფასება საქართველოში. ცვლილებები და ტენდენციები 2009-2013. კვლევის ანგარიში. - eu_survey_report_2013_final_geo.pdf, გვ. 12

ნულ მაჩვენებლებში 52%), პროდასავლურ პოლიტიკას კი 12% (საერთოეროვნულ მაჩვენებლებში 14%):⁸³

	ეროვნული		უმცირესობათა დასახლებები	
	2016 მარტი	2016 ივნისი	2016 მარტი	2016 ივნისი
თქვენი აზრით, საქართველოს საგარეო პოლიტიკა უნდა იყოს... პროდასავლური				
პროდასავლური, თუმცა უნდა შეინარჩუნოს კარგი ურთიერთობა რუსეთთან	14	13	12	5
პრორუსული, თუმცა უნდა შეინარჩუნოს კარგი ურთიერთობა ევროკავშირსა და ნატოსთან	52	48	27	28
პრორუსული არ ვიცი	16	20	25	28
	5	6	20	23
	11	11	15	13

საქართველოს ეთნიკურად სომეხ და აზერბაიჯანელ მოქალაქეებს გარკვეულწილად განსხვავებული საგარეო პრიორიტეტებიც გააჩნიათ. ეს კარგად ჩანს, მაგალითად შემდეგ მაჩვენებლებში: იმ ქვეყნებს შორის, რომლებიც ყველაზე მეტად უზრუნველყოფენ საქართველოს უსაფრთხოებას, უმცირესობების დასახლებებში 11% ასახელებს აზერბაიჯანს, მაშინ როდესაც საერთოეროვნულ მონაცემებში მხოლოდ 1%. ცხადია, აზერბაიჯანი უსაფრთხოების გარანტიად ეთნიკურად აზერბაიჯანელმა საქართველოს მოქალაქეებმა დაასახელეს. საქართველოსთვის ყველაზე დიდ საფრთხედ ეროვნული უმცირესობების დასახლებებში თურქეთი მიიჩნ-

⁸³ წყარო: საზოგადოების განწყობა საქართველოში: 2016 წლის მარტის კვლევის შედეგები, ჩატარებული NDI-ის დაკვეთით CRRC-საქართველოს მიერ - NDI-Poll-Georgia-March-2016-geo.pdf

ნია გამოკითხულთა 8%-მა. მაშინ როდესაც საერთოეროვნულ მონაცემებში თურქეთს მთავარ საფრთხედ გამოკითხულთა 5% მიიჩნევს. ეროვნულ უმცირესობებში გამოკითხულთა 29% რუსეთს მიიჩნევს ქვეყნად, რომელიც ყველაზე უკეთ უზრუნველყოფს საქართველოს უსაფრთხოებას, მაშინ როდესაც საერთოეროვნულ გამოკითხვაში ეს მაჩვენებელი მხოლოდ 13%-ია:⁸⁴

	ეროვნული	უმცირესობათა დასახლებები
რომელი ქვეყანა ან ორგანიზაცია უზრუნველყოფს ყველაზე კარგად საქართველოს უსაფრთხოებას?		
ნატო		
ევროკავშირი	23	15
რუსეთი	13	16
აშშ	13	29
აზერბაიჯანი	10	3
	1	11
რომელი ქვეყანა ან ორგანიზაცია წარმოადგენს საქართველოსთვის ყველაზე დიდ საფრთხეს?		
რუსეთი	47	19
„ისლამური სახელმწიფო“	8	11
აშშ	7	7
თურქეთი	5	8
ნატო	2	4

რა განაპირობებს ეთნიკური უმცირესობების მეტ პრო-რუსულობას? როგორც NDI-ის კვლევები აჩვენებს, აქ მნიშვნე-

⁸⁴ წყარო: საზოგადოების განწყობა საქართველოში: 2016 წლის მარტის კვლევის შედეგები, ჩატარებული NDI-ის დაკვეთით CRRC-საქართველოს მიერ - NDI-Poll-Georgia-March-2016-geo.pdf

ლოვან როლს ასრულებს უცხოურენოვანი ტელეარხების ყურება. თუ ამომრჩეველი საქართველოს შესახებ ინფორმაციას უცხოური არხებიდან იღებს, მაღალია შანსი, რომ პრორუსულად იყოს განწყობილი. ეფექტი მაშინაც მნიშვნელოვანია, თუ ეთნიკურ უმცირესობებს ანალიზიდან გამოვრიცხავთ.⁸⁵

NDI-ის 2016 წლის ივნისის გამოკითხვამ აჩვენა, რომ საქართველოს მოსახლეობის 23% თვალს ადევნებს პოლიტიკასა და მიმდინარე მოვლენების შესახებ ინფორმაციას არაქართულენოვან სატელევიზიო არხებზე.⁸⁶ თუმცა ეროვნულ უმცირესობებში ეს მაჩვენებელი 52%-მდე აღის.⁸⁷

ადევნებთ თუ არა თვალს გადაცემებს პოლიტიკასა და მიმდინარე მოვლენების შესახებ არაქართულენოვან სატელევიზიო არხებზე?	საერთოეროვნული	ეროვნული უმცირესობები
დიახ	23	52
არა	77	45

უცხოური არხები, რომელთაც საქართველოში უყურებენ, ძირითადად რუსულია. 2016 წლის ივნისში ჩატარებული გამოკითხვის თანახმად, საერთოეროვნული მასშტაბით ყველაზე ყურებადი პირველი ოთხი არხი რუსულია (რუსეთის პირველი არხი — 35%, ერ-ტე-ერი -26%, რასია 1 — 18%, რასია 24 — 12%, შემდეგ მოდის ევრონიუსი — 10%, რასაც ისევ რუსული რენ-ტივი — 7%-ით მოსდევს. ჩამონათვალში მოხვდა კიდევ რუსული ტე-ვე-ცენტრი — 4%, RTVI -2%, „რაშა თუდეი“ — 1% გამოკითხულთა 26%-მა დაასახელა სხვა არ-

⁸⁵ NDI-poll-June-2016-geo.pdf, გვ.68

⁸⁶ გამოკითხვამ აჩვენა, რომ შუა ასაკობრივი კატეგორია ყველაზე მეტად უყურებს არაქართულენოვან არხებს

⁸⁷ NDI-poll-June-2016-geo.pdf, გვ.77

ხები, რომელთა შორისაცაა სომხური, აზერბაიჯანული, თურქული და სხვა რუსული არხები).

რუსულენოვან არხებიდან პოლიტიკასა და მიმდინარე მოვლენებზე ინფორმაციის მიღება პირდაპირ გავლენას ახდენს მათ საგარეოპოლიტიკურ არჩევანზე.

NDI-ის 2016 წლის ივნისის გამოკითხვით თუ საგარეო-პოლიტიკურ ორიენტაციას უცხოური სატელევიზიო არხების ყურების გათვალისწინებით წარმოვადგენთ, შემდეგ სურათს მივიღებთ:

	უყურებს არა-ქართულენოვან არხებს	არ უყურებს არა-ქართულენოვან არხებს
პროდასავლური	11	14
პროდასავლური, თუმცა უნდა შეინარჩუნოს კარგი ურთიერთობა რუსეთთან	43	50
პრორუსული, თუმცა უნდა შეინარჩუნოს კარგი ურთიერთობა ევროკავშირსა და ნატოსთან	29	18
პრორუსული	9	5
არ ვიცი	6	13

იგივე სურათია საგარეო ორიენტაციის სარგებლიანობასთან დაკავშირებულ კითხვასთან პასუხის გაცემისას:⁸⁸

⁸⁸ NDI-poll-June-2016-geo.pdf, გვ.79

	უყურებს არა-ქართულენოვან არხებს	არ უყურებს არაქართულენოვან არხებს
საქართველო მეტ სარგებელს მიიღებს ევროპული და ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციით	47	55
საქართველო მეტ სარგებელს მიიღებს თუ რუსეთთან უკეთესი ურთიერთობების ჩამოყალიბების სანაცვლოდ უარს იტყვის ევროპულ და ევროატლანტიკურ ინტეგრაციაზე	39	27
არც ერთს არ ვეთანხმები	8	7
არ ვიცი	5	11

ეთნიკური უმცირესობები და რუსეთის ფაქტორი

უმცირესობათა შორის მნიშვნელოვანი პრობლემური საკითხი განწყობა შეიძლება გამოიყენონ რუსეთმა და რუსეთზე ორიენტირებულმა პოლიტიკურმა ძალებმა საქართველოში. როგორც ვლადიმერ სოკორი აღნიშნავდა 2010 წელს „აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის გარდა რუსულ ხელისუფლებას აქამდე საქართველოს შიგნით სხვა ეთნიკური დაძაბულობის პროვოცირების რაიმე სისტემური მცდელობა არ განუხორციელებია“.⁸⁹ სოკორი ამას რუსეთის იმდროინდელი საგარეო საქმეთა მინისტრის სერგეი ლავროვის მიერ 2010 წლის 8 ივლისს გაკეთებულ განცხადებასთან დაკავშირებით წერდა. ლავროვმა საქართველოს ხელისუფლებას მოუწოდა „ნორმალური ურთიერთობები“ აღედგინა საქართველოში მცხოვრებ „სომხებთან, აზერბაიჯანელებთან და სხვა ეთნიკურ უმ-

⁸⁹ ვლადიმერ სოკორი. ლავროვი საქართველოში ეთნიკური კონფლიქტის ნაქეზებაზე მიანიშნებს - Jamestown Foundation - 12-07-2010 - <http://foreignpress.ge/analitika/2503-lavrovi-saqarthveloshi-ethnikuri-konfliktis-tsazeqebaze-mianishnebs.html?lang=ka-GE>

ცირესობებთან“. ამით ლავროვმა მაშინ ღიად მიანიშნა, რომ მოსკოვმა შეიძლება წააქეზოს უმცირესობათა დაძაბულობა საქართველოში. ლავროვის ეს განცხადება იმას მიანიშნებდა, რომ თბილისში პრომოსკოვური პოლიტიკოსების დამარცხების შემთხვევაში რუსეთის ხელისუფალნი საქართველოს ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ პროვინციებში დესტაბილიზაციის ინსტრუმენტების მოძებნას დაიწყებენ.⁹⁰

ყველაზე მრავალრიცხოვან ეთნიკურ უმცირესობებში პრორუსული განწყობების სიჭარბემ ქართულ საზოგადოებაში არ უნდა შექმნას გარკვეული სტერეოტიპები. გიორგი მოლოდინი ჯავახეთში არსებულ ვითარებასთან დაკავშირებით აღნიშნავდა, რომ არ შეიძლება „ისეთი უაპელაციო განცხადებების დემონსტრირება როგორცაა, მაგალითად. „სომხები — რუსების მე-5 კოლონა საქართველოში“, ან „ეთნიკური სომხები საქართველოში საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის წინააღმდეგ“ — რაც თითქოს „დიდი ქართული იდეის“ ღალატის ტოლფასი იყოს და არა ინდივიდუალური არჩევანი“.⁹¹

როგორ უნდა შემცირდეს ეთნიკურ უმცირესობათა პრორუსული განწყობა? 2016 წლის მარტის კვლევის შედეგების გამოქვეყნების შემდეგ ერთ-ერთი ანალიტიკოსი აღნიშნავდა, რომ „აუცილებელია ეროვნული პროექტის ისე გარდაქმნა, რომ მასში მონაწილეობით ეთნიკური უმცირესობები კმაყოფილი დარჩნენ“.⁹² ეთნიკურ უმცირესობათა შორის მიზანმიმართული მუშაობის და, რაც მთავარია, დასავლური კურსის სარგებლიანობის პრაქტიკულად დანახვის შემთხვევაში უმცირესობებში რუსული ორიენტაცია შემცირდება.

⁹⁰ ვლადიმერ სოკორი. ლავროვი საქართველოში ეთნიკური კონფლიქტის წაქეზებაზე მიანიშნებს - Jamestown Foundation - 12-07-2010 - <http://foreignpress.ge/analitika/2503-lavrovi-saqarthveloshi-ethnikuri-konfliqtis-tsaqezebaze-mianishnebs.html?lang=ka-GE>

⁹¹ გიორგი მოლოდინი. რუსული ფაქტორი ჯავახეთში - 2010 წ. დეკემბერი - https://www.researchgate.net/publication/216263291_rusuli_paktori_javakhetsi

⁹² გიორგი ცხადაია. ზოგი რამ NDI-ს გამოკვლევის შედეგებზე, 13 აპრილი, 2016 - <http://www.tavisupleba.mobi/a/blog-giorgi-tskhadaia/27672369.html>

ამაზე კარგად მეტყველებს უმცირესობათა დამოკიდებულება ვიზალიბერალიზაციის საკითხთან.

2015 წლის 15 დეკემბერს ევროკომისიამ გამოაქვეყნა დადებითი ანგარიში საქართველოს მიერ ვიზა ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმასთან დაკავშირებული ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებით. ამ ანგარიშის თანახმად საქართველოს მოქალაქეები 2016 წლის შუა პერიოდიდან შეძლებენ უფიზოდ მიმოსვლას. უმცირესობათა დასახლებებში მართალია უფრო ნაკლებად იყვნენ ინფორმირებულნი ვიზალიბერალიზაციასთან დაკავშირებით (58%, მაშინ როდესაც საერთოეროვნულ დონეზე ინფორმირების მაჩვენებელი 86%-ს აღწევდა), მაგრამ მხარდამჭერთა რაოდენობა ინფორმირებულთა რაოდენობაზე მეტი აღმოჩნდა (69%). ხოლო კითხვაზე „ეთანხმებით თუ არ ეთანხმებით, რომ უფიზო მიმოსვლა სარგებელს მოუტანს თქვენსაირ ხალხს?“ პასუხისას, თანხმობის მაჩვენებელი ეროვნულ უმცირესობებში საერთოეროვნულ მაჩვენებელზე მეტია (74%, საერთოეროვნულ მონაცემებში კი თანხმობის მაჩვენებელი 72%-ია).

პასუხები ვიზალიბერალიზაციასთან დაკავშირებით:⁹³

	ეროვნული	უმცირესობათა დასახლებები
იცოდით თუ არა ამის შესახებ?	86	58
დიახ	11	35
არა	4	7
არ ვიცი		
უჭერთ თუ არა მხარს ამ გადაწყვეტილებას?	84	69
ვუჭერ მხარს	8	14
არ ვუჭერ მხარს	7	14

⁹³ წყარო: საზოგადოების განწყობა საქართველოში: 2016 წლის მარტის კვლევის შედეგები, ჩატარებული NDI-ის დაკვეთით CRRC-საქართველოს მიერ - NDI-Poll-Georgia-March-2016-geo.pdf

არ ვიცი				
ეთანხმებით თუ არ ეთანხმებით, რომ უვიზო მიმოსვლა სარგებელს მოუტანს თქვენ-ნაირ ხალხს?	2016 III	2016 VI	2016 III	2016 VI
ვეთანხმები	72	64	74	58
არ ვეთანხმები	18	26	17	21
არ ვიცი	10	10	9	20

საქართველოში როგორც ქართულენოვანი მოსახლეობის, ისე ეთნიკური უმცირესობების ყველაზე მნიშვნელოვანი საზრუნავი მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება და დასაქმების პერსპექტივაა. თუ პოლიტიკოსებს, მთავრობასა და სამოქალაქო საზოგადოებას სურთ, რომ საქართველოში ევროკავშირის მხარდაჭერა გაიზარდოს, აუცილებელი იქნება მოსახლეობას აუხსნან, რა ხელშესახებ ეკონომიკურ სარგებელს მოუტანს ქვეყანას ევროკავშირთან ინტეგრაციის პოლიტიკა.⁹⁴

ცხადია, ევროკავშირში წარმოქმნილი სიძნელეები, დიდი ბრიტანეთის გადანყვეტილება გავიდეს ევროკავშირიდან, ვიზალიბერალიზაციის პროცესის შეფერხება ხელს არ შეუწყობს ევროკავშირის მიმზიდველობის ზრდას და საქართველოში მცხოვრებ ეთნიკურ უმცირესობებში ევროატლანტიკური კურსის მხარდაჭერის განმტკიცებას. ისიც უნდა ითქვას, რომ მიუხედავად გამოკითხვებით დაფიქსირებული პრორუსული განწყობისა, არჩევნების დროს როგორც სომხური, ისე აზერბაიჯანული ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რაიონებში ყოველთვის მხარს უჭერდნენ ხელისუფლებაში მყოფ პოლიტიკურ ძალას, რომელიც ევროატლანტიკური ინტეგრაციისკენ მიმართულ საგარეო-პოლიტიკურ კურსს ატარებდა.

⁹⁴ ევროკავშირის მიმართ დამოკიდებულებისა და ცოდნის შეფასება საქართველოში. ცვლილებები და ტენდენციები 2009-2013. კვლევის ანგარიში. - eu_survey_report_2013_final_geo.pdf, გვ. 9

Malkhaz Matsaberidze
Phd in Political Science
Professor Iv.Javakishvili Tbilisi State University

FEATURES OF FOREIGN ORIENTATION IN MINORITIES

Abstract

National minorities residing on the territory of Georgia are not fully integrated in the Georgian society. This factor is also revealed in their different attitudes towards the foreign policy orientation of the country. The results of various surveys, conducted by the National Democratic Institute (NDI) provide fruitful grounds to analyze this problem. In the survey, conducted in March, 2016, "Minority Settlements" were designated as a specific segment, uniting territories, which are populated by ethnic Azerbaijani and Armenian population.

The paper deals with peculiarities of foreign policy orientation of national minorities through comparing them with nation-wide indicators. This comparison demonstrates that the support to the Western orientation of Georgia from the side of national minorities is relatively low, compared to the nation-wide indicator: the support towards EU integration is 22 per cent lower and towards NATO membership is 24 per cent lower among national minorities.

Surveys conducted in ethnic minority settlements prove that pro-Russian orientation is quite high among national minorities. According to the nation-wide results, Russia is considered as the main threat to Georgia by 47 per cent, whereas this figure stands as 19 per cent among national minorities. 29 per cent of national minorities consider Russia to be the country, which could provide the security of Georgia in its best; whereas this figure stands as 13 per cent according to the nation-wide results.

Ethnic Armenian and Azerbaijani citizens of Georgia demonstrate different foreign policy priorities. This is proved by the following figures: in the areas, populated by national minorities, 11 per cent consider Azerbaijan to be the country, which could provide security of Georgia, whereas this figure stands as one per cent according to the nation-wide results. Azerbaijan, as a security guarantor is named by ethnic Azerbaijani citizens of Georgia; 8 per cent of population in ethnic minority settlements consider Turkey as the main threat to the country, whereas according to the nation-wide results this figure stands as 5 per cent. Supposedly, Turkey is considered to be the main threat in the Armenian populated settlements.

Ethnic minorities of Georgia have different viewpoints on country's foreign policy orientation; 20 per cent of ethnic minorities consider that Georgia should choose the pro-Russian orientation, whereas according to the nation-wide data this figure is no more than 5 per cent. 25 per cent of minorities argue that Georgia should launch the pro-Russian foreign policy, although it should maintain good relations with the NATO and EU (16 per cent according to the nation-wide results). The pro-western foreign policy with the maintenance of positive relations with Russia is supported by 27 per cent (52 per cent according to nation-wide results), whereas the pro-Western politics is supported by 12 per cent (14 per cent according to nation-wide results).

On December 15, 2015, the EU Commission published the positive report on fulfillment of Georgia's commitments, as considered by the visa liberalization action plan. According to this report, the citizens of Georgia will benefit from the visa-free regime with Europe from the mid-2016. National minorities were poorly informed on this process (58 per cent as compared to the nation-wide figure of 86 per cent); although, support of initiation of the visa-free regime was 69 per cent, which is higher than the figure of informed audience. Interestingly, 74 per cent of national minorities think that the visa free regime will be beneficial for their segment of

population, which is higher than the similar figure in nation-wide indicator _ standing as 72%.

The strength of pro-Russian tendencies of national minorities could be used by Russia and the pro-Russian political forces of the country. In case of proper information campaign and popularization of benefits of pro-western drive of the country, the pro-Russian orientation could be weakened. The attitude of ethnic minorities towards visa-liberalization issue is the testimony to this fact.

ეკა დარბაიძე
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის,
პოლიტოლოგიის ინსტიტუტის
ასისტენტ მკვლევარი

**პოლიტიკური პარტიების გენდერული პოლიტიკა
2014 წლის აღბილობრივი თვითმმართველობის
არჩევნებზე**

დღესდღეობით მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, მათ შორის საქართველოშიც ქალთა პოლიტიკური ჩართულობის გაზრდა და გენდერული თანასწორობის მიღწევა აქტუალურ და პრობლემატურ საკითხს წარმოადგენს. არაერთი კვლევა ცხადყოფს, რომ ქალთა პოლიტიკური აქტივობა კვლავაც დაბალი რჩება ადგილობრივი ხელისუფლების დონეზე და ისინი საკმაოდ მცირე რაოდენობით არიან წარმოდგენილნი ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლობით ორგანოებში. სწორედ ამიტომ, საქართველოს ხელისუფლების საქმიანობის ერთ-ერთ პრიორიტეტს გენდერული ბალანსის მიღწევა და შიდა პარტიული გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა უნდა წარმოადგენდეს.

1948 წლის 10 დეკემბრის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მიერ დამტკიცებულ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 21 მუხლის მიხედვით, ყოველ ადამიანს აქვს უფლება მონაწილეობდეს თავისი ქვეყნის მართვა-გამგეობაში ან უშუალოდ, ანდა არჩეულ წარმომადგენელთა მეშვეობით. ყოველ ადამიანს აქვს უფლება თანაბარ საფუძველზე შევიდეს თავისი ქვეყნის სახელმწიფო სამსახურში. ხალხის ნება მთავრობის ძალაუფლების საფუძველია: და ეს ნება გამოხატული უნდა იქნას პერიოდული, სამართლიანი და გამჭვირვალე არჩევნების მეშვეობით, რომელიც უნდა ემყარებოდეს საყოველთაო და თანასწორ ხმის უფლებას და უნდა ჩატარდეს ფარული კენჭის-

ყვრით, ან ხმის მიცემის ექვივალენტური თავისუფალი პროცედურების გამოყენებით.

არჩევნები ქვეყნის პოლიტიკური სისტემისა და პოლიტიკური რეჟიმის ლეგიტიმიზაციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ინსტიტუტია, რომელიც ხალხის სუვერენიტეტის გამოხატვისა და მისი პოლიტიკური როლის, ხალხის, როგორც ხელისუფლების წყაროს გამოვლენის მთავარ ფორმას წარმოადგენს. სწორედ არჩევნების საშუალებით ხორციელდება მოქალაქეთა მონაწილეობის უზრუნველყოფა წარმომადგენლობითი, საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების ორგანოების ფორმირებაში, რადგან სწორედ არჩევნების შედეგად ენიჭებათ კანდიდატებს სახელისუფლებო უფლებამოსილებები.

ჩვენი ქვეყნის თანამედროვე ისტორიაში პირველ დემოკრატიულ არჩევნებად უნდა მივიჩნიოთ 1990 წლის 28 ოქტომბრის მრავალპარტიული არჩევნები, ხოლო 1998 წლის 25 ივნისს მიღებული იქნა საქართველოს კანონი ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოების — საკრებულოების არჩევნების შესახებ. ამავე წლის 15 ნოემბერს ჩატარდა პირველი ადგილობრივი არჩევნები პოსტსაბჭოთა საქართველოს ისტორიაში. 378 საკრებულოში, სადაც ამომრჩევლეთა რაოდენობა 2000 აღემატებოდა, არჩევნების ჩატარება გადაწყდა პროპორციული წესით, ხოლო 653 საკრებულოში, სადაც ამომრჩევლეთა რაოდენობა 2000 ზე ნაკლები იყო, მაჟორიტარული წესით.

ყველასათვის ცნობილია, რომ დემოკრატიის ეფექტური განხორციელებისათვის უმნიშვნელოვანესია ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების ყველა ჯგუფისა და ფენის წარმომადგენლობის უზრუნველყოფა, მათ შორის ქალების აქტიური ჩართულობა და მონაწილეობა. საზოგადოებაში დამკვიდრებულია აზრი, რომ გაცილებით მარტივია ქალთა მონაწილეობა ადგილობრივ დონეზე, ვიდრე ეროვნულ დონეზე, ვინაიდან ადგილობრივ დონეზე შესარჩევ კანდიდატთა კრიტერიუმები ნაკლებად მკაცრია, გარდა ამისა ადგილობრივი ხელისუფლების საქმი-

ანობა ახლოს დგას ქალის ცხოვრებასთან, რადგან მისთვის გაცილებით მარტივია ერთმანეთს შეუთავსოს ადგილობრივ დონეზე საქმიანობა და საკუთარი შვილების აღზრდა. ადგილობრივ ხელისუფლებაში ქალთა საქმიანობა შესაძლოა პირველ დონეზე წარმოადგენდეს ერთგვარ წრეს, რომელიც ქალს ძალუძს გაარღვიოს და შემდგომ გახდეს ერთგვარი პლაცდარმი მისი მომავალი პოლიტიკური საქმიანობისათვის, სადაც ავითარებს საკუთარ შესაძლებლობებს და იძენს ეროვნული პოლიტიკისათვის შესაბამის გამოცდილებას. ასევე, ადგილობრივი პოლიტიკა და ადგილობრივი საკითხები ქალისათვის შესაძლოა გაცილებით უფრო საინტერესო და ნაცნობი აღმოჩნდეს, რადგან ისინი კარგად არიან ინფორმირებულნი საკუთარი თემის პრობლემების შესახებ და სწორედ ისინი არიან ადგილობრივი საზოგადოების სივრცისა და სხვადასხვა სერვისის მთავარი მომხმარებლები (წყალის, ელექტროენერჯია, ნარჩენები, ჯანდაცვის კლინიკები და სხვა სოციალური სერვისები). ქალები ასევე აქტიურად არიან ჩართულნი თავიანთ სათემო საქმეებში და უფრო მარტივად შეუძლიათ, უზრუნველყონ აღნიშნული გაერთიანებების ფორმალური ჩართვა პოლიტიკური გადაწყვეტილების მიმღებ ადგილობრივ დონეზე.

ადგილობრივ თვითმმართველობის კანონში შესული ცვლილებების თანახმად, 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებით მოსახლეობა ირჩევს სამოცდათერთმეტი მუნიციპალიტეტის (59 თვითმმართველი თემის და 12 თვითმმართველი ქალაქის) წარმომადგენლობით (საკრებულო) და აღმასრულებელ (გამგებელი/მერი) ორგანოებს. არჩევნები კი ტარდება შერეული საარჩევნო სისტემის (პროპორციული და მაჟორიტარული) გამოყენებით, რომლის მიხედვითაც ამომრჩეველს გააჩნია ერთი ხმის უფლება, პროპორციული საარჩევნო სისტემის საფუძველზე და ერთი ხმის უფლება მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით საკრებულოს წევრის ასარჩევად.

საქართველოს პრეზიდენტის 2014 წლის 10 აპრილის განკარგულებით, ადგილობრივი თვითმმართველობის წარ-

მომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების არჩევნები 2014 წლის 15 ივნისისთვის დაინიშნა. ცენტრალური საარჩევნო კომისიის ინფორმაციით, არჩევნებში მონაწილეობის მიზნით წარმოდგენილი იქნა 24 საარჩევნო ბლოკის, პარტიების განაცხადი, რომელთა შორის პროპორციული სიით წარდგენილ კანდიდატებს შორის ქალები 30,14%-ს შეადგენდნენ, ხოლო მაჟორიტარებს შორის 10,52%-ს. საერთო ჯამში ქალებმა კანდიდატების 25,5%-ი შეადგენეს.

აღსანიშნავია, რომ არჩევნებში რეგისტრირებულ 24 პარტიის წარმომადგენლებს შორის შვიდი იყო მდედრობითი სქესის წარმომადგენელი. ასევე, მერის პოსტზე დარეგისტრირდა 8 ქალი, გამგებლის თანამდებობაზე კი 10. ქალი კანდიდატების 31.8% წარმოდგენილი იყო პარტიების სიების პირველ ათეულში, 39.5% მეორე ხუთეულში, ხოლო 23.5% პირველ ხუთეულში (ცენტრალური საარჩევნო კომისია, 2014).

მაჟორიტარული სისტემით წარდგენილი ქალი კანდიდატები შემდეგნაირად იყო რეგისტრირებული: ბლოკი — „ქართული ოცნება“ -1 0%, ბლოკი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ — 16%, „შალვა ნათელაშვილი-საქართველოს ლეიბორისტული პარტია-12%, „ნინო ბურჯანაძე-ერთიანი ოპოზიაცია — 13%, ბლოკი „არასაპარლამენტო ოპოზიაცია (კახა კუკავა, ფიქრია ჩხრაძე)“ — 11%, „ერთიანობის დარბაზი“ — 9% და ა.შ. აღსანიშნავია, რომ არც ერთი ქალი კანდიდატი არ ჰყავდა ნომინირებული შემდეგ პარტიებს: „უფლის სახელით-უფალია ჩვენი სიმართლე“, „ხალხის პარტია“, „მომავალი საქართველო“, „ირაკლი ოქრუაშვილი-ქართული პარტია“, თავისუფლება-ზვიად გამსახურდიას გზა“.

საარჩევნო სისტემის გავლენა ქალთა წარმომადგენლობაზე

მსოფლიოში არსებული ტენდენციების ანალიზმა ცხადყო, რომ არსებობს კავშირი საარჩევნო სისტემასა და არჩევით ორგანოებში ქალთა წარმომადგენლობას შორის. საერთო ჯამში იმ სახელმწიფოებში, რომლებიც პროპორციულ საარჩევნო სისტემას იყენებენ, არჩევით ორგანოებში ქალებს საშუალოდ მანდატების 20% აქვთ მოპოვებული, ხოლო

ერთმანდატიანი მაჟორიტარული სისტემის მქონე სახელმწიფოებში კი — 9%. ცნობილმა მკვლევარმა მეტლენდმა დაადგინა, რომ ნაკლებად განვითარებულ სახელმწიფოებში არ არსებობს სისტემური კავშირი საარჩევნო სისტემასა და ქალთა რაოდენობას შორის. მან გამოთქვა მოსაზრება იმის შესახებ, რომ აუცილებელია, არსებობდეს პოლიტიკური განვითარების გარკვეული ზღვარი, რათა ქალებმა ეფექტურად შეძლონ საარჩევნო სისტემის გამოყენება საკუთარი უფლებების დასაცავად. საქართველოში არსებობს ე.წ. სისტემური კავშირი საარჩევნო სისტემასა და ქალთა წარმომადგენლობას შორის და ამის საუკეთესო მაგალითია ის ფაქტი, რომ შერეული საარჩევნო სისტემის ფარგლებში საქართველოში პროპორციული საარჩევნო სისტემით პარლამენტსა და ადგილობრივი თვითმმართველოების ორგანოებში მეტი ქალი იქნა არჩეული, ვიდრე — მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით.

2014 წლის არჩევნების შედეგად, პროპორციული სისტემით არჩეულ კანდიტებს შორის ქალებმა შედაგინეს 14,7%, ხოლო მაჟორიტარების — 7,2%, საერთო ჯამში ქალებმა მანდატების მხოლოდ 11,6% მოიპოვეს შეძლეს. ფაქტია, რომ ქალებმა პროპორციულის სისტემით ორჯერ მეტი მანდატი მოიპოვეს.

ყველაზე მეტი ქალი არჩეული იქნა ქალაქ ოზურგეთის საკრებულოში, ხოლო ქალაქების: მცხეთის, თელავის, ფოთის საკრებულოებში არც ერთი ქალი არ იქნა არჩეული მერის თანამდებობაზე. ქალებმა პროპორციული საარჩევნო სისტემით 2-ჯერ მეტი მანდატი მოიპოვეს და თუ გადავხედავთ 2006 და 2010 წლების ადგილობრივ არჩევნებს, მიღებული შედეგები მსგავს კორელაციას ადასტურებს,

საინტერესო იყო ადგილობრივ არჩევნებზე პოლიტიკური სუბიექტების წინასაარჩევნო აქტივობა და მათი განწყობები. არჩევნებამდე ორი თვით ადრე პოლიტიკურმა პარტიებმა დაიწყეს პოლიტიკური კამპანია და ოპოზიციურ ფლანგზე გადაჯგუფების პროცესებიც მალევე დასრულდა. ნინო ბურჯანაძის, ჯონდი ბალათურიას და ქდმ-ს გაერთიანების შემდეგ,


ევროპელი-დემოკრატები, ედპ და ზურაბ ხარატიშვილის პოლიტიკური ორგანიზაცია რამდენიმე პოლიტიკურ ძალასთან ერთად ცალკე საარჩევნო ბლოკად ჩამოყალიბდა. რაც შეეხება „თავისუფალ საქართველოსა“ და „ახალ მემარჯვენებს“ ისინი ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში საარჩევნო სუბიუექტად 15 აპრილს დარეგისტრირდნენ, რომლებმაც შემდგომ ჩამოაყალიბეს — ერთიან საარჩევნო ბლოკი „არასაპარლამენტო ოპოზიცია“ 1 საარჩევნო ნომრით.

როგორც უკვე ავლინშნეთ, საქართველოს პრეზიდენტის 2014 წლის 10 აპრილის განკარგულებით, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების არჩევნები 2014 წლის 15 ივნისს გაიმართა. ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში ქალთა მონაწილეობის კუთხით მნიშვნელოვანი დადებითი ცვლილებები თავიდანვე ნაკლებად იყო მოსალოდნელი, მიუხედავად იმისა, რომ 2012 წლის ოქტომბერში ჩატარებულ საპარლამენტო არჩევნებში „ბიძინა ივანიშვილი — ქართული ოცნების“ სიებში არსებულ გენდერულ დისბალანსს, საქართველოს პარლამენტის გენდერული საბჭოს თავჯდომარე მანანა კობახიძე პარტიის მცირეხნიანი ისტორიით ხსნიდა: „ჩვენ არა ვართ ხანგრძლივი ისტორიის პარტია, რომ ვინმეს პრეტენზია ჰქონდეს. ჩვენ ეხლა ვვითარდებით, მომავალში გვექნება შესაბამისი პოლიტიკური სკოლა და გადამზადების შესაძლებლობა, რომ ქალბატონები უფრო ჩაერთონ პოლიტიკურ პროცესებში“. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტსაც, რომ „ქართული ოცნების“ სია არა მარტო თავად პოლიტიკური პარტიის, არამედ კოალიციაში შემავალი სხვადასხვა პოლიტიკურ პარტიათა წევრებით იქნა დაკომპლექტებული, აღნიშნულ სიებში ქალთა რაოდენობის ზრდას ნაკლებად იყო მოსალოდნელი და შედეგიც სახეზე იქნა. მიუხედავად იმისა, რომ თვითმმართველობის არჩევნებში პროპორციული სიით მოსაპოვებელი მანდატების რაოდენობა გაიზარდა (რომელიც ქალებს არჩევით ორგანოებში გამარჯვების მეტ შანსს აძლევს) ერთმანდატიანი საარჩევნო ოლქებმა ხელი შეუშალა ქალთა მონაწილეობის გაძლიერებას და იმ პატრიარქა-

ლური სისტემის მსხვერველს, რომელიც დღეს საქართველოში არსებობს, სწორედ ამიტომ ერთმანდატიანი მაჟორიტარული სისტემამ ქალთა საკრებულოში არჩევის შანსი მნიშვნელოვნად შეამცირა. (იხ. სურათი 1)

სურათი 1.

მაჟორიტარული სისტემით არჩევნებში პარტია/ბლოკის მიერ რეგისტრირებული კანდიდატების გენდერული შემადგენლობა (ქ. თბილისი)



თბილისის მერობისთვის ცეცესკოში სულ რეგისტრაცია გაიარა 14 კანდიდატმა, აქედან მხოლოდ 2 იყო ქალი: ასმათ ტყაბლაძე — „საქართველოს ლეიბორისტული პარტია“ და დავით თარხან მოურავი — საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ მერობის კანდიდატი — ირმა ინაშვილი. სამწუხაროდ თვითმმართველი ქალაქის მერობის თანამდებობაზე საპარლამენტო კოალიციამ „ქართულმა ოცნებამ“ 12 კანდიდატიდან 12-ვე მამაკაცი წარმოადგინა. „სამწუხაროდ არჩევანი არ იყო ფართო და ალბათ ტრადიციაც მოქმედებს“ სწორედ შემდეგი სიტყვებით ახსნა აღნიშნული გენდერული დისბალანსი „ქართული ოცნების“ ერთ-ერთმა ლიდერმა გია ვოლსკიმ. „ნაციონალური მოძრაობის“ შემთხვევაშიც ანალოგიური სურათი იქნა მიღებული. რაც შეეხება საქართველოს „ლეიბორისტულ პარტიას“, 2014 წლის 2 აპრილს მან ოფიციალურად თბილისის მერობის კანდიდატად მსახიობი ასმათ ტყაბლაძე წა-

რადგინა, რომელიც პარტიის წევრს არ წარმოადგენდა (იხ. სურათი 2). პარტიის ლიდერის შალვა ნათელაშვილის განცხადებით: ”ქალბატონი ასმათ ტყაბლაძის მერობისას თბილისი იქნება არა სამთავრობო საჯაროთო ზონა, არამედ გადაიქცევა ქვეშარიტ სახალხი დედაქალაქად, სადაც თითოეული თბილისელი თავის დიასახლისთან ყოველგვარი საშვის გარეშე მივა”. მომავალი მერობის კანდიდატის უმთავრესი პრიორიტეტი მისი არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში სოციალური საკითხების მოგვარება და გარემოს დაცვის საკითხები იქნებოდა. ლეიბორისტთა ლიდერის ოპტიმისტური განცხადების მიუხედავად, ლეიბორისტების მიერ წარდგენილმა კანდიდატმა ვერ შეძლო არჩევნებში გამარჯვება.

არჩეულ ქალ კანდიდატებს შორის ყველაზე მეტი მანდატი საარჩევნო სუბიექტს „ქართულ ოცნებას“ ეკუთვნის — 63%, მეორე ადგილზეა ბლოკი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ — მანდატების 17%-ით, ხოლო მასამე ადგილს იკავებს „ნინო ბურჯანაძე-ერთიანი ოპოზიაცია“-11%.


ქალაქ თბილისში მაჟორიტარული სისტემით არჩევნებში პარტიებისა თუ ბლოკების მიერ სულ რეგისტრაცია გაიარა 308 კანდიდატმა, რომლიდანაც 242 იყო მამაკაცი, 66 კი ქალი, ხოლო რაც შეეხება საარჩევნო სუბიექტების მიერ პარტიული სიით წარდგენილ კანდიდატებს თბილისში, აღნიშნული სუბიექტების მიერ რეგისტრირებული კანდიდატებიდან 702 იყო მამაკაცი, ხოლო 427 კი ქალი. ჩატარებული ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში, ქალთა მონაწილეობის ოფიციალური სტატისტიკა მოწმობს, რომ არჩევნებზე მისული ამომრჩევლების 50,2% ქალი იყო, ხოლო სულ ხმა 745,614 ქალმა ამომრჩეველმა მისცა. ქალი ამომრჩევლების მაღალი აქტიურობით განსაკუთრებით დედაქალაქი გამოირჩეოდა 55,94%-ით, სადაც ყველაზე აქტიური ამომრჩეველი ქალბატონები ნაძალადევსა და საბურთალოში გამოვლინდა, ხოლო ყველაზე პასიური კი ჩუღურეთსა და კრწანისში (იხ. სურათი 2).

სურათი 2.

2014 წლის 15 ივნის ადგილობრივ თვითმმართველობის არჩევნებზე მისული ამომრჩევლის გენდერული შემადგენლობა თბილისში

სულ: 342 996

კაცი: 151 136; ქალი: 191 860



ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე წარმოდენილი პოლიტიკური სუბიექტების პროგრამების გენდერული ანალიზი.

არჩევნების შედეგების შესწავლისა და მათი გაანალიზების პროცესში, ასევე უმნიშვნელოვანესია პოლიტიკურ პარტიათა პროგრამების შესწავლა, სადაც როგორც წესი პოლიტიკური ძალები მათთვის აქტუალური პრობლემებისა და პრიორიტეტებისა ფორმულირებას ახდენენ, რომელთა გადაჭრას ისინი ამომრჩეველს ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში ჰპირდებიან. ამ მხრივ საინტერესო იყო იმ პოლიტიკური სუბიექტების პროგრამების შესწავლა გენდერულ ქრილში, რომელთაც ბოლო ადგილობრივ არჩევნებზე დადგენილი 4%-იანი ბარიერის გადალახვა და არჩევნებში გამარჯვება შეძლეს.

- □ “არასაპარლამენტო ოპოზიციის“ 1. (აირჩიე ცვლილებები), წინასაარჩევნო პლატფორმაში აქცენტი გაკეთებულია ძირითადად ახალგაზრდების ჯანდაცვისა და სწავლების დაფინანსებაზე, მერისა და საკრებულოს ხელმძღვანელთა ხელფასების შემცირებასა და ზოგადად დედაქალაქის ინფრასტრუქტურულ პროექტებზე. რაც შეეხება ქალებს, „არასაპარლამენტო ოპოზიციის“ პროგრამაში, ისინი შესაძლოა მოვიაზროთ, მხოლოდ რეპროდუქციულ ჭრილში, ვინაიდან ისინი გამარჯვების შემთხვევაში თბილისში მრავალშვილიან ოჯახებს დაფინანსებას ჰპირდებოდნენ;
- საარჩევნო ნომერი 3 — ”ნინო ბურჯანაძე ერთიანი ოპოზიცია“ („დროა მოვანესრიგოთ ქვეყანა, დროა მოვანესრიგოთ თბილისი“). არჩევნებზე წარმოდგენილ პოლიტიკურ სუბიექტებს შორის ყველაზე საინტერესო და კონკრეტიზებული იყო. პროგრამაში აქცენტი ძირითადად გაკეთებული იყო ხელმისაწვდომ ჯანდაცვაზე, სოციალური პროგრამების გაფართოებზე, კომუნალურ გადასახადებზე არსებული ტარიფების გადახედვაზე, ჯანდაცვის სფეროში რეფორმების გატარებაზე, თუმცა ამ პროგრამაში ქალები შესაძლოა მოვიაზროთ პროგრამის იმ ნაწილში (როგორც წესი საშუალო სკოლებში პედაგოგთა 99% ქალია), სადაც საუბარია პედაგოგთა ანაზღაურების რეფორმაზე, რომელიც მასწავლებელთა ხელფასების გაზრდას ითვალისწინებდა. წინასაარჩევნო პროგრამაში ასევე სწორი აქცენტებია დასმული დემოგრაფიულ პრობლემატიკაზე (რაც მრავალშვილიან ოჯახებსა და მარტოხელა დედებზე საგანგებო სოციალური პაკეტის შემუშავებას ითვალისწინებდა), ვინაიდან მათი განცხადებით, აღნიშნული საკითხი პირდაპირ არის დაკავშირებული ეროვნულ უსაფრთხოებასა და ქვეყნის განვითარებასთან;
- საარჩევნო ბლოკი „ბიძინა ივანიშვილი — ქართული ოცნება,“ საარჩევნო ნომრით 41, (“ერთად ვიზრუნოთ თბი-

ლისზე”), აღნიშნულ სუბიექტს, საარჩევნო პროგრამაში ქალები მხოლოდ რეპროდუქციულ ჭრილში ჰყავდა მოხსენიებული, რაც მრავალშვილიან ოჯახებისათვის ყოველ ახალშობილზე 500-ლარიანი დახმარების გაცემას ითვალისწინებდა;

□ პარტიათა პროგრამების შესწავლამ ცხადყო, რომ არც საარჩევნო ბლოკ „ერთიან ნაციონალური მოძრაობის” და არც „დავით თარხან-მოურავი საქართველოს პატრიოტთა ალიანსის” საარჩევნო პროგრამებში გაკვრიტაც კი არ არის ნახსენები ქალები და გენდერული თანასწორობა. ყოფილი სახელისუფლებო პარტია და კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტი 5 — „ავამუშაოთ თბილისი”, აქცენტს ძირითადად თბილისის განვითარების პროექტსა და დაბალ ტარიფებზე აკეთებდა;

“დავით-თარხან მოურავი საქართველოს პატრიოტთა ალიანსი”⁸ — „თბილისო, შენთვის გამოიდარებს” კი ძირითადად სოციალური პრობლემატიკითა და სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის დახმარების დაპირებებით შემოიფარგლებოდა.

ფინანსური წამახალისებელი ნორმა

2011 წელს კანონში „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ” შევიდა ცვლილება, რომლის თანახმადაც საარჩევნო სუბიექტი, რომელიც იღებს დაფინანსებას ამ მუხლით დადგენილი წესით, მიიღებდა დაფინანსებაზე დანამატს 10%-ის ოდენობით, თუ მის მიერ წარდგენილ პარტიულ სიაში, ყოველ 10 კანდიდატს შორის განსხვავებული სქესის წარმომადგენელი იქნებოდა სულ მცირე 20%. (28.12.2011. 5661).

“ქართული ოცნების” ინიციატივით, 2013 წლის 29 ივლისს საქართველოს საარჩევნო კოდექსში შევიდა ცვლილება, რომელიც 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შემდგომ შევიდა ძალაში. აღნიშნული ცვლილე-

ბის თანახმად, თუკი პოლიტიკური პარტიების მიერ წარდგენილ სიებში (ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე კანდიდატთა ყოველ ათეულში განსხვავებული სქესის სულ მცირე 30% მაინც იქნება წარმოდგენილი, აღნიშნული პარტია 30%-ით მეტ დაფინანსებას მიიღებდა.

საქართველოში 15 ივნისს გამართულ ახალი თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ, ცხადი გახდა, რომ ქალების წარმომადგენლობა 11%-ზე მეტი კვლავაც არ არის, რაც ნიშნავს იმას, რომ ამ მიმართულებით პროგრესი არ აღინიშნება და ყველა ის ხელშემწყობი ღონისძიება, რასაც აქამდე ხელისუფლება ქალთა პოლიტიკური ჩართულობის ხელშემწყობისთვის აკეთებდა არაეფექტური აღმოჩნდა. მიზეზი კი მარტივია, მმართველი პარტიები დამატებითი ფინანსური მოტივაციის არქონის გამო, კვოტირების სისტემას არ იყენებენ, რაც იმას ნიშნავს, რომ ნებაყოფლობითი კვოტირების სისტემა პოლიტიკური პარტიებისთვის მხოლოდ ფინანსური დანამატის მიღების საშუალებად მიიჩნევა და სხვა ინტერესები ქალების მიმართ ფაქტიურად არ არსებობს, რაც ცხადი გახდა თუნდაც 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების დროს, როდესაც არც კოალიცია „ქართულმა ოცნებამ“ და არც „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ აღნიშნული კვოტა არ დაიცვა და აღმოჩნდა, რომ „ქართულმა ოცნებამ“ აღნიშნული მუხლი პირველ ათეულში, ხოლო „ნაციონალურმა მოძრაობამ“ კი მეორე ათეულშივე დაარღვია. 2014 წლის კი ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე „ნაციონალურმა მოძრაობამ“ გამოიყენა აღნიშნული ნორმა, თუმცა ქალები ნაკლებად გამსვლელ ადგილებზე წარმოადგინა. აშკარაა, რომ ქართულ პოლიტიკაში ქალთა წარმომადგენლობის ზრდის წამახალისებელმა ღონისძიებამ, რომელიც გატარებული იქნა ბოლო საპარლამენტო და ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე, არ იმუშავა, სწორედ ამიტომ, აუცილებელია, აღნიშნულ ვითარებაში ერთადერთ გამოსავლად სავალდებულო კვოტირების შემოღება შეიძლება მივიჩნიოთ, რომელსაც მრავალი მონინაალმდეგე შეიძლება გამოუჩინდეს, მათ შორის ქალებიც, რომელთა ნა-

წილი სავალდებულო კვოტას მამაკაცთა მიმართ პოზიტიურ დისკრიმინაციად მიიჩნევა და არა მაკომპენსირებელ მექანიზმად. თუმცა ფაქტია და მსოფლიო გამოცდილებამაც გვიჩვენა, რომ კვოტირება ეს გახლავთ, ქალთა წარმომადგენლობის პოლიტიკაში ზრდის აპრობირებული მეთოდი და სავალდებულო კვოტირების შემოღების შემთხვევაში, პოლიტიკური პარტიები ამჯერად იძულებულნი აღმოჩნდებიან ნევრი ქალები გადაწყვეტილების მიმღებ თანამდებობებზე აირჩიონ, იმისათვის, რომ ქალებმა წარმოადგინონ ერთგვარი კრიტიკული მასა, რომელთაც შესაძლებლობა ექნებათ ზეგავლენა იქონიონ პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე.

აღმოჩნდა, რომ 2012 წლის საქართველოს პარლამენტის არჩევნებზე პარტიებმა, რომლებმაც მიიღეს დაფინანსება, საერთოდ ვერ გადალახეს საარჩევნო ბარიერი და შესაბამისად, ვერც ერთი ქალი ვერ გაიყვანეს პარლამენტში, ხოლო 2014 წელს, 30%-იანი გენდერული ბალანსის დაცვისათვის დაფინანსება მოიპოვეს საარჩევნო სუბიექტებმა: „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ და „ქრისტიან დემოკრატიულმა მოძრაობამ“, რომელთაც წლიურ დანამატად 180 000 ლარი მიიღეს, თუმცა მათ მიერ პროპორციული საარჩევნო სისტემით მოპოვებული მანდატებში ქალებმა შეადგინეს: ნაციონალური მოძრაობა — (18,6%), ხოლო „ქრისტიან დემოკრატიული მოძრაობა — (21,6%). საერთო ჯამში არჩეულ ქალებს შორის ამ ორი საარჩევნო სუბიექტის სიით გასული ქალების ხვედრითი წილი გაცილებით მცირეა. მიუხედავად იმისა, რომ ეს ნორმა გარკვეულ გავლენას ახდენს სიების ფორმირების პროცესზე, წარმომადგენლობის თვალსაზრისით არსებით გავლენას ვერ ახდენს, ამიტომ სასურველია აღნიშნული ნორმის კორექტირება და პროცენტული ოდენობის სხვაგვარი განსაზღვრა. ასევე აუცილებლად მიგვაჩნია, მიღებული ფინანსების მიზნობრიობის განსაზღვრა და მათი გამოყენება პოლიტიკურ პარტიებში გენდერული ცნობიერების ამაღლებისა და ქალთა დანინაურების კუთხით.

სურათი 3.

საარჩევნო სუბიექტი		მიღებული დაფინანსება	მიღებული დანამატის ოდენობა ლარებში
საარჩევნო ბლოკი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“	„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“	2 758 244	90 000
	„საქართველოს ქრისტიან-კონსერვატიული პარტია“	598 697	90 000
ქრისტიან დემოკრატიული მოძრაობა		997 037	

2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგების შესწავლამ კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ ადგილობრივ დონეზე ქალთა დაბალი პოლიტიკური მონაწილეობა იმ პრობლემების შედეგია, რომლის განხილვის დროს რთულია რომელიმე კონკრეტული ფაქტორის გამოყოფა, მაგრამ ფაქტია, რომ უმნიშვნელოვანეს ბარიერად კვლავ ქართულ საზოგადოებაში ღრმად ფესვებგამდგარი სტერეოტიპები და მამაკაცების მიერ მონოპოლიზებული პარტიები მიიჩნევა, სადაც ქალებს სხვადასხვა მიზეზთა გამო არ ძალუძთ გავლენა მოახდინონ პარტიის პრიორიტეტების შემუშავებაზე, სადაც მათ კვლავ „შავი“ სამუშაოს შესრულება უწევთ, რასაც ხელს უწყობს და კიდევ უფრო ამყარებს შიდა-პარტიული დემოკრატიის დაბალი დონე და პარტიებში ქალთა დანინაურების გაუმჭვირვალე და ბუნდოვანი მექანიზმები. სამწუხაროდ საქართველოში დღესდღეობით ძალიან ცოტაა გენდერულად მგრძობიარე და ქალთა საკითხებზე სამუშაოდ მოტივირებული ქალები, რომლებიც შეძლებენ ქართულ პოლიტიკურ დისკურსში ქალთა პოლიტიკური აქტივო-

ბის გაზრდასა და გენდერული პრობლემატიკის წინ წამოწე-
ვას. ხელისუფლებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების
ძალისხმევის მიუხედავად, პრობლემა კვლავაც პრობლემად
რჩება. ტრენინგები, დებატები და სხვადასხვა სახის შემე-
ცენებითი აქტივობები სასარგებლო აღმოჩნდა, თუმცა და-
ფინანსების ზრდამ და პოლიტიკური პარტიების ფინანსურმა
წამახალისებელმა ნორმამ შედეგი ვერ გამოიღო. პრობლე-
მის შესწავლისას გამოიკვეთა, რომ კვლავაც საჭირო და აქ-
ტუალურია მნიშვნელოვნად გაიზარდოს ქალთა წარმომად-
გენლობა ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანოებში
და მოხდეს უფრო მეტი ქალის ჩართულობა პოლიტიკურ
პროცესებში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტისა და ადამიანის
უფლებათა ოფისის 2010 წლის ადილობრივი თვითმმარ-
თველობის არჩევნების ანგარიში
2. “სამწუხაროდ ქართულ პოლიტიკაში გენდერული ბა-
ლანსი უფრო სერიოზული პრობლემაა, ვიდრე ერთი შე-
ხედვით ჩანს“ www.interpressnews.ge, ნანახია 28.04.2013
3. “ლეიბორისტების თბილისის მერობის კანდიდატი ასმათ
ტყაბლაძე იქნება”, <http://www.interpressnews.ge/ge/>, ნა-
ნახია 02.04.2014
4. საქართველოს მერვე მოწვევის პარლამენტის პირველი
წლის მუშაობის შეფასება, საერთაშორისო გამჭვირვა-
ლობა-საქართველო
5. საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია, პარ-
ლამენტის არჩევნები 2012, <http://www.cec.gov.ge/ge>
6. საქართველოს კანონი „მოქალაქეთა პოლიტიკური გა-
ერთიანების შესახებ“

7. საქართველოს ორგანული კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ <https://www.ndi.org/node/221-97> (27.03.15)
8. Andersen, Margrethe Holm, *Women in politics. A case study of gender relations and women's political participation in Sukumaland, Tanzania*. Aalborg: University of Aalborg, 1992.
9. Donk, Mirjam Van, *Local government. A strategic site of struggle for gender equity*. Agenda, no. 45. South Africa <http://www.agenda.org.za/mirjam.htm>
10. Dollar, David, Raymond Fisman & Roberta Gatti, *Are women really the „fairer” sex? Corruption and women in government*. New York: World Bank, 1997 (Policy research report on gender and development, working paper series, no. 4)
11. Inter Parliamentary Union (IPU), *Politics. Women's insight*. Geneva: IPU, 2000 (Reports and documents, no. 36).
12. Leijenaar, Monique, *Political autonomy of women and good governance. Discussion paper*. DGIS, 1996.
13. Matland, R. E., 1998. Women's Legislative Representation in National Legislatures: A Comparison of Democracies in Developed and Developing Countries. *Legislative Studies Quarterly* 28 (1), 109-125

Eka Darbaidze
Ilia State University, Institute of Political Science
Assistant Researcher

GENDER POLICY OF POLITICAL PARTIES IN LOCAL SELF-GOVERNMENT ELECTION IN 2014

Abstract

Democracy requires that political decision-making be shared by women and men and that the interests of both are taken into account. Women's participation in the decision-making process is a prerequisite for developing state laws and policies that safeguard women's economic, social and cultural rights and promote the interests of women. To have a real impact on political life, women's engagement needs to reach a critical mass (30-35%) at the decision-making level.

